

ნათელა მაღლაკელიძე, ნანა კუცია

# ქართული ენა და ლიტერატურა

# 12

**მასწავლებლის წიგნი**

გრიფი მიენიჭა 2012 წელს საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების სამინისტროს სსიპ – განათლების ხარისხის  
განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2012

# ქართული ენა და ლიტერატურა

XII კლასი

მასწავლებლის წიგნი



ავტორები: ნათელა მაღლაკელიძე, ნანა კუცია

რედაქტორი ნინო თოდუა

დიზაინერი დავით კუტუბიძე

ISBN 978-9941-10-541-8

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47. ☎ 239-15-22, 214 77 11  
E-mail: [meridiani777@gmail.com](mailto:meridiani777@gmail.com)

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012  
©, ნ. მაღლაკელიძე, ნ. კუცია

N. Maglakelidze, N. Kutsia

„Georgian Language and Literature“, the Book of the Teacher 12, in Georgian  
„Meridiani“ Publishing, Tbilisi – 2012

## შინაარსი

მითითებანი მასწავლებელთათვის.....	4
პროგრამა-სილაბუსის ნიმუში .....	6
ლიტერატურული კომენტარები .....	10
1) დავით კლდიაშვილი – „სამანიშვილის დედინაცვალი“ .....	10
სამანთან მდგარი სამანიშვილები.....	10
პლატონ სამანიშვილი .....	12
2) მიხეილ ჯავახიშვილი – „ჯაყოს ხიზნები“ .....	14
3) კონსტანტინე გამსახურდია – „დიდოსტატის მარჯვენა“ .....	19
სვეტიცხოვლის კომპლექსი.....	23
„დიდოსტატის მარჯვენა“ – რომანის ისტორიული ფონი .....	25
პერსონაჟები.....	29
სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარი .....	29
მეფე გიორგი – „ორ კურაპალატს შორის გამოსრესილი“ .....	37
„ჭური თვითმოძრავი“ – ფარსმანი .....	43
„სევდიანი, როგორც ყინწვისის მჭმუნვარე ანგელოსი“ – შორენა .....	47
„ქვეგამხედვარი“ – მამამზე ერისთავი, შავლეგ ტოხაისძე, თალაგვა კოლონკელიძე ...	53
მელქისედეკი .....	57
მარიამ დედოფალი.....	60
ზვიად სპასალარი.....	61
ყველისციხის პატრონი – გირშელი.....	64

## მითითებანი მასწავლებელთათვის

XII კლასის სასწავლო კომპლექტი შედგება ორი კომპონენტისაგან: ა) „ქართული ენა და ლიტერატურა“, მოსწავლის წიგნი და ბ) „მასწავლებლის წიგნი“.

ა) „**მოსწავლის წიგნი**“ – ქართული ენა და ლიტერატურა, XII კლასი, შედგენილია განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და შეესაბამება მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. საკითხავი მასალის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული **სავალდებულო** ლიტერატურა:

1. დავით კლდიაშვილი – „სამანიშვილის დედინაცვალი“;
2. მიხეილ ჯავახიშვილი – „ჯაყოს ხიზნები“;
3. პოლიკარპე კაკაბაძე – „ყვარყვარე თუთაბერი“ (I და IV მოქმედება);
4. ნიკო ლორთქიფანიძე – „შელოცვა რადიოთი“;
5. გალაკტიონ ტაბიძე – „თოვლი“;
6. გალაკტიონ ტაბიძე – „მთანმინდის მთვარე“;
7. გალაკტიონ ტაბიძე – „მშობლიური ეფემერა“;
8. გალაკტიონ ტაბიძე – „შერიგება“;
9. გალაკტიონ ტაბიძე – „მე და ღამე“;
10. გალაკტიონ ტაბიძე – „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“;
11. გალაკტიონ ტაბიძე – „ქებათა ქება ნიკორწმინდას“;
12. კონსტანტინე გამსახურდია – „დიდოსტატის მარჯვენა“;
13. ტიცვიან ტაბიძე – „ლექსი მენყერი“;
14. ტიცვიან ტაბიძე – „ანანურთან“;
15. გიორგი ლეონიძე – „ყივჩალის პაემანი“;
16. გიორგი ლეონიძე – „ნინოწმინდის ღამე“;
17. გურამ რჩეულიშვილი – „ალავერდობა“;
18. ანა კალანდაძე – „მკვდართა მზე ვარ“;
19. ჯემალ ქარჩხაძე – „იგი“;
20. გურამ დოჩანაშვილი – „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

ტექსტების ნაწილი შერჩეულია ჩვენ მიერ. ვეცადეთ, ისინი თემატურად და ჟანრობრივად დაგვეკავშირებინა სავალდებულო საკითხავ მასალასთან. ეს არის:

1. რიუნოსკე აკუტაგავა – „რასიომონის კარიბჭე“;
2. მიგელ დე სერვანტესი – „დონ კიხოტი“ (პროლოგი და ეპილოგი);
3. რიუნოსკე აკუტაგავა – „ხინა-თოჯინები“;
4. უილიამ შექსპირი – „ნნ-ე სონეტი“;
5. შარლ ბოდლერი – „თრობა“;
6. ედუარდ ჰეილი – „უსამშობლო კაცი“;
7. ჰიუგოძენ დაიდეძინი – (უსათაურო);
8. სტეფან მალარმე – „გედი“;
9. ალბერ სამენი – „სალამო“;
10. თომას ელიოტი – „კლდე“;
11. ჰორაციუსი – (უსათაურო);
12. ხორხე ლუის ბორხესი – „წარსულის ფლობა“;
13. გივი გეგეჭკორი – „ისტორიული სახელებით თრობა“;
14. ნუგზარ შატაიძე – „სვეტიცხოველი“;
15. ბორის პასტერნაკი – (უსათაურო);
16. პაოლო იაშვილი – „უნდა აყვავდეს მალე ქვიშნები“;
17. გიომ აპოლინერი – „მირაბოს ხიდი“;
18. ხალხური – „შემომეყარა ყივჩალი“;

19. გოდერძი ჩოხელი – „მე და ყივჩაღი“;
20. მანანა ჩიტიშვილი – „ყივჩაღის კიდევ ერთი გახსენება“;
21. ნუნუ ჯანელიძე – „უნდა შეგყროდა გზაზე ყივჩაღი“;
22. იოჰან ვოლფგანგ გოეთე – „ფაუსტი“;
23. ტიცინი ტაბიძე – „ალავერდი“;
24. ანა კალანდაძე – „მას ალავერდის დიდებულ ტაძარს“;
25. გიორგი ლეონიძე – „გომბორი“;
26. ნიკოლაი რერიხი – „ვიხილავთ“;
27. მიქელანჯელო ბუონაროტი – „სონეტი“;
28. ფრანც კაფკა – „ლამით“;
29. შუამდინარული ეპოსი – „გილგამეშიანი“ (ამონარიდი);
30. ვირჯინია ვულფი – „როგორ წავიკითხოთ წიგნი“;
31. უოლტ უიტმენი – „მეგობარო, ეს არ არის წიგნი“;
32. ხორხე ლუის ბორხესი – „კედელი და წიგნები.“

ესაა საკითხავი მასალა, რომელიც მოიცავს ქართული და საზღვარგარეთული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს. მათი დალაგებისას ვიხელმძღვანელებთ თემატიკურ-ბუდობრივი პრინციპით.

ტექსტების დამუშავება გათვალისწინებულია ინტერაქტიური მეთოდების გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრით, კითხვის სტრატეგიების სრულყოფას, მეორე მხრით კი – მოსწავლეთა შემოქმედებით აქტივიზაციასა და სასწავლო პროცესში ჩართულობას. მეთოდურ აპარატში ტექსტის კითხვა-დამუშავებასთან დაკავშირებული კითხვები მოცემულია შემდეგი თანმიმდევრობით: **გავიგოთ** (ექსპლიციტური – ფაქტობრივ მასალაზე ორიენტირებული), **გავიაზროთ**, **შევაფასოთ** (იმპლიციტური – ანალიზზე, შეფასებასა და სინთეზზე ორიენტირებული).

ლიტერატურულ ტექსტებთან მჭიდრო კავშირშია მეტყველების სტილის საკითხებიც, რაც გულისხმობს როგორც მწერლის ენობრივ თავისებურებებში გარკვევას (ეს ტექსტის მართებულად აღქმის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია), ასევე სათანადო სამეტყველო უნარ-ჩვევების დაუფლებას. სახელმძღვანელოში ამ მიზნითაც არის მოცემული დავალებები და გარკვეული რეკომენდაციები. საგანგებო ყურადღება ექცევა ფუნქციონალური სტილის საკითხების გაცნობასა და ამ კუთხით სხვადასხვა სახის ტექსტების ძირითად თავისებურებებში გარკვევას. ვამახვილებთ ყურადღებას პრაქტიკული სტილისტიკისა და ფუნქციური წერის ელემენტებზე.

წიგნში ცალკე რუბრიკის სახით ვთავაზობთ მოსწავლეებს ამონარიდებს ცნობილი კრიტიკოსების ნააზრევიდან („თვალსაზრისი“), რაც მათ, ჩვენი აზრით, გაუადვილებს ამა თუ იმ ტექსტის გააზრებას, განუვითარებს კრიტიკულ აზროვნებას და დაეხმარება საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებაში.

ბ) „მასწავლებლის წიგნი“ წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს მასწავლებლისათვის. აქ წარმოდგენილია მასალა ლიტერატურული კომენტარების სახით, რაც, ჩვენი აზრით, დახმარებას გაუწევს მასწავლებელს. მისი გადასაწყვეტია, რა სახით, რა მოცულობით გამოიყენებს მას გაკვეთილზე.

აქვე ვურთავთ პროგრამა-სილაბუსის ნიმუშსაც. მასში მითითებული საათების განაწილება საორიენტაციოა და მისი შეცვლა მასწავლებელს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ კლასის საერთო დონის გათვალისწინებით.

## **პროგრამა-სილაბუსი (ნიმუში)**

საგანი – ქართული ენა და ლიტერატურა

კლასი – მე-12

პედაგოგი –

კურსის მოცულობა – 170 აკადემიური საათი (34 სამუშაო კვირა, 5 კვირეული საათი).

ა) სასწავლო კურსის მიზნებია:

*ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება:*

- სხვადასხვა სახის ზეპირი ტექსტების ანალიზი ტონალობის, ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურისა და ეფექტურობის თვალსაზრისით;
- ადეკვატურად, გამართულად და დამარწმუნებლად მეტყველება;
- ნაკითხული ტექსტის კონსტრუირება (ენობრივი ანალიზი და სინთეზი);
- ტექსტების სახეების ამოცნობა და განმარტება მათ სტრუქტურულ-გრამატიკულ თუ სტილისტურ თავისებურებებზე დაყრდნობით;
- ტექსტებში მოცემული გრამატიკული კონსტრუქციების გამოყოფა და მათი სათანადო ინტერპრეტაციით წარმოდგენა;
- სხვადასხვა ტიპისა და სტილის ტექსტების გამართულად წერა; გრამატიკის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის წესების მართებულად გამოყენება ტექსტის ასაგებად და დასახვეწად.

*ენის კომუნიკაციური ასპექტების გაგება-გამოყენება:*

- იმ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებისა და სტრატეგიების განვითარება, რაც უზრუნველყოფს სოციალურ გარემოში პიროვნების ადეკვატურ თვითგამოხატვას; საუბრის, დისკუსიის, დებატების, სხვადასხვა თემაზე კამათის წარმართვას;
- სხვადასხვა სახის ზეპირი და წერილობითი ტექსტის შეფასება მათი საკომუნიკაციო ამოცანის გათვალისწინებით;
- ნაკითხულის გადამოწმება და შეფასება სანდოობის, აქტუალურობის, პოპულარობისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით;
- კონკრეტული საკითხის შესასწავლად ინფორმაციის მოძიება, კრიტიკულად გადამოწმება და მონაცემთა ბანკის შედგენა;
- სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის ნებისმიერი ტიპის წერილობითი ტექსტის შეთხზვა.

*მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა:*

- არგუმენტირებული მსჯელობა სხვადასხვა ჟანრის მხატვრულ ტექსტებში გამოვლენილი მსოფლმხედველობრივი საკითხებისა და ლიტერატურული თავისებურებების შესახებ;
- ლიტერატურულ ნაწარმოებზე სუბიექტური მოსაზრების ჩამოყალიბება და წარმოჩენა;
- ლიტერატურულ ნაწარმოებებში მხატვრული აზროვნების ფორმების იდენტიფიცირება, შედარება, შეპირისპირება, დაკავშირება და ანალიზი;
- სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურულ ტექსტებში ასახულ კულტურულ ფასეულობათა გააზრება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
- სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ტექსტის შექმნის პროცესში ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გამოცდილების რეალიზება;

- ნერილობით ტექსტებში საკუთარი პოზიციისა და ღირებულებითი დამოკიდებულებების სხვადასხვა ლიტერატურული ფორმით წარმოჩენა;
- ქართული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისა და უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირის აღქმა-გააზრება.

**ბ) სასწავლო კურსის შინაარსი** (თემებისა და საკითხების ჩამონათვალი მათი დამუშავებისათვის განკუთვნილი სავარაუდო საათების მითითებით):

**1. ტექსტი** – დ. კლდიაშვილი, ბიოგრაფია, „სამანიშვილის დედინაცვალი“.

**ენა** – მწერლის ენა და სტილი; ფრაზეოლოგიზმები, იმერული დიალექტიზმები; მეტყველების ტიპები: თხრობა; თხრობის სახეები: გავრცობილი და ლაკონიური.

**ლიტ. თეორია** – ლიტერატურული მიმდინარეობანი: რეალიზმი, ნატურალიზმი; ტრაგიკული და კომიკური, მათი სინთეზი მხატვრულ ტექსტში; ლიტერატურული ჟანრები; სიმბოლო, ალეგორია, პეიზაჟი, როგორც მხატვრული გამოსახვის საშუალებები. – 8 სთ.

**2. ტექსტი** – რიუნოსკე აკუტაგავა, „რასიომონის კარიბჭე“. – 3 სთ.

**შემაჯამებელი გაკვეთილი** – ლიტერატურული პარალელები. – 1 სთ.

**3. ტექსტი** – მიგელ დე სერვანტეს საავედრა, „დონ კიხოტი“ (ნაწყვეტი). – 4 სთ.

**4. ტექსტი** – მ. ჯავახიშვილი, ბიოგრაფია, „ჯაყოს ხიზნები“.

**მეტყველების კულტურა** – ფუნქციონალური სტილისტიკის საკითხები: ოფიციალურ-საქმიანი სტილი – ოქმი; სამეცნიერო სტილი – რეფერატი.

**ლიტ. თეორია** – ლიტერატურული ჟანრისა და გვარის ცნება, ბელეტრისტიკა, რომანი, ტრილოგია; ლიტერატურული მიმდინარეობანი: მოდერნიზმი, სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი, ფუტურისმი; ტიპი და პროტოტიპი, პროტაგონისტი. – 10 სთ.

**5. ტექსტი** – რიუნოსკე აკუტაგავა, „ხინა თოჯინები“. – 3 სთ.

**შემაჯამებელი გაკვეთილი:** ლიტერატურული პარალელები – 1 სთ.

**6. ტექსტი** – უილიამ შექსპირი, 66-ე სონეტი.

**ენა** – მხატვრული თარგმანის ენა.

**მეტყველების კულტურა** – ფუნქციონალური სტილისტიკის საკითხები: ბიოგრაფია, ავტობიოგრაფია.

**ლიტ. თეორია** – სონეტი, როგორც სალექსო ფორმა, მისი სპეციფიკა – 2 სთ.

**7. ტექსტი** – პ. კაკაბაძე, „ყვარყვარე თუთაბერი“.

**ლიტ. თეორია** – ლიტერატურის ჟანრები: დრამა, მისი სახეები და მახასიათებლები – 7 სთ.

**შემაჯამებელი გაკვეთილი:** „ყვარყვარეში – საზოგადო მოვლენა“. – 1 სთ.

**8. ტექსტი** – ნიკო ლორთქიფანიძე, „შელოცვა რადიოთი“.

**ენა:** – მწერლის ენის სტილური თავისებურებანი.

**ლიტ. თეორია** – იმპრესიონიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა; სიუჟეტი და მისი ნაწილები; ეპიგრაფი. – 8 სთ.

**9. ტექსტი** – შარლ ბოდლერი, „თრობა“.

**ლიტერატურის თეორია** – მოდერნიზმი, იმპრესიონიზმი; ესკიზი, მინიატურა, ნოველა. 2 სთ.

**10. ტექსტი** – ედუარდ ჰეილი, „უსამშობლო კაცი“. 6 სთ.

**შემაჯამებელი გაკვეთილი.** 1 სთ.

**11. ტექსტები** – გალაკტიონ ტაბიძე, ბიოგრაფია, „თოვლი“, „მთანმინდის მთვარე“, „მშობლიური იფემერა“, „შერიგება“, „მე და ღამე“, „სილაყვარდე ანუ ვარდი სილაში“, „ქებათა ქება ნიკორწმინ-



დას“; სტეფან მალარმე, „გედი“; ჰორაციუსი, „ძეგლი ავაგე...“; ტომას სტერნზ ელიოტი, „კლდე“ (ქოროები პოემიდან).

**ლიტ. თეორია** – ტროპული მეტყველება, ალიტერაცია, პოეტური ლიცენცია, ლექსის ზომა, რითმა, რიტმი; ლიტერატურული მიმდინარეობა –სიმბოლიზმი. 17 სთ.

**შემაჯამებელი გაკვეთილი:** „მე ვხედავ გალაკტიონს“. 1 სთ.

**12. ტექსტი** – კონსტანტინე გამსახურდია, ბიოგრაფია, „დიდოსტატის მარჯვენა“.

**ენა** – მწერლის ენა; გამსახურდიას ენის სტილური თავისებურებანი, ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმები.

**ლიტ. თეორია** – პროლოგი და ეპილოგი, წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობა, მათი ფუნქცია; გმირის პორტრეტი; სახე-სიმბოლოები, ფერთა სიმბოლიკა. 15 სთ.

**13. ტექსტები** – ნუგზარ შატაიძე, „სვეტიცხოველი“; მანანა ჩიტიაშვილი, „სალამო ჯვრის მონასტერთან“; გივი გეგეჭკორი, „ისტორიული სახელებით თრობა“.

**მეტყველების კულტურა** – პროექტის მომზადება და პრეზენტაცია, მისი შეფასება. 4 სთ.

**შემაჯამებელი გაკვეთილი:** 1 სთ.

**14. ტექსტები** – ტიცვიან ტაბიძე, ბიოგრაფია, „ლექსი მენყერი“, „ანანურთან“; მოგონებები ტიცვიანზე, ბორის პასტერნაკი, უსათაურო.

**ლიტ. თეორია** – ტროპული მეტყველება; სიმბოლიზმი, „ცისფერყანწელები“. 5 სთ.

**15. ტექსტი** – პაოლო იაშვილი, „უნდა აყვავდეს მალე ქვიშნები“. 2 სთ.

**16. ტექსტი** – გიიომ აპოლინერი, „მირაბოს ხიდი“.

**ლიტ. თეორია** – კონტრასტი, რეფრენი; სიურეალიზმი. 2 სთ.

**17. ტექსტები** – გიორგი ლეონიძე, ბიოგრაფია, „ყვიჩაღის პაემანი“, „ნინონმინდის ღამე“, ხალხური „შემომეყარა ყვიჩაღი“; გოდერძი ჩოხელი, „მე და ყვიჩაღი“; მანანა ჩიტიაშვილი, „ყვიჩაღის კიდევ ერთი გახსენება“; ნუნუ ჯანელიძე, „მე და ყვიჩაღი“.

**ლიტ. თეორია:** ლირიკა, მისი მახასიათებლები, ტროპული მეტყველება.

**მეტყველების კულტურა:** დისკუსია, დებატები, კამათი. 10 სთ.

**შემაჯამებელი გაკვეთილი:** 1 სთ.

**18. ტექსტები** – გურამ რჩეულიშვილი, „ალავერდობა“; იოჰან ვოლფგანგ გოეთე, „ფაუსტი“ (ამონარიდი); ტიცვიან ტაბიძე, „ალავერდობა“; გიორგი ლეონიძე, „გომბორიდან“; ანა კალანდაძე, „მას, ალავერდის დიდებულ ტაძარს“. 10 სთ.

**19. ტექსტები** – ანა კალანდაძე, ბიოგრაფია, „მკვდართა მზე ვარ“; მიქელანჯელო ბუონაროტი, „სონეტი“; ნიკოლაი რერიხი, „ვიხილავთ“. 4 სთ.

**შემაჯამებელი გაკვეთილი** – 1 სთ.

**20. ტექსტი** – ჯემალ ქარჩხაძე, „იგი“.

**ენა** – მწერლის ენა, ჯემალ ქარჩხაძის ენის სტილური თავისებურებანი. 6 სთ.

**21. ტექსტები** – ფრანც კაფკა, „ღამით“. „გილგამეშიანი“ (შუამდინარეული ეპოსი). 3 სთ.

**შემაჯამებელი გაკვეთილი:** 1 სთ.

**22. ტექსტი** – გურამ დოჩანაშვილი, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

**ენა** – მწერლის ენა, გ. დოჩანაშვილის ენის სტილური თავისებურებანი. 10 სთ.

**23. ტექსტები** – უოლტ უიტმენი, „მეგობარო, ეს არ არის ნიგნი“; ხორხე ლუის ბორხესი, „კედელი და ნიგნები“; ადელაინ ვირჯინია ვულფი, „როგორ წავიკითხოთ ნიგნი?“

**მეტყველების კულტურა:** დისკუსიის ხელოვნება. 5 სთ.



გ) წლის ბოლოს მოსალოდნელი შედეგები – ამ მასალის შესწავლის შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

XII.1. სასწავლო პროექტის წარმოდგენა აუდიტორიის წინაშე.

XII.2. თანაკლასელთა მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროექტების კრიტიკულად გაანალიზება და შეფასება.

XII.3. სასწავლო პროექტის პრეზენტაციის შესაბამისი ხერხების ამოცნობა და გამოყენება.

XII.4. სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება სასწავლო პროექტის პრეზენტაციისათვის.

XII.5. სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნისა და კულტურის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.

XII.6. სხვადასხვა ტექსტში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების ერთმანეთთან შედარება.

XII.7. გაანალიზოს კულტურული, სოციალური და ისტორიული ფასეულობების გავლენა ტექსტსა და მის ინტერპრეტაციაზე.

XII.8. მხატვრული ენის სხვადასხვა ასპექტის გაანალიზება.

XII.9. გაანალიზოს, რა გავლენას ახდენს ავტორის ენობრივი არჩევანი მკითხველზე.

XII.10. კითხვის ეფექტური სტრატეგიების არჩევა და გამოყენება.

XII.11. გამოკვლევის (მცირე მოცულობის სამეცნიერო ნაშრომის) დაწერა წინასწარ შერჩეულ თემაზე.

XII.12. სასწავლო რეფერატის დაწერა რამდენიმე წყაროს მიხედვით.

XII.13. მხატვრული ნაწარმოების ანალიზის დაწერა.

XII.14. წერის სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

**შენიშვნა:** სილაბუსში მოცემული მასალა განანილებულია 31 სამუშაო კვირაზე (155 სთ). 3 სამუშაო კვირას – 15 საათს – მასწავლებელს ვუტოვებთ გეგმიური წერითი სამუშაოებისათვის, აგრეთვე – დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

# 1. დავით კლდიაშვილი – „სამანიშვილის დედინაცვალი“

(ლიტერატურული კომენტარები)

## სამანთან მდგარი სამანიშვილები

„ყველა დიდი მხატვარი სასტიკია და უღმობელი, როგორც თვით ცხოვრება,“ – წერდა ლეო ტოლსტოი დავით კლდიაშვილის პროზის არსის გააზრებისას.

„სამანიშვილის დედინაცვალი“ ისტორიულ სამანთან – ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის, ორი ფორმაციის მიჯნაზე მდგარი ქართული ოჯახის ტრაგედიას წარმოაჩენს. ნაწარმოების თემა სიმამრთან, პავლე მაჭავარიანთან საუბრისას „ამოსჩენია“ დავით კლდიაშვილს.

სიმამრი, თურმე, ეხუმრებოდა კიდეც სიძეს, ვერ ყოფილხარ პატიოსანი მწერალი, თხზულებისათვის უნდა მიგენერა, „მოთხრობა პავლე მაჭავარიანისა და დავით კლდიაშვილისა“.

როგორც მწერლის ვაჟი, სერგო კლდიაშვილი იგონებს, მსგავსი ამბავი შემთხვევია პავლე მაჭავარიანის მეგობარს, მეზობელ სოფელში მცხოვრებს.

**ბეკინას პროტოტიპი ყოფილა მალალი, გამხდარი აზნაური ივანე ავალიშვილი, რომელიც, უფროს შვილთან გამოყოფის შემდეგ, ბედნიერად ცხოვრობდა მეორე ცოლ-შვილთან.**

სიმამრის მონათხრობს დავით კლდიაშვილის ნაწარმოებში სრული ტრანსფორმაცია განუცდიდა: მამის ახირებით შეძრწუნებული პლატონი თავად ეძებს და პოულობს ორნაქმრევ და უშვილო სადედინაცვლოს, მაგრამ, ბედის ირონიით, ელენე ქვაშავიძე სწორედ ბეკინას ხელში „გამოიჩენს თავის ქალობას“, ჩნდება მოზიარე-მონილე, რაც, საკმაოდ ღარიბი პლატონ სამანიშვილის აღქმით, ტრაგედიის, ოჯახის დაქცევის ტოლფასია.

„პლატონის მიერ დიდი ვაი-ვაგლახით მიგნებულ დედინაცვალს შვილი ეყოლა. ნესით და ბუნებით, ეს სასიხარულო, ბედნიერი მოვლენა უნდა ყოფილიყო, მაგრამ... უთუოდ შეგ ზარავთ მოთხრობის ბოლოს სამინელება და აქამდე ღიმორეულ სახეს მოგიქცევთ თავ ზარდამცემი შიში ადამიანისათვის“ (ლ. ქიაჩელი).

პლატონის ოდისეა წარმოადგენს ნაწარმოების სიუჟეტურ ღერძს. ეს ოდისეა იმდენად საინტერესოა, პეტრე უმიკაშვილს დავით კლდიაშვილისთვის საყვედური უთქვამს, ზარმაცი ყოფილხარ, რა უცებ მონახვინე სამანიშვილს სადედინაცვლო, ქართლ-კახეთიც უნდა მოგეტარებინაო (ბ. ბარდაველიძე).

ჯერ კიდევ ილია წუხდა, საქართველოს ისტორია მეფეთა ისტორიააო.

დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“ პერსონაჟები: ბეკინა, მარიკა, პლატონი, მელანო, ელენე, დარიკო, კირილე მიმინოშვილი, ივანე გვერდევანიძე, არისტო ქვაშავიძე, ჯიმშერ სალობერიძე, ბრეგაძეები „პატარა ადამიანები“ არიან, დიდი სატყვიარ-საზრუნავის მქონენი.

მაკა ჯოხაძე წერს: „კლდიაშვილის ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ უაღრესად დიდი განსხვავება ცხოვრებასა და იდეალს შორის, ხოლო კომიზმს ის ქმნის, რომ ამ სხვაობას ქართველი აზნაურები ლამაზილივით ვერ ხედავენ. შუასაუკუნეობრივ რაინდობას ყველი გასვლია და კონკრეტულ მტრად მხოლოდ ქარის წისქვილები დარჩენილა“.

ქართულ კრიტიკაში მრავალგზის გამოუთქვამთ აზრი დავით კლდიაშვილისა და სერვანტესის მხატვრულ სამყაროთა მსგავსების შესახებ. „სამანიშვილის დედინაცვლის“ განხილვისას თამაზ ჭილაძე აღნიშნავდა: „პლატონ სამანიშვილის პატიოსნება იმ გარემოში, სადაც ის ცხოვრობს, ისევე სასაცილოა, როგორც სერვანტესის დონ კიხოტის, ლამაზილი იდალგოს, აბჯარი მისი თანამემამულეებისათვის. პლატონი სიღარიბისაგან გამწარებულია, სწორედ ამიტომ, ამაყიც. ეს სიამაყე კი არა, თავდაცვის იარაღია, ფარია, რომლითაც ის შიშველ, დაჭრილ გულს მალავს. პლატონს უყვარს თავისი ახლობლები და, ყველაზე მეტად, მამა – ისეთივე ამაყი, ისეთივე კუდაბზიკა, ისეთივე უმწეო. ამ უმწეობის დასაფარავად ორივე ხმამაღლა ლაპარაკობს.“

ორივემ კარგად იცის, რომ ამქვეყნად, ერთმანეთის მეტი, არავინ ჰყავთ. უმწეობის შეგრძნება, განწირულების წინათგრძნობა საძირკველში ჩამდგარი წყალივით ნელ-ნელა აცლის ძირს იმ შენობას, რომელსაც მამაშვილური სიყვარულის სახლი ჰქვია.

მამამ კი არა, ისევე ცხოვრებამ დასცინა პლატონს, ისევე მან გამოჰკრა ფეხი: საყმანვილო სენი შეეყარა ბატონ ბეკინას სიბერეში – სიყვარულის ფინი. ეს ნორმალური ვნება მეტისმეტი ფუფუნებაა ხელმოკლე ოჯახისათვის.

„სამანიშვილის დედინაცვალს“ გარეგნულად არავითარი მსგავსება არა აქვს „დონ კიხოტთან“, მაგრამ მისი სულიც გამსჭვალულია ადამიანისადმი უსაზღვრო თანაგრძნობით, უხამსობის ზღვაში პატიოსანი სულის სანთელივით ფრთხილად ტარებით“.

იქნებ, მწერალი-კრიტიკოსი ზედმეტად მიმტევებელია პლატონისადმი?

განა „უხამსობის ზღვაში პატიოსანი სულის სანთელივით ფრთხილად მატარებელი“ კაცი, როგორადაც წარმოჩენილია პლატონი, დაუნდობლად მოეპყრობოდა მამას, საცემად გაიმეტებდა ასაკოვან დედინაცვალს, რომელსაც შვილოსნობის ბედნიერება აღირსა უფალმა, არად ჩააგდებდა მშობლის სიკვდილისწინა თხოვნას და პანია ნახევარძმას, „ჩითისბლუზიან“ ლამაზ ბიჭს, ლობესა და სახლს არ შეარჩენდა?!

პლატონი სახელს უფრთხილდება („რატომ მკვდარი არა ვარ ახლა!“ – ფიქრობს სასონარკვეთილი, როდესაც კირილე, სალობერიძის ოჯახში სტუმრობისას, მისი მოგზაურობის ნამდვილ მიზანს გაამჟღავნებს), მაგრამ არ უფრთხილდება სულს, არღვევს ღვთის მცნებებს, განირავს მშობელსა და ძმას.

განა მატერიალური გაჭირვების გაცნობიერებით აღძრული სასონარკვეთა უნდა აღემატოს სამყაროში ახალი სიცოცხლის მოვლინებით გამონვეულ სიხარულს?!

გაცილებით შემწყნარებელი და მშვიდია მელანო, მეუღლე პლატონისა.

„უხამსთა მოდგმის“ ტიპურ წარმომადგენლად ნათლავს თამაზ ჭილაძე პლატონის სიძეს, კირილე მიმინოშვილს.

კირილე უდარდებლობის განსახიერებას: „ჩვენ გახლავართ მიმინაშვილები! მიმინოს შვილები... მიმინოს!... ჩვენთან რა უნდა მწუხარებას... ჩვენ თავს არავის დავატყვევებინებთ... გვაროვნობით ვართ ასე, სადაც სიამეა და მოლხენა, იქ ჩვენცა ვართ... ორიოდ დღე ვიცოცხლო, გული მწუხარებით ევივსო, მოლხენა დავაკლო და ისე წავაყრევინო ზედ მიწა?!“

„კირილეს გავგებულნი შევარდნა მამიდამისის ოჯახში, სადაც ძველი სააღმშრებო სურათებით ჯერაც სუნთქავს სალონური ატმოსფერო, ჩაის ფაიფურის ფინჯნებით მიირთმევენ, ისევე, როგორც შაფათაძის ქორნილში ატეხილი შარი, მიმინოშვილის უსაქციელობის რიგითი გამოვლენაა. დასცინა მან ოჯახს, რომელშიც გარდასული სიდიადის შენარჩუნებას კედლებზე სურათებად ჩამოკონწიალებული წინაპრების აჩრდილებით ცდილობენ... მოჩანს იგი ამ სცენაში მხოლოდ ფიზიკური, მხოლოდ ღიპიანი, სხეულიანი, და არაფრით – სულიერი“ (მ. ჯობაძე).

„ყოველი ქართველის სულში ერთდროულად ზის ორი არსება – დავით კლდიაშვილის ანტიპოდური წყვილი: სიმწრის ოფლში განურული, სირცხვილით განანამები პლატონი და თავზეხელაღებული, ქვეყნისდამქცევი კირილე“, – წერს ბ. ბარდაველიძე.

მკვლევარნი საგანგებოდ უსვამენ ხაზს იმას, რომ ნაწარმოებში წარმოჩენილია განთქმული იმერული ზრდილობა: „არც ერთი კომიკური გამოხდომა, როცა მოხუცი, „ერთობ გადაპრანჭული“ ბეკინა ცოლის შერთვას გადაწყვეტს, არსად ზედმეტი ხუმრობა და ირონია, როდესაც დედაბერი პატარძლად შემოდის ოჯახში“ (თუ არ ჩავთვლით კირილეს რეპლიკას, რამდენ დედაბერს სანატრელს გავუხდით უშვილობასო).

ყოფით სიტუაციებს, წვრილმან საზრუნავს შეუპყრია განვალებული, სიდუხჭირით განამებული პატარა ადამიანები. სიზმარიც კი არა აქვთ. კომმარი ტანჯავს პლატონს: ეზოში გაშლილან მოწრიალე ქათმები, ბატები, იხვები, ინდაურები. ზოგი დედინაცვალს მისდევს, ზოგიც – გერს. ვინ გამოაგდო გარეთ სანაშენე ღორი, გამოალაგა კოდი, საცერი, ქოთნები?! სული ეხუთება სამანიშვილს, მოესმის შემადრწუნებელი ძახილი: „შუაზე! „შუაზე!“

(სიზმრის მოთხრობად გადაკეთება კონდრატე მხეიძეს ურჩევია დავით კლდიაშვილისათვის).

„ომის მეტი, ვერაფერი უშველის ქვეყანას, ხალხი ისე მომრავლებულაო,“ ივანე გვერდევანიძესთან საუბრისას წამოსცდება პლატონს... მკითხველს შეაძრწუნებს „თავზარდამცემი შიში ადამიანისათვის“ (ლ. ქიაჩელი).

ტკივილით წერს ტიცციან ტაბიძე დავით კლდიაშვილის სამყაროს შესახებ:

„აქ დოღია გამართული – ვინ ვის მოატყუებს, ვინ ვის რამეს ნაჰგლეჯს, ვინ ვის მოასწრებს და თვალს დასთხრის. და ეს აზნაურები შთამომავალნი არიან იმ გულზვიადი ფეოდალებისა, რომელთა რომანტიული თავგადასავლებით სავსე იყო წინათ იმერეთი. ამ ფეოდალების ნაშთებს უკვე გამოცლილი აქვთ ნიადაგი. ნატურალური მეურნეობის მოსპობამ, კაპიტალიზმმა და ეროვნული ფუნქციის მოშლამ წელში გატეხა ეს ხალხი. რაღაც სტიქიონივით იბრძვის იგი სიკვდილის წინ და ეს სიკვდილის ჟრუანტელი, ეს აგონია აქვს აღწერილი დავით კლდიაშვილს. ის არის მისი მეისტო-

რიე, აქ თითქოს თვითონ ისტორია წერს კლდიაშვილის ხელით“.

„სამანიშვილის გაძვალტყავებული მერანი იმერეთის როსინანტია,“ – სწამდა ტიცციანს.

კანონმა, იქნებ, მიაკუთვნოს კიდევ კუთვნილი პატარა სამანიშვილს, რომელმაც არც კი იცის, რა დავიდარაბა გამოიწვია მისმა დაბადებამ.

მთავარი უკვე დამსხვრეულია – დაკარგულია სიყვარული, თანაღმობა და შეწყალება.

„ქვეტექსტის დიდი პოეზიაა“ (თ. ჭილაძე) „სამანიშვილის დედინაცვალში“.

„დავით კლდიაშვილმა იშვიათი სიძლიერით დაგვიხატა ბინდნაკრავი ქვეყანა. ამ ქვეყანაში იმდენი სევდაა, მონყენა და მარტოობა, რომ მკითხველს ბოლოს აღარც ახალისებს პერსონაჟთა სასაცილო უხერხულობანი... პერსონაჟები ჰგვანან შემოდგომის ნაშუადღევს ანაზღვეულად მოვარდნილი ქარის მიერ ველიდან მალლა ატაცებული ფოთლების ორომტრიალს. ქარმა იმძლავრა და ნაღვლიანი ქვეყნის უკანასკნელი მგზავრებიც წაიყვანა“ (აკ. განერელია).

## პლატონ სამანიშვილი

დავით კლდიაშვილს მიაჩნდა, რომ „გარემოება აღვიძებს როგორც ცუდს, ისე კარგს მხარეს ადამიანის ბუნებისას. უსარგებლოა ადამიანის ისე სინჯვა, თითქოს იგი იყოს დამთავრებული ტიპი“.

პლატონ სამანიშვილი „სამანიშვილის დედინაცვლის“ მთავარი პერსონაჟია, „ერთობ გადაპრანჭული“ ბეკინა სამანიშვილის ვაჟი.

ნაწარმოების დასაწყისშივე ვეცნობით პლატონს, მორიდებულ, მოკრძალებულ კაცს, რომელსაც მამის გადაპრანჭულობისა და მედიდურობისა რცხვენოდა. ახალგაზრდა სამანიშვილი უფლის მადლიერი იყო, მონილე რომ არა ჰყავდა. საწყენად ცოლის, მელანოს, ხშირი შვილოსნობაღა ჰქონდა. მამა ხარხარით აგულიანებდა, ღმერთს სურს, სამანიშვილები მოამრავლოს, რჩეულთათვის უნდა ქვეყანაო.

სამანთან მდგარს ვხედავთ პლატონს, როდესაც ასაკოვანი ბეკინა ცოლის შერთვას აიხირებს.

ხათრიანი, მორიდებული პლატონი ცდილობს, მშობელს აზრი შეაცვლევინოს. რად მღუპავო, მუდართ ეკითხება, მაგრამ, რაკი ვერას გააწყობს, გადანყვეტს, საკუთარ გასაჭირს თავადვე უწამლოს – ორნაქმრევი, უშვილო სადედინაცვლო იპოვოს.

„ქართული ანდა ზაა: გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას მაჩვენებო. პლატონ სამანიშვილი ქართველი კაცი იყო და, ამასთან, აზნაური“.

ნათხოვარი, ზურგგადაღლებილი ცხენით გაეშურა სადედინაცვლოს საძებნელად. ტიცციან ტაბიძე პლატონის „მერანს“ „იმერეთის როსინანტად“ ნათლავს.

„სხვის შესახედავად“ წაყვანილი, ილაჯგანყვეტილი ცხენის აღვირის ხშირი ქაჩვა აღიზიანებს პლატონს, გაგულისებული უღრიალებს გასაცოდავებულ პირუტყვს: „შენც ჯინაზე მიდგები, შე ოხერო? შენ მაინც მოგერევი, სხვასთან თუ ვერაფერი გავანყვე!“

საშინლად აღიზიანებს ივანე გვერდევანიძესთან შეხვედრაც („ყოველი მოხუცი კაცის დანახვა ეჯავრებოდა თავისი მამის გამო“), თუმც სწორედ სოფლის ადვოკატისაგან შეიტყობს ბრეგაძეთა ორნაქმრევი, უშვილო დედინაცვლის შესახებ.

გვერდევანიძესთან საუბრისას იტყვის, ომის მეტი, ვერაფერი უშველის ქვეყანას, ხალხი ისეა მომრავლებულიო. თუმც მაინც დასძენს: „ნამეტან უსაშველობაში ვართ ჩავარდნილი. გასაკვირველია, რომ კიდევ ასე ხალისიანად ვართ... თავს თუ არ მივეძალეთ, გული თუ არ გავიმაგრეთ, სულ ნავხდებით“.

პლატონს, სადედინაცვლოს მძებნელს, აეკიდება სიძე, კირილე მიმინოშვილი, რომელიც ჯიმ-შერ სალობერიძის ოჯახში სახალხოდ წამოაყრანტალებს პლატონის მოგზაურობის ნამდვილ მიზეზს. მკვდარი ვიყო, ნატრობს ნირნამხდარი სამანიშვილი.

სალობერიძეთა სტუმარი, არისტო ქვაშავიძეც რომ აუნყებს თავისი ორნაქმრევი, უშვილო მამიდის, ელენეს, შესახებ, პლატონი ამას უკვე განგების ნებად აღიქვამს (ქვაშავიძის მამიდა იგივე ბრეგაძეთა დედინაცვალია).

სამანიშვილები ქორწილს გადაიხდიან. ოჯახში სიამტკბილობა მანამ გრძელდება, სანამ მელანო (პლატონის მეუღლე) ორსულობის ნიშნებს შეამჩნევდეს დედინაცვალს.

შეძრწუნებული პლატონი „გაცეიბული თვალებით მისჩერებია ამ უღვთო, შეჩვენებულ, დაწყ-



ველილ დედაკაცს, რომელთანაც არც პატივისცემა გაუვიდა, არც სიყვარული, არც სამსახური“.

სამინელ სიზმარს ხედავს დაზაფრული სამანიშვილი: მობაჯბაჯებს მისკენ დამძიმებული ელენე, ამოდ უყვირის გერი, გამეცალეო. ეზოში გაშლილან მონრიალე ქათმები, ბატები, იხვები, ინდაურები. ზოგი დედინაცვალს მისდევს, ზოგიც – პლატონს. ვინ გამოაგდო გარეთ სანაშენე ღორი, გამოალაგა კოდი, საცერი, ქოთნები?! სული ეხუთება სამანიშვილს, სული ეხუთება; მოესმის შემადრწუნებელი შეძახილი: „შუაზე! შუაზე!“

„მეიცადეთ! ეგებ მკვდარი დეიბადოს!“... ყოველივე იშლებოდა, ნაწილდებოდა. პლატონის ძახილი არავის ეყურებოდა, მხოლოდ ელენეს ბრძანებას მისდევდნენ: „მალე! მალე! ყველაფერი გაჰყავით!“

უღონო, გულჩათუთქული, განინმატებული პლატონი მოსწყდა ადგილს, მოინდომა წყეული დედინაცვლის მიხრჩობა, მაგრამ იქვე დაეცა უძღურივით ატირებული, ბავშვივით აღრიალებული...

გამოღვიძებულმა, სიზმრით შემკრთალმა პლატონმა პირჯვარი გადაინერა.

მონილის გაჩენამ შეადრწუნა: „რა დააშავა, რა აწყენინა უფალს ამისთანა, რომ ასეთი სასჯელი მიესაჯა?!“

კაცი არ მოუკლავს, არ გაუქურდავს, არავისთვის არაფერი ნაურთმევიანა.

წიხლის ჩაკვრა, მუცლის მოშლა მოუნდომა გამხეცვებულმა გერმა დედინაცვალს. „პლატონი ახლა სწორედ მხეცი იყო, შეუბრალებელი, სისხლისმსმელი“.

როცა უკანასკნელი იმედიც გაუქრა, ვაჟი დაიბადა, მშობელს გაეყარა პლატონი. მამის მუდარას, შემობრალეო, გულგრილად უპასუხა: „მე შემობრალა ვინმემ?!“

გულამღვრეულს არც უნახავს საძულველი ჩვილი. ცოლსაც აუკრძალა.

შვილის სისასტიკემ სიცოცხლე მოუსწრაფა ბეკინას. სიკვდილის წინ შეემუდარა პლატონს, „ეპატიებინა უჭკუობა,“ შეევედრა, შერიგებოდა ძმას, მოევლო მისთვის.

მამის თხოვნის მიუხედავად, პლატონმა აღარც ღობე შეარჩინა მცირეწლოვან ძმას, აღარც ალაგი; იძულებული გახდა დედინაცვალი, ყოველ კვირას სასამართლოში ინანალოს...

პლატონ სამანიშვილის პიროვნებას ქართულმა კრიტიკამ ჯეროვანი ყურადღება მიაპყრო.

ლეო ქიაჩელი წერდა: „პლატონის მიერ დიდი ვაი-ვაგლახით მიგნებულ დედინაცვალს შვილი ეყოლა. წესით და ბუნებით, ეს სასიხარულო, ბედნიერი მოვლენა უნდა ყოფილიყო, მაგრამ... უთუოდ შეგზარავთ მოთხრობის ბოლოს სამინელება და აქამდის ღიმორეულ სახეს მოგიქცევთ თავზარდამცემი შიში ადამიანისათვის“.

თამაზ ჭილაძის აზრით, „პლატონ სამანიშვილის პატიოსნება იმ გარემოში, სადაც ის ცხოვრობს, ისევე სასაცილოა, როგორც სერვანტესის დონ კიხოტის, ლამანჩელი იდალგოს, აბჯარი მისი თანამემამულეებისათვის. პლატონი სიღარიბისაგან გამწარებულია, სწორედ ამიტომ, ამაყიც. ეს სიამაყე კი არა, თავდაცვის იარაღია, ფარია, რომლითაც ის შიშველ, დაჭრილ გულს მალავს. პლატონს უყვარს თავისი ახლობელი და, ყველაზე მეტად, მამა – ისეთივე ამაყი, ისეთივე კუდაბზიკა, ისეთივე უმწეო. ამ უმწეობის დასაფარავად ორივე ხმამაღლა ლაპარაკობს. ორივემ კარგად იცის, რომ ამქვეყნად, ერთმანეთის მეტი, არავინა ჰყავთ. უმწეობის შეგრძნება, განწირულების წინათგრძნობა საძირკველში ჩამდგარი წყალივით ნელ-ნელა აცლის ძირს იმ შენობას, რომელსაც მამაშვილური სიყვარულის სახლი ჰქვია.“

მამამ კი არა, ისევე ცხოვრებამ დასცინა პლატონს, ისევე მან გამოჰკრა ფეხი: საყმანვილო სენი შეეყარა ბატონ ბეკინას სიბერეში – სიყვარულის ჟინი. ეს ნორმალური ადამიანური ვნება მეტისმეტი ფუფუნებაა ხელმოკლე ოჯახისათვის“.

კრიტიკოსი, ალბათ, მეტისმეტად მიმტვევებელია პლატონისადმი. განა „უხამსობის ზღვაში პატიოსანი სულის სანთელივით ფრთხილად მატარებელი“ კაცი, როგორადაც ის ახასიათებს სამანიშვილს, დაუნდობლად მოეპყრობოდა მამას, საცემად გაიმეტებდა ასაკოვან დედინაცვალს, რომელსაც შვილოსნობის ბედნიერება აღირსა უფალმა, არად ჩააგდებდა მშობლის სიკვდილისწინა თხოვნას და პანია ნახევარძმას, „ჩითისბლუზიან“ ლამაზ ბიჭს, ღობესა და ალაგს არ შეარჩენდა?!“

პლატონი უფრთხილდება სახელს, მაგრამ არ უფრთხილდება სულს, არღვევს ღვთის მცნებებს, განირავს მშობელსა და ძმას.

განა მატერიალური გაჭირვების გაცნობიერებით აღძრული სასონარკვეთა უნდა აღემატოს სამყაროში ახალი სიცოცხლის მოვლინებით გამონვეულ სიხარულს?!“

გაცილებით მშვიდი და შემწყნარებელია მელანო, მეუღლე პლატონისა.

ყოფით საზრუნავს შეუპყრია პლატონი, სიზმარიც კი არა აქვს.

„ყოველი ქართველის სულში ერთდროულად ზის ორი არსება – დავით კლდიაშვილის ანტიპოდური წყვილი: სიმნრის ოფლში განურული, სირცხვილით განანამები პლატონი და თავზეხელაღებული, ქვეყნისდამქცევი კირილე,“ – ნერს ბ. ბარდაველიძე.

მაკა ჯოხაძის აზრით, კანონმა, იქნებ, მიაკუთვნოს კიდევ კუთვნილი პატარა სამანიშვილს, მაგრამ მთავარი უკვე დამსხვრეულია – დაკარგულია სიყვარული, თანაღმობა და შეწყალება.

„ლამის მკვლელად იქცეს უკეთილშობილესი პიროვნება – პლატონ სამანიშვილი...“

საშინელმა ეკონომიურმა სიდუხჭირემ სულმოკლეობა დაბადა, სულგრძელობას დაუპირისპირა..“ (ჯ. ლვინჯილია).

„სიკეთეს, ლმობიერებას, თანაგრძნობის ნიჭს პლატონის არსებაში უმოწყალოდ ახშობს სისასტიკე და შეუბრალებლობა, გაბოროტებულ სულში იბადება დაუნდობელი კითხვა: „მე შემობრალებინებ?““

პლატონს არ შეუძლია შერიგება, დათმობა, ბედს დამორჩილება.

მულავნდება ხასიათის მთლიანობა, უცნაური ნათესაობით კვლავ ტრაგიკულ გმირთან რომ ანათესავებს კლდიაშვილის პროზაულ პერსონაჟს.

ხასიათის მთლიანობის, შეურიგებლობის საფასური პიროვნების ზნეობრივი სიკვდილია“ (თ. ვასაძე).

ადამიანს რჩება უფლება – სიდუხჭირემ და ხელმოკლეობამ ვერ აქციოს სულმოკლედ...

## 2. მიხეილ ჯავახიშვილი – „ჯაყოს ხიზნები“

(ლიტერატურული კომენტარები)

1933 წელს, როდესაც საქართველოს მწერალთა ფედერაცია დაიშალა და, მის ნაცვლად, მწერალთა კავშირი დაარსდა, სხვა მწერლებთან ერთად, მიხეილ ჯავახიშვილმა ამგვარი ანკეტა წარუდგინა საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტს: „(წარმო)გიდგენთ სათანადოდ შევსებულ ანკეტას, გთხოვთ, ჩამრიცხოთ საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირის წევრად.“

### ანკეტა

სახელი, მამის სახელი და გვარი – მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილი

ლიტერატურული ფსევდონიმი – ადამაშვილი (უწინდელია)

ლიტ. მუშაობის დარგი – ბელეტრისტი

თქვენი ლიტერატურული ნაწარმოებები – „არსენა“, „ჯაყო“, „კვაჭი“ და სხვ.

დაბადების დრო და ადგილი – 1880წ. სოფ. წერაქვი, ბორჩალოს მაზრა

ძირითადი პროფესია – ლიტერატურა

ეროვნება – ქართველი

განათლება – უმაღლესი

პარტიულობა ამჟამად – უპარტიო

რომელ პარტიაში მუშაობდით წინათ, რა დროიდან რა დრომდე – ფედერ. – 1903-76. და ეროვნულ-დემოკრ. – 1917-1923

რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციაში ირიცხებოდით დღემდე – „არიფიონში“ მის დაშლამდე და ფედერაციაში.

ოჯახური მდგომარეობა – ცოლი, 2 შვილი, სიდედრი

სად და რა თანამდებობებზე მუშაობთ – „მნათობის“ სალიტ. რედაქტორი.

სოციალური წარმოშობა – გლეხი

რომელი პროფკავშირის წევრი ხართ და რა დროიდან – 1921 წ-დან. თანამდებობები სალიტ. ორგანიზაციაში, პროფკავშირში ან პარტ. ორგანიზაციაში – არსად, არავითარი.

რომელ ბეჭდვით ორგანოში თანამშრომლობდით ან თანამშრომლობთ – „მნათობი“.  
რომელი წლიდან ბეჭდავთ სამხატვრო სალიტ. გამოცემებში – 1903-8 და 1923-დან  
მისამართი – ელბაქიდის დაღმართი, №21

მე ვიზრდებოდი, ისეთ ოჯახში, სადაც პატიოსნებისა და ზნეობის მარგალიტები უხვად იყო, სადაც უფროსუმცროსობა, ურთიერთის პატივისცემა და მორიდება სუფევდა. არსებობდა ნორმები, რომლის გადალახვა არ შეიძლებოდა. მე არ ვიცოდი, რა იყო თალღითობა, ვინმეს მოტყუება ან ტყუილის თქმა. ზომაზე მეტად არასოდეს მანებებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ 15 წლამდე ოჯახში მარტო ვიზრდებოდი.

ვალდებული ვიყავი, თვალყური მედევნებინა ჩემი საუბრისათვის, მოქმედებისათვის, მიხვრამოხვრისა და ჩაცმულობისათვის. ეტიკეტი ყოველმხრივ უნდა ყოფილიყო დაცული. მაშინ ჩვენი ინტელიგენცია ასეთი ნორმებით ცხოვრობდა. კეთილშობილება და ინტელიგენტობა დაფასებული იყო.

მთელი ყურადღება სულიერ საზრდოზე იყო გადატანილი. დიდი დრო ეთმობოდა წიგნების კითხვას, აზრთა გაზიარებას, საზოგადოებაში, კინოთეატრებში სიარულს, ერთმანეთთან სტუმრობას და ურთიერთობას.

მიუხედავად იმისა, რომ მამა ბუნებით თბილი და ალერსიანი ადამიანი იყო, ამასთანავე – მკაცრი და მომთხოვნიც. სითამამე არ მოსწონდა და თავაზიან დამოკიდებულებას მოითხოვდა.

ადამიანს ესაჭიროება რწმენა, უმაგისოდ ის ვერ იარსებებს. უნდა სწამდეს ბუნების ძალა, რომელიც მას წარმართავს. გაჭირვების დროს ადამიანი მოუხმობს მას და დახმარებას შესთხოვს. ეს მას შეეძება აძლევს. სამყაროს წარმოშობისა და ზებუნებრივი ძალების შესახებ საუბარი დილადად შეიძლება და მაინც გადანყვევით ვერაფერს ვიტყვით. ასეთია ეს საიდუმლოებით მოცული საინტერესო სფერო“.

### **„ჯაყოს ხიზნები“ (1924)**

იმპულსი „ჯაყოს ხიზნების“ შექმნისა – 1924წ 29 აგვისტოს აჯანყება (ისევე, როგორც კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმლისა,“ გრ. რობაქიძის „ლამარასი“).

### **მიხეილ ჯავახიშვილი, გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება, თბ. , 1987**

საინტერესოა მიხეილ ჯავახიშვილის მოგონება, თუ როგორ შეიქმნა „ჯაყოს ხიზნები“, რა ცოცხალმა შთაბეჭდილებამ მისცა ბიძგი მწერალს ამ რომანის დასაწერად და ერთ-ერთი მთავარი გმირის, ჯაყოს სახის გამოსაკვეთად:

„ჯაყო სულ სხვანაირად წარმოიშვა. 30 წლის წინათ ჯავის ხეობაში უცნაური ვინმე შემომხვდა – ბრგე, ბანჯგვლიანი, ცბიერი, ხარბი, ამავე დროს, მარდი და მოხერხებული. მისი სახელი აღარ მახსოვს. 10 წლის შემდეგ ინჟინერმა ფიდო ყაზბეგმა ქართულ კლუბში ასეთი ანეკდოტი გვიამბო:

„ნაყმევმა თავის კნენას ძღვენი მიართვა.

- გამარჯობა, ჯაყო!
- კნენას გახლავარ.
- რასა იქმ, როგორა ხარ?
- ძალიან კარგად ბრძანდები, შენი ჭირიმე.
- ცოლ-შვილი როგორლა გყავს?
- სულ კარგათა ხარ, გენაცვალე.
- რამდენი შვილი გყავს, ჯაყო?
- თორმეტი გყავს, გენაცვალე მაგ თვალებშია.
- როგორ მოახერხე მაგდენი, ჯაყო?
- მაშ, მაშ! აგრე ვიცის ჯაყომა! – მიუგო ნაყმევმა“.

უკანასკნელ სამ სიტყვაში ამაზე უფრო მწვავე პილპილი ეყარა. ანეკდოტი ჩემს ხსოვნაში ხუთიოდე წუთზე მეტს ვერ სძლებს, მაგრამ ამ უწმანურ ანეკდოტს ჯაველი ოსი ჩაეხლართა და ამ სახემ ჩემი ხსოვნის ერთ-ერთ კუნჭულში დაიბუდა.

კიდევ გავიდა ათიოდე წელიწადი და იგი მოულოდნელად გაცოცხლდა, გაშიშვლდა და თვალწინ წამოიჭრა. აი, ზოგჯერ რა უცნაურად იბადება ტიპი“ (მ. ჯავახიშვილი, „როგორ ვმუშაობ“).



ასე გაუცოცხლდა მწერალს მეხსიერებაში ჩარჩენილი სახე, როდესაც მოუმნიფდა საზოგადოებრივად და მხატვრულად მნიშვნელოვანი სათქმელი. ვილაც ჯაველი ოსის გარეგნულმა იერმა და ერთმა უბრალო ანექდოტმა გამოსცა ის ნაპერწკალი, რომელმაც დაანთო ადამიანური ვნების დიდი ხანძარი „ჯაყოს ხიზნებში“.

რომანში თეიმურაზ ხევისთავის და ჯაყო ჯივაშვილის სახეებია მთავარი, სწორედ ისინი განასახიერებენ ორ სანყისს, რომლებიც, თუმცა სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, მაგრამ, დიმიტრი ბენაშვილის თქმით, თანაბრად საშიში წყლულია ერის სხეულზე და ერთიანად დაუნდობლად სჭირდება მოკვეთა, ამ წყლულების არსს და მათი მოკვეთის ისტორიულ აუცილებლობას გვიხსნის მწერალი. არის კიდევ ერთი მთავარი გმირი, მარგო, რომელიც რომანის ტრადიციულ სამკუთხედს კრავს ნაწარმოებში, მაგრამ ეს გმირი მწერალს თეიმურაზისა და ჯაყოს გახსნისათვის სჭირდება. ამდენად, თუმცა ეს სახე მეტად ხორცსავსეა და ცოცხალი ფერებითაცაა დახატული, მას, შეიძლება ითქვას, დამოუკიდებელი ფუნქცია არ აკისრია.

მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ თუმცა მწერლის თვითმყოფი შემოქმედების ნაყოფია, მრავალი პარალელის გავლებას და საშუალებას გვაძლევს მსოფლიო კლასიკურ ნაწარმოებებთან და თვით ქართულ მხატვრულ სახეებთანაც. პირველ რიგში, სწორედ ეს უკანასკნელია საინტერესო ამ ნაწარმოებში, რომლითაც ნათლად ჩანს მწერლის შემოქმედებითი დამოკიდებულება ქართულ კულტურულ ტრადიციებთან.

თეიმურაზი უფრო ლუარსაბ თათქარიძის ხვედრს იზიარებს, მათი ბედ-იღბალი ბევრნილად მსგავსია. ეს გარემოება სწორად შენიშნა დიმიტრი ბენაშვილმა, როდესაც თავის მრავალმხრივ საყურადღებო წიგნში „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“ გაგვიცხადა: „არის რალაც სულიერი ნათესაობა ლუარსაბ თათქარიძესა და თეიმურაზ ხევისთავს შორის“ (გვ. 79). და იქვე დასძინა: „რა თქმა უნდა, მათ შორის განსხვავებაც დიდია და სწორედ ეს გარემოება მიგვითითებს მიხეილ ჯავახიშვილის ორიგინალობაზე, თვითმყოფობაზე, სამწერლო თემის სხვაობაზე. მაგრამ ყოველივე ამაში მხოლოდ მწერლის პირადი თვისებები კი არ თამაშობდნენ გადამწყვეტ როლს, არამედ დროცა და პირობებიც, რომლებმაც მიმართულება მისცეს არა მარტო გმირთა ხასიათებს, არამედ მწერლის ესთეტიკურ კონცეფციასაც“.

ერთი შეხედვით, თითქოს ძნელია პარალელის გავლება ილია ჭავჭავაძის ამ რაბლესებურ ცხოვრებას მონყურებულ ლოყაღაჟღა ლუარსაბსა და დაჩიავებულ, გამოფიტულ თეიმურაზს შორის, მაგრამ მათი უფრო ღრმად მდებარე სულიერი ნათესაობის საწინდარი ისაა, რომ ცხოვრებისათვის ზედმეტი ბარგი გამხდარან, არაფრის შექმნა აღარ შეუძლიათ, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ულმობელი ლოგიკის ძალით განწირულთა ხვედრი რგებიან და უკვალოდ უნდა წავიდნენ არა მარტო ასპარეზიდან, თვით ცხოვრებიდანაც. ამიტომ გამოუტანეს ილია ჭავჭავაძემაც და მიხეილ ჯავახიშვილმაც თავიანთ გმირებს მკაცრი, მაგრამ ისტორიულად სამართლიანი და მრავლისმეტყველი განაჩენი, როდესაც არც ლუარსაბსა და არც თეიმურაზს ძე არ მისცეს და ამით სიმბოლურად მიგვანიშნებს მათი გადაშენების აუცილებლობაზე. ესაა უპირველესი მსგავსება მათი, ხოლო, თუ ერთბაშად მათი მიმსგავსება არ ხერხდება, ეს იმიტომ, რომ ლუარსაბი თავისი ეპოქის შვილია და ბატონყმობის სასიკვდილო აგონიას გამოხატავს, ხოლო თეიმურაზი ფეოდალური არისტოკრატის უკანასკნელი ნაშიერის, ინტელიგენტის მეოცე საუკუნის, რევოლუციების ეპოქის მიერ გარიყული და განწირული ადამიანის განსახიერებაა – ასეთია საბჭოთა კრიტიკის მსჯავრი.

მიხეილ ჯავახიშვილს ქართველი მწერლებიდან თავის დიდ წინაპრად, უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძე მიაჩნდა. ილიასადმი, როგორც მწერლისა და მამულიშვილისადმი თავის დამოკიდებულებაზე მიხეილ ჯავახიშვილს ბევრი რამ აქვს დიდი სიყვარულითა და მოწინებით ნათქვამი. მათი შემოქმედებითი პარალელები, მოტივების, პრობლემების, სახეების მსგავსება ადრეც ყოფილა მინიშნებული. ყველაზე ძლიერ და თვალნათლივ ეს მემკვიდრეობითობა სწორედ „ჯაყოს ხიზნებში“ გამოჩნდა. რომანის გამოქვეყნებისთანავე, პირველსავე რეცენზიებსა და წერილებში გავლელულ იქნა პარალელი ილიას შემოქმედებასთან.

კრიტიკოსი ივანე გომართელი 1925 წელს ჟურნალ „ახალ გზაში“ (№16, 17) დაბეჭდილ წერილში „ჯაყოს ხიზნები“ და ჩვენი ცხოვრება“, რომელშიც მაღალ შეფასებას აძლევს რომანს და, ძირითადად, სწორად აანალიზებს მას, პარალელს ავლებს თეიმურაზ ხევისთავსა და არჩილს შორის.

დამარწმუნებელი ჩანს ეს შედარება, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ იმ ადგილებს, სადაც არჩილი კესოსთან საუბარში გიორგისთან შედარებით ახასიათებს საკუთარ თავს და ერთმანეთს უპირისპირებს თავადებსა და გლეხებს.

„ჩვენ რაცა ვართ, – ამბობს არჩილი, – გაკეთებულნი ვართ, ისინი კი შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი – გვირისტიტ შეკერილნი, იმ გვირისტიტ, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება – ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ დონდლონი, ღუნენი“. და შემდეგ განაგრძობს:

„ცხოვრება მაინც იმათშია: იქ ჰდულს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თვითონ სიცოცხლის ძარღვიცა. რაც სთქვი, ეგ ჭუჭყია, ქაფია მდულარე ცხოვრებისა, თავზედ მოგდებული. ძირში კი წმინდაა. მაშ, რა სწნავს იმისთანა კაცურ კაცს, როგორც გიორგი იყო, ან იმისთანა დედაკაცს, როგორც ოთარაანთ ქვრივია? მაგისთანა პური მარტო იმათს თონეში-და ჰცხვება, ჩვენი თონე კი მარტო ჩვენისთანა კუტ პურს აცხობს“.

არჩილის ამ გულწრფელ სიტყვებში გამხელილი საკუთარი ნაკლი უკვე მიგვანიშნებს ტრაგედიის დასაწყისს, რაც თეიმურაზ ხევისთავში მთლიანად არის გამოვლენილი. დონდლო, ღუნე, დაბლანდული, კუტი პური – ეს ეპითეტები, რომლებიც მკვახედ და თითქოს გადაჭარბებულად ჟღერენ განათლებულ და მოქმედების ჟინით სავსე არჩილთან დაკავშირებით, მეტად რბილად და თითქმის საალერსოდ გაისმიან თეიმურაზ ხევისთავისთანათვის. მაგრამ აქ საქმე მარტო იმაში არ არის, რომ, საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის თვალსაზრისით, არჩილი თავისი სოციალური ფენის განწირულების პირველ საფეხურს გამოხატავს, თეიმურაზი კი – უკანასკნელს. მთავარი ის არის, რომ ილია ჭავჭავაძემ და მიხეილ ჯავახიშვილმა ნაწარმოებები სრულიად განსხვავებულ პრობლემებსა და სულისკვეთებას მიუძღვნის.

ილია ჭავჭავაძემ, ბატონყმობის შემდეგდროინდელი ქართული ყოფის წარმოსახვისას უფრო იმედიანი თვალით შეჰყურებდა განათლებულ, პროგრესულ იდეებს ნაზიარე თავადაზნაურულ ინტელიგენციას. არჩილმა შეიგრძნო, რომ თავადაზნაურობასა და გლახობას „შუა ხილია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დაჰრჩნენ, ჩვენ აქეთ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ველარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი“. მწერალი თითქოს ერთგვარი იმედით შეჰყურებს ამ ჩატეხილი ხიდის გამრთელების შესაძლებლობას და ამ საქმეში არჩილს და მისთანებს თავის დანიშნულება აქვთ. ამდენად, ავტორის თვალსაზრისით, მისი გმირი დიდი ისტორიული და ეროვნული მისიის მატარებელია, ამიტომაც მისდამი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებაც ნათელი, თბილი, იმედიანია. ჩატეხილი ხიდის გამრთელების შესახებ მწერლის ილუზიების სრულ დამსხვრევას სამიოთხი ათეული წელიც კი არ დასჭირვებია.

მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ მაშინ დაინერა, როცა თავად ისტორიამ, საზოგადოების განვითარებამ, რევოლუციებმა გადამწყვიტეს წოდებათა ურთიერთობა და მათი ბედი. ამდენად, მისი თვალსაზრისი ილუზიებით ველარ გამოიკვებებოდა და მწერალმაც რეალური ცხოვრების უტყუარი სურათები დაგვიხატა. თუმცა, ცხადია, მხატვრულად გაზვიადებულად, გამძაფრებულად. ასეთ ვითარებაში თეიმურაზ ხევისთავთან დაკავშირებით შეიძლება არჩილიც გავისხენოთ, როგორც ეს გმირი ჯავახიშვილისა უთუოდ ლუარსაბ თათქარიძეს უფრო გვაგონებს. ლუარსაბი ბატონყმობის ეპოქის დასასრულის ტიპური განსახიერებაა, თეიმურაზი – ფეოდალური მონარქიის დაცემის გამომხატველია. ორივე ამთავრებს თავისი სოციალური ფენის არსებობას, მის სასიკვდილო აგონიას გვიჩვენებს და გვიხსნის. ამ დიდი სათქმელის, მნიშვნელოვანი აზრის და მხატვრული სიძლიერის წყალობით ორივე რომანი, ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ და მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, ქართული ლიტერატურის კლასიკას განეკუთვნება, ხოლო მათი გმირები, ლუარსაბ თათქარიძე და თეიმურაზ ხევისთავი, გარდა კონკრეტული ეპოქების გარკვეული სოციალური ფენის ტიპური სახეებისა, საერთოდ ადამიანური დაცემისა და გადაგვარების ზოგადი გამოხატულების მიმნიშნებელ სახელებად იქცნენ.

მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“ მეოცე საუკუნის ოციანი წლების ცხოვრებაა წარმოსახული. აქ გმირთა და პერსონაჟთა მთელი გალერეაა წარმოდგენილი, რომელსაც სხვადასხვა სოციალური ფენისა და საზოგადოებრივი ძალის გამოხატვა ეკისრება, მაგრამ ძირითადი მიზანდასახულობა ნაწარმოებისა მაინც ძველის, წარმავლის და ახალ ცხოვრებას მიტმანული ბნელი ძალის არსის გახსნაა. რომანის ანალიზიც სწორედ აქედან უნდა იქნეს დაწყებული.

მწერალი თავიდანვე აპირისპირებს რომანის ორ მთავარ გმირს, თეიმურაზ ხევისთავსა და ჯაყო ჯივანშვილს, რომლებიც პორტრეტულადაც, ხასიათითაც, სოციალური მდგომარეობითაც უპირისპირდებიან ერთმანეთს. მიხეილ ჯავახიშვილი რომანის პირველსავე ფურცლებზე გვიხატავს თავის გმირებს და გვიხსნის მათ ბუნებას.

თეიმურაზი ხან რელიგიაში ეძებს ხსნას, თუმცა ადრე განდგომილი იყო სარწმუნოებისაგან,

ხან ლიახვის ტალღებში სურს ერთხელ და სამუდამოდ პოვოს სიმშვიდე. ხან რას ეპოტინება, ხან რას, მაგრამ მისი ხსნა არსად არის, თავის მოკვლასაც ვერ შეძლებს და განწირული ებლაუჭება ფუჭ იმედებს, მისაკედლებელ ადგილს თუ პიროვნებას ეძებს და ასეთად ისევ მარგო ესახება, ის მარგო, ვინც ჯერ თვითონ გააუბედურა თავისი უნიათობით, და მერე რომელმაც თავადაც აღარ დაინდო და პირუტყვ ჯაყოში გაცვალა მამაკაცური ჯანისა და მადლისი ცხოვრების მოსაპოვებლად.

ჯაყო ჯივაშვილი სოციალურად საყურადღებო ტიპია მიხეილ ჯავახიშვილის რომანში. თუ თეიმურაზ ხევისთავს არც სიკეთისა და არც ბოროტების მოსამოქმედებლად არ გააჩნია უნარი, ჯაყო თავისი ბნელი ძალითა და მოზღვავებული ენერგიით სოციალურად უაღრესად საშიში პიროვნებაა საზოგადოებისათვის. იგი თეიმურაზის ანტიპოდი და მის განათლებულ უმოქმედობას საკუთარ მტაცებლურ მოქმედებას უპირისპირებს. თუ თეიმურაზს არა აქვს დროის გაგების უნარი, ჯაყო პირუტყვის ყნოსვით გრძნობს ყოველ სიახლეს და თავის ცხოვრებას მტაცებლის ინსტინქტით წარმართავს. ჯაყო ყოველთვის სარგებლობს ვითარებით და მისი აქტიური ბუნება მხოლოდ გამორჩენისაკენ, მხოლოდ ბოროტებისაკენ მიისწრაფვის. ჯაყო მუდამ ამა ქვეყნის ძლიერ ეტმასნება და ერთი მიზანი ამოძრავებს – რაც შეიძლება, მეტს გამორჩეს მათ. ასეთი ბუნების ადამიანისათვის თეიმურაზი სანატრელი კაცი იყო და ჯაყომაც ნელა-ნელა მიითვისა ხევისთავის მამულიც, განძეულობაც და, როცა არც ეს იკმარა – მისი ლამაზი ცოლიც. ახალ ვითარებაში ჯაყო მშრომელთა კლასის წარმომადგენლად ასალებს თავს და ერთხანს კიდევ ინარჩუნებს ძველი მოურავისა და მამასახლისის ფაქტიურ უფლებებს.

მთელი რომანი თეიმურაზისა და ჯაყოს დაპირისპირებაზეა აგებული. მწერალი უსვამს ხაზს ამ ორი გმირის გარეგნულსა თუ შინაგან კონტრასტულობას. ბნელი და უხეში ძალა, რომელსაც ჯაყო განასახიერებს, იმარჯვებს თეიმურაზის უვნებელ და მორჩილ ბუნებაზე, რადგან პირველს ცხოვრების კონკრეტული ამოცანა აქვს, მეორეს კი – ოდენ ფუჭი ოცნებები და ცხოვრების არარეალური შეგრძნება.

1926 წლის დასაწყისში მიხეილ ჯავახიშვილი შალვა დადიანისადმი მიწერილ წერილში, სხვა საკითხებთან ერთად, „ჯაყოს ხიზნების“ შესახებაც გვანვდის ცნობებს. როგორც თავად მწერალი წერს, რომანი მას არ მიაჩნია არც სრულად და არც დასრულებულად, აკლია რამდენიმე მოქმედი (თეიმურაზის ანტიპოდი) პირი და მეოთხე ნაწილი. მიხეილ ჯავახიშვილი წერს: „ისე არ მოვკვდები, რომ სრული „ჯაყო“ არ დავენერო. დარწმუნებული ვარ, ა. წ. შემოდგომას უკვე წაიკითხავთ ნამდვილს და სრულს. დასრულებული სულ სხვანაირი იქნება... ნინიკა მარგოს წაართმევს, ხოლო ჯაყოს საქართველოდან გადაასახლებენ. რაც დიდმა ილიამ ვერ გაჰბედა – და ვერც გაჰბედავდა – მე უნდა გავბედო და თავად-გლეხთა შორის ჩატეხილი ხიდი უნდა გავამთელო“.

ეს განზრახვა მიხეილ ჯავახიშვილს შეუსრულებელი დარჩა. ძნელი სავარაუდოა, რატომ, მაგრამ, არ არის გამორიცხული, რომ თავად აღარ მოეწონა საკუთარი გადანყვეტილება და შემოქმედებითი გეგმები. ყოველ შემთხვევაში, მარტო მოუცლევლობით ეს ვერ აიხსნება, რადგან ისე ყოფილა ამას მონადინებული, რომ დროს უთუოდ გამონახავდა, იმავე წელს თუ არა, შემდგომში მაინც, კადნიერებაა იმაზე ფიქრი, თუ რა გამოვიდოდა, მწერალს ეს განზრახვა რომ განეხორციელებინა, ეტყობა, რომანი საფუძვლიანად შეიცვლებოდა. მაგრამ იმისი უფლება ყველას აქვს, რომ უკვე არსებულ რომანზე საკუთარი აზრი გამოთქვას. იმ სახით, რომლითაც ჩვენ ვიცნობთ „ჯაყოს ხიზნებს“, რომანში თეიმურაზის ანტიპოდის, ანუ ეპოქის დადებითი გმირების არსებობის აუცილებლობა არ იგრძნობა... თეიმურაზიც, ჯაყოცა და მარგოც კლასიკური სიძლიერის მხატვრულ სახეებად წარმოგვიდგება.

განსხვავებულია რომანის თანამედროვე ქართული კრიტიკული აღქმა (ნ. კუპრეიშვილი, ლ. ნიქარიშვილი, რ. ცხეიძე...) (იხ. „მოსწავლის წიგნი“).



### 3. კონსტანტინე გამსახურდია – „დიდოსტატის მარჯვენა“

(ლიტერატურული კომენტარები)

**„მცირერიცხოვანი ერი ყველაზე მძაფრად გრძნობს ერადყოფნის... მისტერიას“.**

თანამემამულეთ შეახსენებდა მწერალი მთავარს: „საქმე ის კი არ არის, პატარა კაცი იყო და დიდ სამშობლოს ეძებდე. საქმე ის არის, დიდი კაცი იყო და პატარა სამშობლო გიყვარდეს“ (წერილი „პროფ. ალ. ცაგარელი“).

ერადყოფნის მისტიერიის გაცნობიერების აუცილებლობა გამძაფრდა მეოცე ასწლეულში, რომელიც გალაკტიონმა „მეფისტოფელის საუკუნედ“ მონათლა.

კ. გამსახურდიაც წერდა: „ჩვენი თანამედროვეობის ვიზიონერული (ხილვადი) სახე მე წარმოდგენილი მაქვს მედუზას (მედუზა – ბერძნულ მითოლოგიაში სამ გორგონათაგან ერთ-ერთი. თმის ნაცვლად, თავს გველები ეხვეოდნენ. მისი მზერა ყოველს ქვად აქცევდა) სისხლიან თავად, შეშლილი, დემონით შეპყრობილი ადამიანის თვალებით... თითქოს სამუდამადად გამქრალა სხივი იმედისა და სათნოებისა, შემოგვცლია შარავანდედი ღმერთისმოყვარებისა“ („დანტი“). სხვაგან XX საუკუნეს „მწვერილმანებისა და დიაცების საუკუნედ“ უხმობდა მწერალი („გოეთე“), მნათე ოქპირივით გრიგალში ზარების დამრისხებელი.

თორმეტი წლისა პირველად ჩამოსულა თბილისში. გული დასწვია, რომ ქართული წარწერები მხოლოდ თონეებსა და სახაშეებზე უხილავს.

წუხილით წერდა: „საშინელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე თბილისმა. რკინიგზის სადგურზე გრძელუღვაშებიანი ჟანდარმები დაძრწოდნენ; რიყის ქვით მოკირწყლულ ქუჩებში ჩაბალახიანი კაზაკები დააჯირითებდნენ თავიანთ ნასუქალ ცხენებს“.

ნოველაში „დიდი იოსები“ არის სიტყვები: „ბავშვობიდანვე მიყვარდა რაჭველი მეკურტნეები (მებარგულები). მხოლოდ ესენი არ თაკილობდნენ... თბილისის ქუჩებში რუსთველის ენაზე ლაპარაკს... ქართულ იერს აძლევდნენ ჩვენს დედაქალაქს“ ... (იოსებ გრიშაშვილსაც საყვედურებდა კინტო-ყარაჩოხელებით აღტაცებას – „ამგვარ საქართველოში სახრჩობელა გვექნებოდა სანატრებელი“).

იგივე ტკივილი აწერიებდა გიორგი ლეონიძეს თბილისზე:

„აქ ადიდებდნენ დამპალ კინტოს, თათრულ მუხამბაზს, შუაბაზრის კორიანტელსა...“

აქ ივიწყებდნენ ფიროსმანის მზიან მუშამბას, ბექა ოპიზარს“....

მწერალს აძრწუნებდა ის, რომ „თბილისი კარგავს რასობრივ სახეს. ენა კვდება, ქალაქი უსისხლოდ ითმობა. 1910 წელს თბილისში 125000 სომეხი, 79000 რუსი და მხოლოდ 54000 ქართველი ცხოვრობდა. ბასტარდი (აღრეული) ერი ფასეულს ვერაფერს ქმნის. თვით უნიჭიერეს ელლინთა ერი დაკნინდა, როცა სისხლში უცხო ელემენტი შეეჭრა და სიტყვა „ბარბაროსმა“ დაკარგა მნიშვნელობა. ელინური კულტურის სულს ევროპა ჰამლეტის მამის აჩრდილივით დაეძებს. რომის იმპერიამ რღვევა მაშინ დაიწყო, როცა კეისარ ადრიანეს ედიქტით (ახ. წ. II ს.) რომაელებს აფრიკელ მონებთან შეუღლების უფლება დაერთოთ... ქართული ეკლესია მეოთხე საუკუნიდანვე დაადგა ნაციონალიზაციის გზას, ევროპაში ეს მოძრაობა მხოლოდ მეთხუთმეტე საუკუნეში დაიწყო.“

1801 წლიდან განუწყვეტლივ გვერევა უცხო თესლი...

რასის თვისებები გეოგრაფიული გარემოთიც განისაზღვრება.

უდაბნომ განაპირობა აღმოსავლელთა სიზანტე და მონოტონურობა; ზღვამ, ოკეანემ – ინგლისელთა ავანტიურიზმი... ერები მიდიან ურასობიდან რასისაკენ. ადამიანსა და ერში ყველაზე ხმა-მაღლა სისხლი მეტყველებს“ (ძველ აღთქმაში ხაზგასმულია, რომ სული სისხლშია (ლევიტელთა 17, 11)). ამიტომ ფიქრობს „დიონისოს ლიმილის“ პერსონაჟი, კონსტანტინე სავარსამიძე, ამდენს თავისი „ბნელი სისხლისათვის“ (სისხლზე).

წერილში „ერი თუ რასსა“ კ. გამსახურდია აღნიშნავდა: „ქართული რასა რუსეთის იმპერიისაგან დამოუკიდებლად უნდა განვითარდეს. ქართველთა რასისიული ვინაობა ბნელითაა მოცული. ოდესმე დიდი რასისი ნატეხი ქართველი ერი დღესაც სასონარკვეთილი დგას წყვედიადით მოცულ წარსულთან“ (შდრ. ლეო ქიაჩელის „სისხლი“).

წერილში „კავკასია მსოფლიო ომში“ ვკითხულობთ: „პირველ მსოფლიო ომს საქართველო აღტაცებით არ შეჰგებებია. მან ერთადერთი შედეგრი შეჰმატა ქართულ პოეზიას – ვაჟას „ფშაველი“

ჯარისკაცის წერილი,“ მაგრამ ამ ომს მაინც უკავშირდებოდა გარკვეული პატრიოტული მიზნები – საქართველო იბრუნებდა თურქეთისაგან მიტაცებულ პროვინციებს, დგებოდა ჟამი ერთიანი საქართველოს ხილვისა. მოკავშირედ საქართველოს გერმანია მიაჩნდა, მაგრამ გერმანია დამარცხდა... საქართველოს შვილები კი რუსეთის ქართველობის სათავეში დგანან (1917 წ. ირაკლი ჩხეიძე, ირაკლი (კაკი) წერეთელი, 1924 – სტალინი...). ლოზანაში, ერთა სამშვიდობო კონფერენციაზე, მხოლოდ ქართველები დაჰპირისპირებიან ერთმანეთს, მხოლოდ ქართველებს დაუყენებიათ პარტიული ინტერესები ეროვნულზე მაღლა (მონარქისტ მ. წერეთელს დაჰპირისპირებია **სოციალ-დემოკრატი თევზაია**) – ამის მიზეზია ჩვენი ისტორიულად გაორებული ბუნება. ისტორიული მტრები ქართველებისა ისევე ქართველები იყვნენ, ქართველითა ქართველისა დამორგუნველნი... სულ სხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან სომხებს“.

წლების განმავლობაში კ. გამსახურდია სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი იყო. პარტია მიზნად ისახავდა, საქართველო რუსეთის სახელმწიფოში ფედერაციულ სუბიექტად ქცეულიყო, მაგრამ 1918 წ. ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა (რაზეც ფედერალისტები ვერც იოცნებებდნენ) და, ბუნებრივია, მწერალმა პარტია დატოვა (პარტიის ლიდერი იყო არჩილ ჯორჯაძე, წევრები: დავით კლდიაშვილი, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, ტერენტი გრანელი... ისინი ილიას მრწამსს იზიარებდნენ და მიაჩნდათ, რომ ერს მხოლოდ კონსოლიდაცია, წოდებათა ერთიანობა იხსნიდა; განსხვავებული მრწამსი ჰქონდათ სოციალ-დემოკრატებს, რომელნიც ფედერალისტებს „უჯარო გენერლებს“ უწოდებდნენ. ბედის ირონიით, სწორედ სოციალ-დემოკრატები მოვიდნენ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს სათავეში).

როგორც თავად წერდა, კ. გამსახურდია ბუნებით საზოგადო მოღვაწისა და რევოლუციონერის კი არა, იდეოლოგისა და მხატვრის ტიპი იყო. სწამდა, რომ „თუ ერთი პოლიტიკურ დამოუკიდებლობას კარგავს, მან კულტურით უნდა უზრუნველყოს არსებობა“. ამიტომაც ჩამოაყალიბა თანამოაზრეებთან ერთად „აკადემიური ასოციაცია“. პ. ინგოროყვა, ვ. კოტეტიშვილი, ალ. აბაშელი, კ. გამსახურდია გამოსცემდნენ „პრომეთეს“, „ილიონს“, „ლომისს“, „საქართველოს სამრეკლოს“, იღვწოდნენ ქართული უნივერსიტეტის დასაარსებლად – სხვა მამულიშვილებთან ერთად.

კ. გამსახურდია წერდა: „საქართველო რუსეთისათვის მხოლოდ ეგ ზოტიკური ქვეყანაა. მხოლოდ ეროვნული უნივერსიტეტი იხსნის ერს ბასტარდობისაგან (აღრვევისაგან, გადაგვარებისაგან). რუსეთის განათლების მინისტრმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, დაუშვა თბილისში უნივერსიტეტის გახსნის შესაძლებლობა, ოღონდ უნივერსიტეტი რუსულენოვანი უნდა ყოფილიყო. მინისტრისათვის მხარი დაუჭერია ნიკო მარს და წამოუყენებია წინადადება კავკასიური უნივერსიტეტის შექმნისა.

ეს იდეა კონსტანტინე გამსახურდიამ „კულტურულ კონტრაბანდად“ მონათლა და ბერძნების მიერ ტროაში ხის ცხენის მოტყუებით შეტანას შეადარა (წერილი „ტროანელი ცხენი“). ნიკო მარს, „ტომით ქართველს“, „რუსის ნაფიც პროფესორად“ მოიხსენიებს მწერალი და წერს: „კავკასიის უნივერსიტეტი ბასტარდული ცნებაა. ქართველები და სომხები რასობრივადაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. თვით შვეიცარიაშიც კი, სადაც სამი სახელმწიფო ენაა, უნივერსიტეტი იხსნება კანტონში გაბატონებულ ენაზე“.

ივანე ჯავახიშვილის, პეტრე მელიქიშვილის, გიორგი წერეთლისა და სხვათა ძალისხმევით, 1918 წლის 26 იანვარს (8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, თბილისში გაიხსნა ქართული, ქართულენოვანი უნივერსიტეტი – ფაზისის (IVს.), იყალთოს, გრემის, გელათის აკადემიების (XI-XIIIს.ს.) მემკვიდრე.

კ. გამსახურდია მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი იყო.

ორგანიზაცია იბრუნებდა ქართულ სიტყვაზე, გამოსცემდა და დაიცავდა ქართულ წიგნს. 1917წ. 4 აპრილს შეიქმნა საორგანიზაციო ბიურო. ნიჰილისტები ამბობდნენ, ამ გაგანია ომის დროს რა დროს მწერალთა კავშირიაო. კ. გამსახურდია წერდა: „როცა გერმანიის ზარბაზნები ანგრევდნენ საფრანგეთს, ნიცშე ქმნიდა „ტრაგედიის წარმოშობას მისტიკის სულიდან“. ერში შესატანიო წიგნიერების სინათლე, შესასრულებელია თარგმანები, შესადგენია ლექსიკონები.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს კოტე მაცაშვილი (1921წ. თებერვალში, წითელი არმიის შემოჭრისას ქართველ იუნკერებთან ერთად დაღუპული მარო მაცაშვილის მამა).

მწერალთა კავშირის კონფერენციაზე (1917წ. 7 ოქტომბერს) წამოუყენებია კ. გამსახურდიას წინადადება, გოლოვინის პროსპექტისათვის ეწოდებინათ რუსთაველის სახელი. ამავე კონფერენციაზე დაჰპირისპირებია ცისფერყანწელთა მოსაზრებას, მისასალმებელი სიტყვა გაეგზავნათ

რუსეთში ირაკლი წერეთელისათვის, კონსტანტინ ბალმონტი კი მწერალთა კავშირის ერთ-ერთ თავმჯდომარედ აერჩიათ. მწერალს უთქვამს, „ერები ერთმანეთს ეომებიან არა მხოლოდ იარაღით, კულტურითაც“.

ირაკლი წერეთელზე (რუსეთის დროებითი მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი) კ. გამსახურდია წერდა: „ის ადამიანი, რომელიც თვითვე აღიარებს, რომ მისი სამშობლო დიდი რუსეთია, ის, ვინც წელიწადში ერთხელ არ ახსენებს სიტყვას „საქართველო“, რომლის გულს არ სწვავს მშობელი ერის სიყვარული, რენეგატია და არაა იმის ღირსი, ქართველ მწერალთა კრება მიესალმოს მას“.

„სულით პროვინციელი რუსები“ უწოდა ცისფერყანწელებს, რომელთაც რუს პოეტებთან მეგობრობით თავი მოჰქონდათ.

1926 წ. საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ ყრილობას საბჭოს წევრებად არ აუჩრევია კ. გამსახურდია, მ. ჯავახიშვილი, ვ. ბარნოვი, გ. ტაბიძე.

ჯერ კიდევ 1919 წ. ბერლინის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული სადიპლომო ნამუშევარში „საქართველოს მეფე ერეკლე მეორე“ (ნაშრომი დაკარგულია.) ცდილობდა, კრიტიკულად გაეაზრებინა 1783-1801 წწ. მოვლენები.

ტკივილით აღნიშნავდა მოგვიანებით: „XIX საუკუნე ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნის ნიშნით აღიბეჭდა მსოფლიოში, ჩვენში კი – პირიქით... ქართულმა კრიტიკამ ვერ დაინახა სანდრო ყაზბეგი, ვაჟა... ჩვენში მოდაშია წრეგადასული ეპიგონობა ბალმონტ-ბრიუსოვებისა... ტრაგედიაა, გყავდეს უკულტურო კულტურტრეგერი... ქართველები ისეთი გატაცებით კითხულობენ ჩერნიშევსკის, გერცენს, თითქოს არც არსებობდნენ კანტი, შოპენჰაუერი, ლესინგი..“.

1917წ., როდესაც დაისვა საკითხი ვორონცოვის ძეგლის აღებისა, უთქვამს, დავტოვოთ, ერს უნდა ახსოვდეს თავისი დამპყრობლებიო.

1918 წ. ებრძოდა თურქ ასკერებს გენერალ მაზნიაშვილთან ერთად.

1918 წ. 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ლენინმა თურქეთს გადასცა ბათუმი, ართვინი, ყარსი – ტერიტორიები, რომლებიც 1878წ. სან-სტეფანოს ზავით (რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომი) საქართველოს უკვე დაბრუნებული ჰქონდა...

თურქეთმა აიღო ბათუმი, ქობულეთი, ოზურგეთი, ახალციხე, ახალქალაქი, საფრთხე დაემუქრა თბილისს.

გერმანიის წინადადებით 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და გერმანია აშკარად დაეხმარა თურქეთის წინააღმდეგობის განწევაში.

1921 წლის 25 თებერვალს, როცა მავანნი წითელ არმიას ეგებოდნენ ფეხქვეშ, კონსტანტინე გამსახურდია ბეთანიას ასულა და თამარის ფრესკასთან დაუჩოქია.

1923-1924 წლებში მყოფს ემიგრაციაში დარჩენა შესძლებია, მაგრამ ემიგრაციას შეცდომად თვლიდა.

თანაუგრძნობდა 1924 წლის 29 აგვისტოს აჯანყებას, რომელსაც კოტე ანდრონიკაშვილი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი ხელმძღვანელობდნენ. ხელი არ მოაწერა „ქართველ ხელოვანთა განცხადებას“, რომელშიც „დაგმობილი“ იყვნენ „ავანტიურისტები“.

შავ ჩოხაში გამონყობილი დადიოდა, „იგლოვდა“. სერგო ორჯონიკიძისათვის, რომელსაც ყველგან და ყველაფერში (ჩოხის ტარებაშიც კი) შეთქმულება ელანდებოდა, უთქვამს, ჩემი ჩოხა შენ ხომ არ გიჭერს წელზეო.

1924 წლის შეთქმულების იმპულსმა შეათხზვევინა კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“, მ. ჯავახიშვილს „ჯაყოს ხიზნები“, გრ. რობაქიძეს „ლამარა“.

1921წ. აფხაზეთის ავტონომიის შექმნასა და აჭარის მიერ ავტონომიის მოთხოვნას „საქართველოს კვართის დანაწილება“ უწოდა, თავად საქართველოს კი – „წითელყაბალახიანი“.

ღია წერილი მიუწერია ლენინისათვის: „ჩემში ლაპარაკობს ქართველი მწერალი, ჩემში ლაპარაკობენ ტკივილები ქართველი ხალხისა.“

**...ნაციონალურ შტრიხთა ნაშლა შეუძლებელია, ყველაფერი შეიძლება ნაართვან პიროვნებას და ეროვნებას, მაგრამ თავისუფლების შეგრძნებას ვერავინ ნაართმევს... სანამ სავსებით უზრუნველყოფილი არ იქნება საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, კეზმენტები და მარკსვენიები (ირლანდიელი პატრიოტები, 1917 წ. აჯანყების მეთაურები) არ დაილევინან“.**

როდესაც, ამ წერილის გამო, შოვინისტად მოიხსენიეს, პასუხად უთქვამს:

„მცირერიცხოვანი ერის წიაღში შოვინიზმი შეუძლებელია. შოვინიზმი იმპერიის პაროლია.“



მოვინიშნია სწორედ რუსული კულტურის გავრცელება იმ ქვეყანაში, რომელიც რუსის ერს არ ეკუთვნის“.

დიდმპყრობელური რუსეთის სიძულვილი ხელს არ უშლიდა მწერალს, თაყვანი ეცა ტოლსტოის შემოქმედებისათვის.

გულისტკივილით წერდა, წმინდა ადგილები (ტაძრები, უნივერსიტეტები) ცოტაა, ციხეა ბევრიო.

წარსულს აიდვალვდა, აწმყოს სიმრუმის მზირალი. დიმიტრი ყიფიანისადმი მიძღვნილ ესეში აღნიშნავდა: „ამბობენ, დიმიტრი ყიფიანი საქართველოდან შორს, სტავროპოლში იმეორებდაო ნაპოლეონის სიტყვებს, ეგვიპტის პირამიდების პირისპირ რომ უთქვამს: ორი ათასი წელიწადი დაგცქერით თქვენ!... მარტო ამ შეგნებისთვის დიდი პიროვნებაა დიმიტრი ყიფიანი. შერცხვეს ის თაობა საქართველოში, რომელიც ვერ შეიგნებს ამ ორი ათასი წლის სიმძიმეს და მნიშვნელობას... (მაგრამ) **ის ერი, რომელსაც უფრო მაღალი პანთეონები აქვს, ვიდრე აწმყო, დეგენერატის სამარცხვინო ეპითეტს თავიდან ვერ აიცილებს, ის თაობა, რომელიც გმირების აკლდამების ჩრდილებს ეფარება, ღირსი არ არის არსებობისა“ („ტრაგედიის გმირი“).**

ილია ეროვნული მოღვაწის იდეალად ესახებოდა. წერდა: „მაგონდება დარიალის ხეობაში გაბურძგვნილ, ტყაპუჭიან მოხევესთან მოლაპარაკე ილია ჭავჭავაძე. მან ყველაზე უკუულტურო ეგზემპლარს ქართველთა შორის ათქმევინა ის დიდი სიტყვა, რომელშიაც ოცდაათი წლის კამათის შემდეგ ძლივს გაერკვა ქართველი ინტელიგენცია...“

არიან სიტყვები, რომელნიც ველის ყაყაჩოსავით სულ მალე, მეორე-მესამეჯერ ხმარებაზე ჭკნებიან და ცვდებიან; სამაგიეროდ, არიან სიტყვები, რომელნიც, ზეცის ვარსკვლავებივით, არასოდეს დაბერდებიან. ასეთი დაუძველებელი სიტყვებით შემოვიდა ილია საქართველოში.

ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო!

აქ ვხედავ მე დიდ ანალოგოსს – ილია – მოსე.

აქ არის გზააბნეული ერის ეულკანურ მთასთან მიყვანა. აქედან უნდა გადაშლილიყო ქართული რასის წინაშე დიდი სანახები ნებოს მთისა და ახალი ცხოვრებისა“ („ილია ჭავჭავაძე“).

ესეში „**ქართველობა და უცხოეთის გენია**“ კ. გამსახურდია წერს (დავიმონმებთ ვრცელ ამონარიდს): „ჩვენი ტერიტორია ხალხთა ხიდი“ იყო. ჩვენი ისტორიული მისია: შეურიგებელ უკიდურესობათა და კონტრასტთა შერიგება-შეგუება, ორი დიდი სამყაროს – ევროპისა და აზიის სულის შეხამება...“

„ვეფხისტყაოსანი“ ერთადერთი ქმნილებაა, რომელშიაც ქართული სული სავსებით განსახიერდა... ეს დიადი სარკე ქართული კულტურისა ისეთივე სინთეზია ზემოთ ნახსენებ სამყაროთა, როგორც გოეთეს „ფაუსტი“ – ელლინიზმის და ქრისტიანიზმის. „ვეფხისტყაოსანში“ იპოვიით როგორც წმინდა უბანიშადების, ვედანტა ფილოსოფიის, საკუნტალას, მაჰაბჰარატას, სპარსული პოეზიის, ისე ნეოპლატონიკოსების, ჰომეროსისა და ღვთაებრივი პლატო(ნი)ს სუნთქვას.

განა მარტო „ვეფხისტყაოსანი“? ყველაფერი, რასაც ქართული კულტურა ეწოდება, არითმეტიკულ საშუალოს წარმოადგენს ელლინურ-ბიზანტიურსა და სპარსულ-ალმოსავლურ ექსტრემებს შორის. ვიდრე მუსულმანური სპარსეთი და ქრისტიანული ბიზანტია დაემხოოდნენ, ჩვენ უსაშველოდ ვღებულობდით ამ კულტურულ გოლფშტრიმებს... ჩვენი ისტორიული როლი შემაერთებლისას ჰგავს – სპარსულ-მცირეაზიულ კულტურას ელლინურ-ბიზანტიურთან ვაკავშირებდით და ჩვენს ეროვნულ, სპეციფიურ ქართულ სახესა და ხატს ვაძლევდით ხოლმე.

საკუთარ ნიადაგზე მდგარნი ორ ძუძუსა ვწოვდით, ჩვენი სამშობლო ორი კულტურული ნაკადის შემრთველ აუზს წარმოადგენდა.

...რელიგია და მისი გაგება ერთგვარი გამოცდაა კულტურული ერისა. ყოველი კულტურული ერი რელიგიური იყო. ყოველ მაღალხარისხოვან კულტურას რელიგიურ ფუძეზე ჰქონია საძირკველი.

თუმც ქრისტიანული რელიგია ჩვენთვის სრულიად არა ნათესავ და უცხო რასის შექმნილი იყო, მაგრამ ერის შემოქმედებით ძალის თავისებურება და მისი სიძლიერე აქაც გამოიხატა. არც ერთ ერს ქრისტიანიზმი ისე არ გაუგია, როგორც ჩვენ. ჩვენთვის ქრისტიანიზმი პოეზია იყო. ნაიკითხვით პავლე ინგოროყვას გამოცემული „ქართული სასულიერო პოეზია,“ რომელი (მარტინ) ლიუთერის, ან ფრანცისკო ასიზელის საგალობელნი შეეძაროს მას... **არც ერთ ევროპულ ქრისტიან ერს არ უცდია და არ შესძლება ჩვენებრ რელიგიის გაშუქება პოეზიის ოპტიკით.**

**არც ესპანური ფანატიზმი, არც რომაულ-კათოლიკური ასკეტიზმი და დოგმატიზმი ჩვენს სარ-**



**წმუნობრივ ცხოვრებას არ ჰხლებია. ჩვენ არ გვახსოვს არც ბართლომეს ღამის საშინელებანი, არც ჰუგონოტები, არც აუტოდაფე.**

**ჩვენი ბერები მონასტრის კედლებშიც ერისკაცებად რჩებოდნენ, ერისთვის, „სოფლისთვის“ ზრუნავდნენ. მოიგონეთ გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფენი“...**

## სვეტიცხოვლის კომპლექსი

(საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ნ. V, თბ., 1990, გვ. 261-269)

ლეგენდის მიხედვით, მცხეთელი ებრაელი, ელიოზი, იერუსალიმში ქრისტეს ჯვარცმას დასწრებია, კვართი უფლისა ჩამოუტანია საქართველოში. მცხეთაში, ქალაქის ბჭესთან, ელიოზს დაჰხვედრია და, სიღონია. ძმისათვის კვართი გამოუტაცნია და იქვე სული განუტევებია. კვართითურთ დაუკრძალავთ, რადგან ქრისტეს პერანგი მიცვალებულისათვის ვერ გამოურთმევიათ.

სიღონიას საფლავზე ამოსულა ლიბანის კედარი (კვიპაროსი).

IV საუკუნეში მირიან მეფემ ირწმუნა ქრისტეს მიერ ნაქადაგევი სარწმუნოება, ბრძანა სიღონიას საფლავზე ეკლესიის აგება.

მოკვეთეს დიდი კედარი და მისგან შვიდი სვეტი დაამზადეს. ექვსი სვეტი აღმართეს, მეშვიდე ჰაერში გაჩერდა, ადგილიდან ვერ დაძრეს. წმინდა ნინომ მთელი ღამე ლოცვაში გაატარა. დილით მოხდა სასწაული – ნინოს ლოცვის ძალით „სვეტი ძირთავე მისთა ზედა დაემყარა და მტკიცედ შეერწყა შეუხებლად ხელისაგან კაცთასა“.

სვეტი გაიფოთლა. მისგან დენა დაინყო მირონმა, რომელიც მსწრაფლ კურნავდა სნეულთ.

სვეტს უწოდეს „ცხოველი“ – სვეტი, სიცოცხლის მომნიჭებელი.

აქედან წარმოსდგა თვით ტაძრის სახელწოდებაც. პირველი სვეტიცხოველი ძელისა (ხისა) იყო. მეხუთე საუკუნის დასასრულს, ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს, პირვანდელი ხის ნაგებობის ნაცვლად, ააგეს ქვის ბაზილიკური ეკლესია, რომელმაც XI საუკუნემდე იარსება.

1010-1029 წწ., მელქისედეკ კათალიკოსის თაოსნობით, ხუროთმოძღვარმა არსუკისძემ ააგო სვეტიცხოვლის ახალი ტაძარი.

**სვეტიცხოველი იყო და არის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენცია** საუკუნეების მანძილზე იგი წარმოადგენდა მსხვილ საეკლესიო-ფეოდალურ სამფლობელოს და მეფე-დიდებულთაგან უხვ შესანიშნავს იღებდა. მისი ყმა-მამული მიმოფანტული იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

სვეტიცხოველი იყო ფართო საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცენტრი, ტაძარში არსებობდა უმდიდრესი ბიბლიოთეკა, ქართველ მეფეთა და დიდებულთა საძვალე.

1283 წელს ტაძარი მიწისძვრამ დააზიანა. XIV ს-ში გიორგი ბრწყინვალემ (1314 -1346) აღადგინა ტაძრის გუმბათი. XIVს-ის ბოლოს იგი „იავარჰყვეს სპათა ლანგ-თემურისათა“ – მონაგრის დასავლეთის მკლავის ბურჯები, გუმბათის ყელი, მაგრამ მთელი შენობის დანგრევა მაინც ვერ მოახერხეს.

XV ს-ში მეფე ალექსანდრე დიდმა(1412-1442) ტაძარი კაპიტალურად შეაკეთებინა. 1656წ. გუმბათის ყელი კვლავ აღადგინეს როსტომ მეფემ (1632-1658) და მარიამ დედოფალმა.

XIX ს-ის პირველ ნახევარში „ჯეროვანი კეთილმშვენიერების“ მისანიჭებლად (ეგზარქოსების ბრძანებით) სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადებზე მოსპეს ძველი სტოა, ააფეთქეს სამარხები ტაძრის გარშემო და ინტერიერში შეათეთრეს ფრესკების დიდი ნაწილი...

1950წ. ტაძრის გუმბათქვეშა ორი ბურჯის ქვეშ აღმოჩნდა Vს-ის ბაზილიკის ორნამენტის ბაზისები (დაცულია მიწის ქვეშ).

სვეტიცხოველი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა (გარე ზომები 57,7მ-27მ; სიმაღლე – 49 მ).

**ტაძრის მშენებლობის მოთავე კათალიკოსი მელქისედეკი და ხუროთმოძღვარი არსუკისძე მოხსენიებულნი არიან ტაძრის წარწერებში – აღმოსავლეთ ფასადზე, შუა დეკორატიული თაღის ქვემოთ, თორმეტ დისკოზე („ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი. ამენ“.**

**„აღუშენა ესე წმიდაი ეკლესიაი ხელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკისძისაითა. ღმერთმან განუსუენე სულსა მისსა“).**

წარწერაა ჩრდილოეთის ფასადზე, მთავარი სარკმლის ზემოთ, ორ ქვაზე („ხელი მონისა არსუკისძისაი, რ-თა შეუნდევთ“), რომელთა შორის ჩასმულია **მესამე ქვა ხელისა და გონიოს რელიეფით.**

სავარაუდოა, რომ ამ რელიეფმა და წარწერამ წარმოშვა ლეგენდა (რომ სვეტიცხოვლის ოსტატმა აჯობა მასწავლებელს, რისთვისაც მას ხელი მოჰკვეთეს) და ხალხური ლექსი („ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი ავიგია“).

ტაძარი ნაგებია კარგად გათლილი რბილი ნაცრისფერ-მოყვითალო და მომწვანო ტონის ქვიშა-ქვისა და ტუფის კვადრებით. ზოგიერთი არქიტექტურული ელემენტის ხაზგასმის მიზნით, წყობაში გამოყენებულია სხვადასხვა ფერის ქვები (ღვინისფერი და მწვანე).

ტაძრის გეგმას საფუძვლად უდევს ჯვარი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ წაგრძელებული მკლავებით. ოთხ ბურჯზე დამყარებულია მაღალყელიანი, თექვსმეტსარკმლიანი გუმბათი.

ტაძრის დასავლეთ ნაწილში კოშკისებრი ნაგებობაა. ეს საკუთრივ „სვეტიცხოველია“, სადაც სასწაულმოქმედი სვეტი ინახებოდა. ამჟამინდელი კოშკი XVII ს-შია აგებული.

ტაძრის ინტერიერში, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, კედელთან დგას მცირე ზომის ეკლესიის მოდელი-სამლოცველო, რომელიც იერუსალიმში მაცხოვრის საფლავზე აღმართულ ტაძარს უნდა გამოხატავდეს.

**სვეტიცხოველში არიან დაკრძალულნი ვახტანგ გორგასალი, ერეკლე მეორე, გიორგი XII.**

XII-ში ტაძარი მთლიანად მოხატული იყო. ამ ხანის მხატვრობის მცირე ფრაგმენტებია შენობის მორჩენილი (ქრისტე და სამარიტელი ქალი, მცენარეული ორნამენტი...). კოლორიტი ნათელია (მონივრული და ოქროსფერი ოქრა, ცისფერი და ღია მწვანე). დანარჩენი მოხატულობა გვიანდელია (სამება, ქრისტე გადაშლილი სახარებით, თორმეტი წლის ქრისტეს ქადაგება ეკლესიაში, ხარება...).

მოხატულობაში ჭარბობს მუქი ლურჯი, ყავისფერი, მონაცრისფრო-ცისფერი, თეთრნარევი ყვითელი, მონაცრისფრო-თეთრი... ეს მუქი და მღვრიე კოლორიტი გაცოცხლებულია მუქი წითელი ფერით (უმეტესად, წმინდანთა სამოსი). გამოსახულებათა უმეტეს ნაწილს ახლავს თეთრი საღებავით შესრულებული ქართული და ბერძნული წარწერები.

„სვეტი“ 1678-1688 წწ-ში მოუხატავს გრიგოლ გულჯავარაშვილს (მეფე მირიანი და დედოფალი ნანა, წმინდა ნინო...).

სვეტიცხოვლის ტაძარი, ისე, როგორც ეპოქის სხვა ნამყვანი კათედრალები (ოშკი, ბაგრატი, ალავერდი...) გამოირჩევა თავისი აბსოლუტური ზომებით – იგი შუა საუკუნეების საქართველოს ყველაზე დიდი ნაგებობაა.

\* \* \*

მკვლევარ რევაზ სირაძის მოსაზრებით, „დანერილობითაც უნდა განვასხვავოთ „სვეტიცხოველი“ (ღვთაებრივი ნათლის სვეტი) და „სვეტიცხოველი“ (ტაძარი) (ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბ., 1992, გვ. 111).

\* \* \*

რევაზ სირაძე, სვეტიცხოველი – აქსიოლოგიური ნიშანი ქართული კულტურისა „ლიტერატურული საქართველო“ (26 დეკემბერი, 1997)

(აქსიოლოგია – ბერძნ. „აქსია“ – ღირებულება, „ლოგოს“ – მოძღვრება; აქსიოლოგია – მოძღვრება, რომელიც შეინაწავლის ღირებულებების რაობას (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989, გვ.64)

„სვეტიცხოველი ღვთაების სიმბოლოა და მისი სახელობისაა სვეტიცხოვლის ტაძარი. ეს ემყარება პავლე მოციქულის სიტყვებს: „ჯერ-არს სახლსა შინა ღმრთისასა სლვაი, რომელ არს ეკლესიაი ღმრთისა ცხოველისაი, სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაი“ (I ტიმ. 3, 15).

სვეტიცხოველი საბოლოოდ ამკვიდრებს და აშინაარსებს ქართულ ქრისტიანულ კულტურას.

სვეტიცხოველი არის სიმბოლო მამა-ღმერთისა, ძე-ღვთაებისა და სულიწმიდისა... სამების ერთარსებისა. ყოველივე ეს იმთავითვე გაცხადდა „მოქცევაი ქართლისაისა“ და „წმ. ნინოს ცხოვრებაში“, მაგრამ საგანგებო განმარტებები გადმოცემული აქვს ნიკოლოზ გულაბერიძეს, დიდ ქართველ ღვთისმეტყველსა და ფილოსოფოსს.

რევაზ სირაძე წერს, რომ სვეტიცხოველი მარადიული ცხოვრების მომნიჭებელი ნათლის სვეტია და ამიტომ ეწოდა მას „განმაცხოველებელი“, ამიტომაც ისმის მის სახელდებაში სიტყვა „ცხოველი“, რომლითაც ქართულად სახელდება მაცხოვარი.

სვეტიცხოველი სვეტიცხოვლის ტაძარში არსებული ის სულიერი ნათელია, რომელიც ქართულ ენას აკავშირებს ღვთაებრივ ზეცასთან.

სვეტიცხოვლის ტაძარი სამჯერ აშენდა: პირველად მეფე მირიანის დროს (IV ს.), მეორედ – ვახტანგ გორგასლის დროს (V ს.), ბოლოს – გიორგი I-ის მეფობის ჟამს (XII ს.). იცვლებოდა ტაძრის სახე, მაგრამ რჩებოდა ცხოველი სვეტი – ღვთაებრივი ნათლის სვეტი.

სვეტი-ცხოველი სულია სვეტიცხოვლის ტაძრისა. იგი საღვთო სულიერებით გააშინაარსებს სვეტიცხოვლის ტაძარს.....“

### „დიდოსტატის მარჯვენა“

(რომანის ისტორიული ფონი)

რომანის ისტორიული ფონი წარმოჩენილია თხზულებებში „მატიანე ქართლისა“ და სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ (XII ს.-ს პირველი ნახევარი) (ქართული პროზა, ტ. 3, თბ., 1982; ძვ. საისტორიო მწერლობის ძეგლები, ტ. VIII, თბ., 1990).

#### სუმბატ დავითის ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“

თხზულების მიხედვით, ახალი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეში, უმეფობის ჟამს, ქართლში მოდის დავით წინასწარმეტყველის შთამომავლის, სოლომონ დანის ძის ოთხი ვაჟი (დანარჩენი სამი სომხეთს მიეშურება), რომელთაგან ერთ-ერთი, გუარამი, „განაჩინეს“ ქართლის ერისთავად. სუმბატის მიხედვით, ამ გუარამით იწყება ქართლში ბაგრატიონთა უწყვეტი მმართველობა. მემატინე ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს ერთმთავრობის პრინციპს, რადგან მხოლოდ ერთი მეფე ალაგმავს ცალკეულ „აზნაურთა ბოროტთა საქმეთა“.

ბაგრატიონთა ქართლში მოსვლის თარიღზე განსხვავებულ მოსაზრებას იძლევა „მეფეთა ცხოვრება“, „მოქცევაი ქართლისაი“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

გიორგი მერჩულის მიხედვით, პირველი ბაგრატიონი აშოტ I დიდი კურაპალატი იყო (VIII-IX სს.), რაც გაზიარებული მოსაზრებაა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

X ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის, იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის „ადმინისტრანდო იმპერიო“-ში მითითებულია, ბაგრატიონთა იერუსალიმიდან წამოსვლისა და ქართლში დამკვიდრების დროიდან ოთხასი ან ხუთასი წელია გასულიო.

ჩანს, უკვე X ს-ში თავს ბაგრატიონები ქართლში V-VI სს-ში მოსულებად მიიჩნევენ. საქართველო-ბიზანტიის მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული კავშირების წყალობით, ეს ცნობა ბიზანტიაშიც შეაღწევდა, რასაც პორფიროგენეტის ადასტურებს.

სუმბატის „ცხოვრება“ დამოუკიდებელი სახით არ შემონახულა. იგი დაცულია მატიანეების კრებულში „ქართლის ცხოვრება“. ბოლო წინადადებები, რომლებშიც გიორგი პირველის მეუღლის, მარიამ დედოფლის ბიზანტიაში სტუმრობაა აღწერილი, ბადებს ეჭვს, რომ ტექსტი ნაკლულია.

ჩვენთვის საინტერესო ხანა (რომანის ისტორიული ფონი) მოიცავს გიორგი პირველის მეფობის ჟამს (1014 წლის 7 მაისიდან (ბაგრატ III კურაპალატის გარდაცვალებიდან) 1027 წლის 16 აგვისტომდე).

გიორგი I შვილია ბაგრატ III-ისა, „შვილიშვილი“ დავით კურაპალატისა (რომელსაც ეშვილა ბაგრატი, ძე გურგენ მაგისტროსისა (იხ. კომენტარები აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავისა“)).

მატიანეში ვკითხულობთ: „გარდაიცვალა დავით დიდი კურატპალატი (მატიანეში სწორედ ეს ტრანსკრიფციაა დაცული), ძე ადარნასე კურატპალატისაი ქრონიკონსა სკა (1001წ.) და არა ესუა ძე. და აოხრდა იმიერ ტაო. და გამოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე (ბასილი II – 976-1025) და მისცნეს მას ციხენი აზნაურთა ამა დავითისთა, და დაიპყრა ბასილი მეფემან მამული დავით კურატპალატისაი. და მივიდეს მის წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფე (ბაგრატ III – 1001-1014) და მამაი მისი გურგენ. და მოსცა მათ ბასილი მეფემან პატივი, გურგენს მაგისტროსობაი და ბაგრატს კურატპალატობაი“ (გვ. 52). ბიზანტიის იმპერატორს ამ ხერხით მამა-შვილს შორის მტრობის ჩამოგდება სურდა (კურაპალატი მაგისტროსის აღმატებული ხარისხი იყო), მაგრამ „გურგენ ჭეშმარიტი და მართალი იყო და ვერა აღძრა გული მისი ზაკვითა“.

გურგენი 1008 წ. გარდაიცვალა. ბაგრატ დიდი კურაპალატი „ეუფლა ტაოს მამულსა თვისსა, და დაიპყრა ყოველი კავკასია ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე, ხოლო ადარბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო, სომხითსა ხელმწიფებითა ნებიერად განაგებდა. მეფე სპარსთა მეგობრად და ერთ-



გულ ყო სიბრძნითა და ძლიერებითა თვისითა უფროს სახლეულთა თვისთასა, ბერძენთ მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადვე“. საკუთარი მამის დისშვილები (თავისი მამიდაშვილები), კლარჯი ხელმწიფენი, სუმბატ და გურგენ, ბაგრატი არტანუჯელის ვაჟები დარბაზობაზე იწვია ფანასკერტის ციხეში, შეიპყრა, „აღიხუნა ქუეყანანი და ციხენი მათნი“ და თმოგვის ციხეში გამოჰკეტა, სადაც გარდაიცვალნენ კიდევ 1011 და 1012წწ...

ბაგრატი „მოვლო ყოველი სამეფო თვისი, აფხაზეთი, ჰერეთი და კახეთი, მოვიდა და დაიბამთრა ხევთა ტაოსათა. და მო-რა-ინია ზაფხული, მოვიდა მასვე ციხესა ფანასკერტისასა და მუნ გარდაიცვალა ესე ბაგრატი ქრონიკონსა სლდ (1014წ.), თთუესა მაისსა ზ (7 მაისს), დღესა პარასკევსა“ (სუმბატ დავითის-ძის ცნობას ავსებს „ქართლის ცხოვრების“ მონაცემი: „და წარმოილო გუამი მისი ზვადმან ერისთავთ-ერისთავმან და დამარხა ბ ე დ ი ა ს“ („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 283)).

ბაგრატი „დაუტევა ძე თვისი გიორგი და დაჯდა იგი მეფედ წლისა იე (18 წლისა).

მატიანის მიხედვით, გიორგის მეფობა საკმაოდ რთულ პერიოდს დაემთხვა. ორიოდ გვერდზე აღწერილი გიორგი პირველის თოთხმეტწლიანი მეფობა.

„ხოლო დაჯდა რა ესე გიორგი მეფედ, განდგა ამას ქვეყანა ჰერეთ-კახეთისაი და ლადრობითა (დაუნდობლობით – საბა) აზნაურთათა შეპყრობილ იქმნნეს ერისთავნი. მათ ქუეყანათ კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი“ („დიდგვაროვანი აზნაურები აუჯანყდნენ მცირეწლოვან მეფეს და კახეთ-ჰერეთი საქართველოს ჩამოაშორეს“ – ქსე, ტ. 3, გვ. 159).

„ქართლის ცხოვრების“ მონაცემით (რაც სუმბატის მატიანეში არ დასტურდება), გიორგი პირველმა ისარგებლა იმით, რომ 1014-1016წწ–ში ბიზანტიის იმპერატორი ბასილ II ბულგარელებს ეომებოდა, გადალახა ბიზანტიის საზღვრები და ტაო დაიბრუნა.

სუმბატ დავითის ძე მოგვითხრობს: „ამის გიორგის მეფობისა მეშვიდესა წელსა გამოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე ამას გიორგის მეფესა ზედა. ხოლო ესე გიორგი განვიდა ლაშქრითა დიდითა (ეს 1021 წ. ხდება, როდესაც ბასილიმ ბულგარელებთან ბრძოლა დაამთავრა და სადავო ტერიტორიების დაცლა მოითხოვა („ზემონი ქუეყანანი“ – იხ. „თორნიკე ერისთავის“ კომენტარები – ნ.კ.)) და დაიბანაკეს ქუეყანასა **ბასიანისასა** ორთავე მრავალ დღე, და არა მივიდეს ბრძოლად ერთმანერთსა ზედა, არამედ მოერიდა გიორგი და დაწუა ქალაქი **ოლთისი...** გამოუდგა კუალსა და მოუდგა უკანა მეფე ბერძენთა“. გიორგი მეფის არიერგარდი (ჯარის უკანა ფრთა) და ბასილი მეფის ჯარის ავანგარდი (წინა ფრთა) ერთურთს შეება „სოფელსა შინა, რომელსა ეწოდების **შირიმთა**.

(შირიმნის ბრძოლა – 1021 – ბრძოლა საქართველოსა და ბიზანტიის ლაშქარს შორის შირიმნთან (ახლ. თურქეთის ტერიტორიაზე). ბიზანტიის იმპერიას არ აკმაყოფილებდა საქართველოსაგან მისი სიუზერენობის ფორმალური აღიარება და ცდილობდა, რეალურად განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა, რისთვისაც XI ს. დასაწყისში სამხრ. ტაოს ტერიტორიაზე დავით კურაპალატის ყოფილი სამფლობელოებიდან იბერიის თემი შეიქმნა. ბიზანტია ცდილობდა, შეეჩერებინა საქართველოს გაერთიანების პროცესი და ხელში ჩაეგდო მოსაზღვრე მიწები.

1014-1018 წწ–ში, როცა ბიზანტია ბულგარეთთან ომით იყო დაკავებული, საქართველომ ბრძოლა დაიწყო სამხრ. ტაოს მიწა-წყლის დასაბრუნებლად. ქართველებს მხარში ამოუდგნენ სომხებიც. გიორგი პირველმა დაიკავა ბიზანტიის მიერ მიტაცებული ციხესიმაგრეები, მაგრამ ბიზანტიამ, ბულგარელთა დამარცხების შემდეგ, გიორგი პირველს დაკავებულ სიმაგრეთა დაცლა მოსთხოვა. არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობით, გიორგიმ არ შეასრულა ბასილის მოთხოვნა. განრისხებულმა ბასილიმ საქართველოზე გამოილაშქრა. გიორგიმ ლაშქარი შეკრიბა, მაგრამ, მონინალმდეგის დიდი რიცხოვნობის გამო, შეებმა მიზანშეუწონლად ჩათვალა და უკანდახევა დაიწყო. მტრის მოძრაობისათვის რომ ხელი შეეშალა, გიორგი I-მა გადაწვა **ოლთისი**.

ბიზანტიელები 1021წ. პალაკაციოს (ჩილდირის) ტბის მახლობლად, შირიმნთან შეებნენ საქართველოს ლაშქრის არიერგარდს. ქართველებმა უკუაქციეს მტერი, მაგრამ მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს, უკან დაიხიეს. ამან მტერი გაააქტიურა. ბიზანტიელებმა გაანადგურეს კოლა-არტან-ჯავახეთი, თრიალეთში შემოიჭრნენ. გიორგი პირველმა კახეთ-ჰერეთის ძალები მოიშველია და ბრძოლის განახლება გადაწყვიტა. ზამთრის მოახლოებისა და ქართველთა ჯარის გაძლიერების გამო ბასილიმ ბრძოლა აღარ გააგრძელა, უკუიქცა და უკუქცევისას „კუალად უბოროტესადრე შურის-გებით მოაოხრა ქუეყანანი“...

ბრძოლაში დაიღუპნენ დიდი ფეოდალები – კლდეკარის ერისთავი – რატი ლიპარტის ძე და ხურსი (ქსე, ტ. 11., 1987, გვ. 8)).

უკუქცეულმა ბასილიმ „დაიზამთრა ქუეყანასა ხალდიასა, ქალაქსა ტრაპიზონტას. და ვიდოდეს მოციქულნი ორთავე ამათ მეფეთანი ზავისათვის ერთმანერთისა წინაშე და მშვიდობისა...“.

შემოქცეული ბასილი „მოვიდა ბასიანს. და ითხოვდა იგი გიორგი მეფისაგან ციხე-ქუეყანათა და აღუთქუმიდა ზავსა და მშვიდობასა. ხოლო გიორგი მეფემან განავლინა **ზვიადი** ლაშქართა დიდითა უწინარეს თვისსა (ზვიადი, იგივე ზვიად მარუშიანი, ბაგრატ IV-ისა და გიორგი I-ის სპასალარი („მატიანე ქართლისა“), რომელიც 1024 – 1027 წწ. შორის შეპყრობილ იქნა გიორგი I-ის მიერ (გომარეთის წარწერა) **(სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა, თბ., 1990, გვ. 66)**. და დაილაშქრა ზვიადმანცა ამიერ კიდესა ბასიანისასა... ხოლო თვით გიორგი მეფე უკანა ისრე განვიდა ზავად წადიერ ლაშქრითა დიდითა, გარნა... **მზაკუარნი იგი აზნაურნი** არა მიეშუნეს გიორგის ყოფად ზავისა, რამეთუ არა უნდოდა მშვიდობაი...“.

სუმბატის ცნობით, გიორგისა და ბასილის შორის დადებული ზავი „მზაკვარმა აზნაურებმა“ დაარღვიეს. განრისხებულმა ბასილიმ გიორგის ზავის წერილი შუბის წვერზე წამოაგო და ღმერთს შეჰლაღადა: „იხილე, უფალო, წერილი ესე მათი და საქმე, რომელსა ან იქმენ“.

მეფე გიორგისა და მთავარი ჯარის მისვლამდე ბასილიმ გაანადგურა ქართველთა მცირერიცხოვანი სპა, რომელმაც, მეფის დაუკითხავად, ზავის დარღვევა და ბიზანტიელებთან შებმა გაბედა.

ბასილის მანც აფრთხოდა ქართველთა „განდგომილება“ და გიორგისთან დაზავება ამჯობინა (ქსე-ს მონაცემებით, ტრაპიზონს გადასული ბასილი ძნელი ამოცანის წინაშე დადგა – ბიზანტიაში იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო **ნიკიფორე ფოკასა და ქსიფეს** მეთაურობით. გიორგი მიემხრო აჯანყებულებს და უარი განაცხადა ბიზანტიასთან არახელსაყრელი ზავის დადებაზე, მაგრამ აჯანყება დამარცხდა. ბასილიმ კვლავ გამოილაშქრა საქართველოზე. თავდაპირველად უპირატესობა ქართველთა მხარეზე იყო, მაგრამ საბოლოო გამარჯვება ბიზანტიელთ დარჩათ. გიორგი იძულებული გახდა, დასთანხმებოდა მძიმე საზავო პირობებს (ქსე, ტ. 3, თბ., 1978, გვ. 158-159)).

„ყუეს მაშინ მშვიდობაი და დაიზავნეს. და მისცა გიორგი მეფემან მძევლად ძე თვისი ბაგრატ, სამისა წლისაი ყრმა ჩვილი, და მისცა ციხე ათორმეტი და ქუეყანანი დავით კურაპალატისანი ნაქონებნი ტაოს, ბასიანს, ჯავახეთს და შავშეთს“.

ბასილიმ თან წაიყვანა სამი წლის ბაგრატი და გიორგის შვილის სამი წლის შემდეგ დაბრუნება აღუთქვა.

სამი წლის შემდეგ ბასილიმ კონსტანტინეპოლიდან მართლაც წარმოგზავნა ბაგრატი, რომელსაც კატაბანი (ბიზანტიის სამეფო კარის მოხელე) გამოაყოლა. „და მოინია ბაგრატ ტაოს და შემოვიდა თვისსა მამულსა ბანას..“.

კატაბანი უკან გაბრუნდა. გზად ბიზანტიის ახალი იმპერატორის – ბასილის ძმის – კონსტანტინეს დესპანნი შემოხვდნენ.

ბასილი გარდაცვლილიყო. კონსტანტინე მძევალი ბაგრატის უკან დაბრუნებას უბრძანებდა კატაბანს, მაგრამ კატაბანმა ეს ვერ მოახერხა:

„დევნა უყო მას, გარნა ვერ ენია, რამეთუ თვისსა მამულსა შემოსრულ იყო იგი (ბაგრატი) და განძლიერებულ ლაშქართა, რომლისა ბრძოლად ვერღარა ეძლო კატაბანსა მას... ეჭა, დიდი და საკვირველი მოწყალებაი ღმერთისაი! ვითარ-ღა განერა მართალი ხელთაგან შემპყრობელთა და მტერთა მისთასა, ქორონიკონსა სმე (1025წ.).“

და მოვიდა ბაგრატ საბერძნეთით წინაშე მამისა თვისისა გიორგი მეფისა და დედისა თვისისა მარიამ დედოფლისა (**მარიამ დედოფალი – ვასპურაკანის სომხური სამეფოს უკანასკნელი მეფის, სენექერიმ არწრუნის ასული (სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, თბ., 1990, გვ. 67)**) ქალაქსა მათსა ქუთათისს, და ესრეთ შეკრბეს იგინი მშვიდობით და მისცეს დიდებაი და მადლობაი ღმერთსა მომადლებისათვის მათდა ესევითარისა მის კეთილისა. და შემდგომად ამისსა, რა გარდახდეს წელნი ორნი, გარდაიცვალა გიორგი, მამაი ამის ბაგრატისი, *თრიალეთს*, ადგილსა მას, რომელსა ეწოდების მყინვარნი, ქორონიკონსა სმზ, თთუესა აგვისტოსა ივ (1027წ. 16 აგვისტო).

გიორგის შემდეგ გამეფდა ცხრა წლის ბაგრატი (IV). განუდგნენ ტაოელი აზნაურები ვაჩე კარიჭისძე, ბანელი ეპისკოპოსი იოანე...

კონსტანტინემაც ისევე მოაოხრა სამხრეთი საქართველო, როგორც ადრე – ბასილიმ.

სუმბატი კონსტანტინეს სიკვდილს ასე აღწერს: „ენია რისხუა უმსჯავროსა მას მეფესა კონსტანტინეს, მსგავსადვე ივლიანეს უსჯულოსა, უწყალოებისთვის ბაგრატ მეფისა ჩუენისა, მოოხრებისათვის მამულისა მისისა...“

...სანატრელმან დედოფალმან მარიამ, დედამან ბაგრატ მეფისამან, შეიმოსა სიმხნე და ახოვნებაი, რამეთუ ნაშობი იყო ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა მეფეთა არშაკუნიანთა და წარვიდა კონსტანტინეპოლად წინაშე მეფისა, ვედრებად მისსა, რათა მშვიდობა-ყოს აღმოსავლე-

თისათვის და რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა და გლახაკნი დაწყნარებულ და მყუდრო იყუნენ, და რათა მიუთხრეს პატივი ძესა თვისსა ბაგრატს მეფესა ნესისაებრ სახლისა (მათისა).

რომანის ისტორიულ ფონს წარმოაჩენს როინ მეტრეველი ნერილებში „საქართველოს ისტორიის ერთი ფურცელი“ (ბიზანტია-ბულგარეთის 1014-1018 წწ. ომი და საქართველო) და „დიდოსტატის ისტორიული ფონი“ (იხ. ნიგნში **რ. მეტრეველი, „და მოვიდეს ვარანგნი,“ თბ., 1988, გვ. 157-174**).

„რა ძალებს ეყრდნობოდა გიორგი I, როცა მრისხანე მბრძანებელს ქედი არ მოუხარა? ქართველი მემკვიდრეების ცნობით, კახეთ-ჰერეთი აღარ ემორჩილება საქართველოს მეფეს (სუმბატის ცნობით, „დაჯდა რა ესე გიორგი მეფედ, განუდგა ამას ქუეყანა ჰერეთ-კახეთის (გვ. 54)). „მატიანე ქართლისა“ უთითებს, რომ ჰერეთი და კახეთი ბიზანტიის წინააღმდეგ საქართველოს სამეფოს გვერდითაა. გიორგი I-ს უდგას მხარში ანისის სამეფო...

იაჰია ანტიოქელის ცნობით, გიორგი I-მა საილუმლო მოლაპარაკება დაიწყო ეგვიპტის ხალიფა ალ-ჰაქიმთან. საქართველოს სამეფო კარის წინადადება ითვალისწინებდა ბიზანტიაზე თავდასხმას ერთდროულად ეგვიპტისა და საქართველოს მხრიდან, ე. ი., სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. ამ ტაქტიკური გეგმის განხორციელებას შეეძლო ბიზანტიის იმპერია დიდ საფრთხეში ჩაეგდო. **საქართველო-ეგვიპტის მოლაპარაკებას პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია, რადგან 1021 წ. ალ-ჰაქიმი გარდაიცვალა.**

„დიდოსტატის მარჯვენის“ ეპოქა ეტაპობრივად დავით აღმაშენებლის მოღვაწეობამდე სწვდება და ამიტომ მწერალი სრულიად ბუნებრივად იყენებს XI-XII საუკუნის წყაროებს (სუმბატ დავითის ძე, „ცხოვრებაი და უწყებაი ბაგრატიონიანთა“; „მატიანე ქართლისა;“ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი...).

„დიდოსტატის მარჯვენის“ ეპოქა ეტაპობრივად დავით აღმაშენებლის მოღვაწეობამდე სწვდება და ამიტომ მწერალი სრულიად ბუნებრივად იყენებს XI-XII საუკუნის წყაროებს (სუმბატ დავითის ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“; „მატიანე ქართლისა;“ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი...).

სუმბატ დავითის ძის გარდა, XI ს-ის დასაწყისის ამბები მოთხრობილია **ანონიმი ავტორის „მატიანე ქართლისაში“ (ქართული პროზა, ტ. 3, 1982).**

„ბაგრატსა და განძის“ (განჯის) ამირას, ფალონს შორის ზავი დაიდო.

ბაგრატმა – „დიდმან მეფემან აღაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ.

ამანვე აკურთხა ეკლესია ქუთათისისა (ბაგრატის ტაძარი) განგებითა დიდითა და მიუნდომელითა... ესე ბაგრატ (III) აფხაზთა და ქართველთა მეფე წარემატა ყოველთა ხელმწიფეთა ყოვლითა განგებითა... შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა არავინ გამოჩენილ არს სხვა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა და ყოვლითა გონებითა. **ეკლესიათა მაშენებელი** იყო, გლახაკთა მონყალე და სამართლის მოქმედი..“

სვიმონ კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ ბაგრატმა კათალიკოსად „დიდებულთა კაცთა შვილი (შდრ. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ – გრიგოლი – შვილი წარჩინებულთა მამა-დედათაი“), თავისი ნათესავი და „გაზრდილი“ მეღქისედეკი დანიშნა.

ბაგრატ მესამე კონსტანტინოპოლს ჩავიდა ბასილისთან, „რათა შეენიოს“ (დახმარების სათხოვნელად) (ეს ის ბასილია, რომელმაც ადრე თავად სთხოვა დახმარება დავით III კურაპალატს (იხ. აკაკი წერეთელი, „თორნიკე ერისთავი“). („დრონი იცვალნენ..“).

უცნობი მემკვიდრე გვიამბობს სვეტიცხოვლის შესახებ („მატიანე ქართლისა“): „დიდი ესე კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტიცხოველი, რომელი ვახტანგ გორგასალს აღეშენა, დაძველებულ იყო და ჟამთა შლილობით გარეშემო სტოანი დაქცეულ იყო და აღარავინ იყო მნი აღშენებად და არცარა ვის ძალებდვა აღშენება მისი. და მივიდა (ბაგრატ III ბასილისთან) და მიუთხრა ყოველი შეუძლებლობა ქართველთა და სათხოველი თვისი.

მაშინ მეფემან ბასილი მოსცა მონასტერი კესტორია... განძი და შესამკობელნი ეკლესიათანი, ხატნი და ჯვარნი, და ყოველივე სამღვდელმთავრო და სამღვდლო სამკაული. და წარმოვიდა და მოინია ქვეყანასავე თვისსა ქართლად და სამეუფოდ ქალაქად მცხეთად. და იწყო შენებად გარეთითა ბჭითა და გარეშემოთა სტოითა მოქმნითა და ზედა დაბურვითა. და ყოველი განასრულა. და მიმადლა ღმერთმან განახლება მცხეთის ქალაქისაცა და შეამკო დიდი კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტიცხოველი ყოვლითა სამკაულებითა, ოქროთა და ვერცხლითა, თვალითა და მარგალიტითა...

„შემკობილი მხცითა (მხცე – ჭალარა) შუენიერითა“ ბაგრატი ტაოს გარდაცვლილა. „წარმოიღო გვამი მისი ზვიადმან ერისთავთ-ერისთავმან და დამარხა ბედიას.



**(ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ მესამის საფლავი ბედიშია, აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონში).**

სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ ნაწილშია გამოსახული ქტიტორი – ბაგრატ მესამე ეკლესიის მოდელით ხელში.

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ბედიის ბარძიმი. ბარძიმის ზედა ნაწილში ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა – აფხაზეთის მეფე ბაგრატი და მისი დედა გურანდუხტი ბარძიმს სწირავენ მათ მიერვე ახლად აშენებულ ბედიის მონასტერს.

ბარძიმის გარე ზედაპირი 12 თალადაა დაყოფილი. თითო თალის ქვეშ თითო ფიგურაა – ერთ მხარეს ტახტზე მჯდომი ქრისტე, მეორეს – ღვთისმშობელი ყრმით ხელში. აქეთ-იქით – ფეხზე მდგარი წმინდანები... (ქსე, ტ. II, თბ., 1997, 266)).

„მატიანე ქართლისა“ მოგვითხრობს:

„შემდგომად (ბაგრატისა) მეფე იქმნა ძე მისი გიორგი. და იყო იგიცა სავსე ყოვლითა სიკეთითა. ხოლო ესე გიორგი ეუფლა ყოველსა მამულსა და სამეფოსა თვისსა ჟამსა ოდენ სიყრმისა და სიჭაბუკისა მისისასა, რამეთუ იყო, რაჟამს მეფე იქმნა, წლისა ათორმეტისა (სუმბატის მიხედვით, თვრამეტისა).

...ახოვან იყო და უშიში ყოვლითურთ, ვითარცა უხორცო..“.

უცნობი მემატიანე იმავე ამბებს ჰყვება, რასაც სუმბატ დავითის ძე. გარდაცვლილ გიორგის იგი ასე ახასიათებს: „სავსე ყოვლითა კეთილითა... არავინ გამოჩენილ იყო მსგავსი მისი მამათა შორის მისთა ახოვანებითა, ჭაბუკობითა და სიქველითა, ტანითა და სახითა, ცნობითა, და სავსე ყოვლითა განგებითა სახელმწიფოთა... იგლოვდეს ყოველნი სიკეთისა და სიჭაბუკისა და ახოვნებისა მისისათვის.

(გიორგის გარდაცვალების ადგილად, ისევე, როგორც სუმბატის მატიანეში, აქაც დასახელებულია თრიალეთი, ადგილი, „რომელსა ეწოდების მყინვარნი, გინა იწრონი“).

ესხნეს შვილნი ოთხნი: ძენი ბაგრატ და დემეტრე და ასულნი გურანდუხტი და კატა. მეხუთე შვილი მათი მართა მიცვალებულ იყო...

...სხუაცა ძე დარჩა გიორგი მეფესა ანაკოფიას შინა, ოვსთა მეფისა ასულსა მეორესა ცოლსა თანა... სახელით დემეტრე (რომელმაც მიმართა ბერძენთა მეფესა და წარუტანა თანა ანაკოფია და მიერიტგან წარუხდა ანაკოფია აფხაზეთა მეფესა მოაქჟამამდე“ (მატიანე ქართლისა, ქართული პროზა, ტ. III, თბ., 1982, 95).

**(ეს დემეტრეა წინაპარი დავით სოსლანისა).**

## პერსონაჟები

### სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარი (კონსტანტინე არსაკიძის დახასიათება)

ქორსატეველას ციხეში კივილით შემოსული შორენას მკლავი კონსტანტინე არსაკიძეს ეპყრა, უწვევრულ ჭაბუკს. ძლიერ წააგავდა შორენას, ფხოვური ჩოხა ეცვა და ჟანგისფერი თორი. მის დახახვაზე ეს გაიფიქრა გიორგი მეფემ, ძმა ხომ არ არისო ეს ვაჟი შორენასი. გაახსენდა, მხოლოდ-შობილი რომ იყო შორენა.

კოლონკელიძის ამბოხი დაიწყო...

ხევის სიღრმეში საცალფეხო ბილიკს შესდგომოდა თორიანი ჭაბუკი ცხენით. ფხოვური ჭრელაჭრული კაბა ეცვა ტანკენარს, ფხოვური ქუდი ეხურა თავზე. მიიმღეროდა:

„კაი ყმა, მგელი, არწივი – არც ერთი არ გაიწვრთნების...“

მგელი არ მოშლის მგლობასა, კაი ყმა – მამაცობასა, არწივი – არწივობასა“.

ფხოველმა დედაკაცმა მაცნედ აფრინა ჭაბუკი, შეევედრა, „ოჩანის ციხეში ამბავი დააგდე, მეფის ჯარები მოდიან-თქო, მერე კვეტარისკენ მოუსვი“.

კოლონკელიძის დასჯის შემდეგ, „ხელები გაუკრეს კონსტანტინე არსაკიძეს, შორენას ძუძუმტეს, რომელიც პირველი მივიდა კვეტარის ციხეში მეფის სპათა შემოსვლის მაცნედ“.



მცხეთაში მისვლისთანავე ირმის ჯოგი სასახლის ეზოში დააბინავეს, შორენა და მისი შიმუნვარები ჩაკეტეს ლართისკარის ციხეში, ხოლო კონსტანტინე არსაკიძეს ერთი საკანი მიუჩინეს მთავართა სანათლოს უბანში, ძველი ბაზილიკის ნანგრევებს გადალმა, სადაც ფარსმან სპარსი ცხოვრობდა.

ნადირობისას შეხვდა პირველად მეფე არსაკიძეს. ლაზური წესით ნადირობდა მიმინოზე კონსტანტინე. მისი ჩოხა ბირკას დაეხუნძლა, თმა გაჰპურდგნოდა.

კვეტარის ერისთავის, თალაგვა კოლონკელიძის, კირითხუროს ვაჟად გაეცნო მეფეს. მამამისი ციხის ალებისას მოეკლათ „სამეფოის სპათა“.

ერთ დროს, თურმე, ეკლესიებს აშენებდა არსაკიძის მამა, მაგრამ მას შემდეგ, რაც კოლონკელიძემ ციხეების შენება უბრძანა, დაჰყვა ამაყი ერისთავის ნებას.

მცხეთაში ტყვეობისას ყვავილი მოეხადა კონსტანტინეს, ამაღ სწირავდა მამალს ღვთაებას.

კირითხურო არსაკიძე ფარსმანის ხელდასხმით შრომობდა. როცა მეფემ აზრი ჰკითხა სპარსზე, ლაზმა დაუფარავად მიუგო: „ჩინებული ოსტატია ფარსმანი, მაგრამ თავნებაა ფრიად. სხვათა თათბირს ჩირად არა სთვლის. ძნელია მასთან მუშაობა“.

ცხაკარისა და ითვალისის ეკლესიები აეგო ჭაბუკს. მეფეს ძალზე მოსწონდა ეს ტაძრები, მიტომაც შეიგულა „გლახუნა ავშანისძემ“ სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვრად სწორედ არსაკიძე, სასახლეში იწვია, მეფესთან წარგადგენო, შეჰპირდა.

მეფის ხელდასხმით, არსაკიძემ შექმნა ნახაზი სვეტიცხოვლის, ოსტატს მიუტანა – გიორგის ებრძანებინა, ფარსმანმა გადაჰკრასო თვალი.

მელქისედეკ კათალიკოსს თავისი გაეტანა – ტაძარი სამნავიანი უნდა ყოფილიყო, სამი ეკლესია გამართულიყო მასში: ოლთისის ეკლესია, ქართული ლაშქრის მიერ გადამწვარი, ორიც – სამცხისა, ფარსმანის ნაგები. სიმაღლე სიგანეზე ორჯერ მეტი უნდა ყოფილიყო.

ხუროთმოძღვრის ხარისხთან ერთად, სარკინოზებთან გაქცეული ხურსი აბულელის სახლთუხუცესის, რატის სასახლე მიუბოძა გიორგიმ არსაკიძეს. მხევალი ნონაილა ცხოვრობდა რატისეულ დარბაზებში. შვილივით შეიყვარა კონსტანტინე.

მამისეულ ოჯახში ნებიერად აღზრდილს, მეურნის ნიჭი არ მოსდგამდა არსაკიძეს. განადგურების პირს მიმდგარიყო რატისეული სასახლე.

დღენიდაგ ხარაჩოებზე დაბობლავდა არსაკიძე. მთელ საქართველოში დაეხეტებოდა, ციხეთა და ეკლესიათა მშენებლობას თვალს ადევნებდა. დაქანცული, კირში ამოთხვრილი ბრუნდებოდა ნასამხრალზე შინ, ზეზეულად წაიხემსებდა, კვლავ სამუშაოს მიუჯდებოდა. თავად ხაზავდა გეგმებს, ასწორებდა სხვის მიერ დახატულ დეტალებს, არ ენდობოდა ხელოსნებს, ხანაც საჭრეთელს წაავლებდა ხელს, აქანდაკებდა ბარელიეფებს, ჩუქურთმებს სჭრიდა უდრეკ ლოდებზე, საფრესკე ნახაზებს ამზადებდა თავად. იტანჯებოდა ნონაი არსაკიძის შემყურე – დღენიდაგ შრომაში გართულს ჭამაც კი ავიწყდებოდა. შეჭამეო რამე, ევედრებოდა მხევალი თავის ახალ ბატონს, რომელსაც ბატონობის ნიჭი არ აღმოაჩნდა.

ნონაი დედას აგონებდა არსაკიძეს უცნაური მზრუნველობით.

ეზოისმოდღვარი საყვედურობდა ხუროთმოძღვარს, წირვასა და მწუხრზე ვერ გხედავენო. ლაზები იყვნენო პირველქრისტიანნი საქართველოში, მათ აღმართესო ძელი პატიოსანი პირველად. თუ წარმართმა ფხოველებმა არ გადაგარჯულეს, შენ უნდა იყოო სანაქებო სჯულისმოყვარე. მიუსაფარ ტყვეს არ სჭირდებოდა ძლიერთა გადამტერება.

ტკებოდა ოსტატი საყვარელი ქმნილების ხილვით. ორი წლის წინ მიწას არ აჩნდა ბალავარი. ახლა ხარაჩოების მთელი ტყე იდგა ოთხივე კიდეს. ხაზები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა შორიდან, გოლიათური ქარის წისქვილები აუგიათო.

**„უნესრიგო, უსწორო ხაზების ქაოტიურ ზესწრაფვაში მხოლოდ ოსტატის თვალი თუ ამოიკითხავდა მომავალი ნაგებობის ანაგობას დიდებულს.“**

**არავინ ისე არ იტანჯება მატერიის ქაოსის შემყურე, როგორც ხელოვანი ამქვეყნად. არსაკიძე გრძნობდა, მეფემ და კათალიკოსმა უდიდეს ოსტატს რომ შეარკინეს იგი: მოხუცებულ ბრძენკაცს უნდა შებმოდა მოკრძალებული, თავმდაბალი ჭაბუკი. მის ქმნილებას უნდა დაეჩრდილა ყველა ტაძარი, ფარსმანის მიერ აგებული სამცხეში. ღმერთია მონამე, მას არ მოუნადინებია ეს. არსაკიძის სახელს დასწვდნენ და ესროლეს იგი ფარსმანს, როგორც ხელკეტი – მწიფე ნაყოფს.**

**ხალხს გულამაყი ეგონა არსაკიძე – უთვინიერესი ბუნებით“.**

ფარსმანისაგან გაეგონა: „ბრძენკაცი უნდა იყოო და შლევად მოაჩვენოო ადამიანებს თავი, გმირი

**უნდა იყო და ჯაბანივით დადიოდე, ოსტატი უნდა იყო და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი, რადგან არავის იმდენი მტერი არა ჰყავს ამქვეყნად, რამდენიც ბრძენკაცს, გმირსა და ოსტატს“.**

არცთუ ოდესმე გაბედავდა არსაკიძე არაგვისა და მტკვრის შესართავთან ტაძრის აგებას უკვარცხლობეკო ვაკეზე, რომ არა ნება მიეფისა. „აღმოსავლეთიდან ჯვრის ტაძარი გადმოსცქერის (სვეტიცხოველს), სარკინეთისა და ზედაზნის მთების გვირგვინი, ჩრდილოეთიდან, ყაზბეგის მწვერვალიდან, ყინვის ბეგთარებში ჩაჭედილი მარადყამობა“.

ებრძოდა არსაკიძე უხეში ლოდების ქაოსს, როგორც კოჭლი იაკობი – თავის მრისხანე ღმერთს. ორი წლის წინათ ეს ლოდები, ეს ძელები უწესრიგოდ ეყარა მიწაზე. **„დახედა ოსტატის თვალმა, შეეხო ოსტატის ხელი, ქვა ქვაზე შესდგა, აგური აგურს ნაეპოტინა, კედლებმა მხარი მისცეს ურთიერთს, თალებმა კამარა შეჰკრეს, გუმბათმა ნაგებობა დააგვირგვინა... მალე მიეახლება ნაოსტატარს ოსტატი, ქაოსს შემოაცლის სრულყოფილს, ბედნიერი შემოქმედი შესძახებს ქმნილებას: იქმენინ ნათელი! და ცას მისწვდება ლოდების უცნაური ჰარმონია ცადატყორცნილი და ცაშივე გაყინული სამარადყამოდ. კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა. შრომაა უდიდესი სიქველე ამქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე. უდიდესი სიამაყე შეუდგება გულს, როცა შემოქმედების შენის ნაყოფი... მიწას სამკაულად გამოადგება“.**

ერთ ფიქრს შეეპყრო ოსტატი: **„ხელოვნებაა თავათ უკვდავება, მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი. ათასეული წლები წაღეკავენ ირგვლივ ყოველივეს, მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი“.**

უცნაური რამ დასჩემდა არსაკიძეს – ყოველ ეკლესიას საგანგებოდ ატოლებდა სვეტიცხოველის მომავალ შენობას. სამთავროს მონასტერს შემოუარა ბნელში და, თავისი ტაძარი რომ აღმატებულად შეიგულა, ეამა. **„მუდამ ასეთი ყოფილა ხელოვანის ბედი: როგორც ტოილოთი დაბმული ცხენი უვლის ხოლმე დღედაღამ პალოს, დადის წრის გარშემო გაჩხიბულივით, ასევე ოსტატს მუდამ თვალწინ უდგას შემოქმედების თვისის საგანი, სულ ერთია, სეირნობს იგი, ლხინს ეძლევა, ან მაშინაც, როცა ბრბოში უსაქმურად დაეხეტება, მარადყამს თავის პირმშოს დასტრიალებს გონების თვალთ“.**

მცხეთაში უცნაურმა სიმარტოვემ შეიპყრო არსაკიძე. დედა აგონდებოდა, ჩაესმოდა თავისი ლაზური სახელი, „უტა“. უყვარდა ჭვრეტა ღამისა, „როცა ქვეყანა ბნელითაა მოცული და მხოლოდ ჩქამით შეიცნობა, რომ სიცოცხლე ჯერაც ფეთქავს მიწაზე“.

იმდენი სითბო და სიყვარული ჩამოჰყვებოდა ხოლმე დედის ხელშენავლებ პანტას, ზღმარტლს, ფხოვეურ პაჭიჭებს, ჭრელ წინდებს, დიდხანს ჰყოფნიდა ჯაფისაგან ნელში განყვეტილ ოსტატს ეს ყოველივე. უთვლიდა მშობელი, ალბათ, მეფესაც ეყოლებათ დედა, ალბათ, მეფესაც ეყვარებოდა დედა. დედა დააფიცეო მეფეს, შეევედრეო, გამოგიშვას დედის სანახავად, სიკვდილის წინ დაგლოცოო. გზა რომ ვიცოდე, თავად წამოვიდოდი როგორმე, პურისმცხოვლად დავდგებოდიო შენ ახლოს სადმე... ეგეც არ იყოს, ვინ მიხედავსო მამას, ფხოვეურ მიწაში მარტოკა მწოლარეს, საკლავს ვინ შესწირავსო სულის საცხოვნებლად.

არსაკიძეს თავადაც ენატრებოდა მშობელი, მაგრამ **„არ იქნა და ვერ მოთავდა სვეტიცხოველი. რაც უფრო მალა მიიწევდა შენობა, უფრო და უფრო რთულდებოდა საქმე“.** ხარაჩოები ინგრეოდა ზამთრობით, მუშახელი იღუპებოდა ან ზიანდებოდა, ფერხდებოდა მშენებლობა.

**„კაცის მაგივრად კაცის პოვნა ხომ ადვილია, ოსტატის ნაცვლად ოსტატის გამონახვაა ძნელი. ქმნილების დაწყებაა მთავარი, მაგრამ დასრულება მისი უმთავრესია მაინც“.**

დიდი მოამაგე იყო ტაძრისა მელქისიდეკ კათალიკოსი, მაგრამ, ჟამით ჟამზე ხელს უშლიდა არსაკიძეს, ფარსმანის მაგალითით დაშინებული. ყოველ წვრილმანში წარმართობა ელანდებოდა, უნებლიეთ ებრძოდა ბერიკაცი ქართულ მოტივებს, ძველ ბიზანტიურ მკვდარ სქემებზე შეყვარებული.

თავად არსაკიძესაც ბერძნული სკოლა ჰქონდა ბიზანტიონში გავლილი. მას შემდეგ, რაც თავად გახდა ოსტატი, უღალატა მასწავლებელთა გზას. **„ვინც შეგირდი არა ყოფილა, ვერასოდეს გახდება ოსტატი. ვერც იგი გახდება ოდესმე ოსტატი, მუდამ ოსტატებს ვინც შეჰყურებს პირში“.**

არსაკიძეს ახელებდა მელქისიდეკის უთავჯამო მითითებანი. მუდამ სძაგდა ისეთი ოსტატები, რომელთაც, პირჯვრის წერის მეტი, არა ესწავლათ რა. მოშურნენი ცილს სწამდნენ, მართლმორწმუნეობას სდევნისო წარმართი ფხოველი, იბერიელებს, ქრისტიანებს აქვეითებს, აღამალლებსო ლაზებსა და ფხოველთ.

ცუდი კვება და სახადი მუსრს ავლებდა მუშახელს. ასეთ დროს ტაძრის მიტოვება და ფხოვს წასვლა ღალატი იქნებოდა. სწამდა ოსტატს: **„ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად. თუ მთელი ჯანი არ შეაღიე ამ სასტიკ ბორონს, არაფერი გამოგივა ხელიდან...“**

ვარდისახარისაგან შეიტყო არსაკიდე, შორენა როდი ყოფილიყო მისი ძუძუმტე, არამედ მზექალი, რომელიც აკვანშივე გარდაცვლილიყო.

*მარტოკა იზრდებოდა კვეტარის ციხეში შორენა; აზნაურთაგანი არავინ იყო ახლომახლო. მონები მეგობრობას ვერ გაუნევდნენ აზნაურს. ამადაც დაეთქვათ, ძუძუმტენი არიანო კონსტანტინე და შორენა, სიყრმიდანვე თანშეზრდილნი.*

მცხეთის შემოგარენი აჯადოებდა არსაკიძეს. **„არავს შეყოლილი ბარი ზღვას მიაგავდა, ლაზისტანის ყურეში მთვლემარს“.**

გარემოს სილამაზის ჭვრეტაც ვერ უმშვიდებდა ვარდისახარის ნათქვამით აფორიაქებულ გუნებას. აგონდებოდა: მზექალაის სიკვდილის შემდეგ ლაზისტანს წასულიყო არსაკიძის ოჯახი. ხუთი წელი მანდ დაჰყვეს, ათი – კონსტანტინოპოლს. ბოლოს კვლავ მიბრუნდნენ ფხოვს. ახსოვდა შორენასთან შეხვედრა – შეღერებუიყო გოგონა, ღანვისთავებზე სცემდა ქერა კულულები, ხტოდა, უსტვენდა, ცელქობდა ბიჭივით, ფაფარზე ეჭიდებოდა უბელო ცხენებს.

ვარდისახარის ნათქვამმა შეცვალა სიყრმის მეგობარი არსაკიძის თვალში. ეზმანა თავთუხის თაველებსა და ყაყაჩოებში მავალი ქალი, სანატრელი სასძლო.

ზმანება ტილოდ აქცია, „სიზმარი“ უწოდა ნახატს.

მხევალი ნონაისაგან შეიტყო რატისეული, დანყველილი, სასახლის ამბავი. „ემშაკის კერძი“ რატი მელიის ტვიფრით დაედალათ. რატის ვაჟი, ვაჩე, მორიელებს დაეგესლათ. დანყველილი ყოფილიყო ოჯახი – მესამე მუხლის ნაშიერთაგანს მორიელი გესლავდა თურმე. ამაოდ ემუდარებოდა მხევალი არსაკიძეს, საცხოვრისი გამოეცვალა.

ოსტატი სხვა ფიქრებს შეეპყრო – ჟამის მანძილიდან შესცქეროდა თავის ქმნილებას: **„როცა ყველაფერს წვიმა წარხოცავს, როცა ყველა ხმას ქარი წაიღებს, სვეტიცხოველი შეიმატებს დიდებას... სხვა რა ევალება ოსტატს, თუ არ წამიერის მრავალჟამულად ქცევა?! სხვა რა ევალება ამქვეყნად ოსტატს, თუ არ ჭიდილი წარმავლობის ნისლთან?!“**

ხედავდა უცნაურ ფერებს: **„ლაინისფერი და იისფერი ერთურთს ებრძოდნენ ცარგვალზე. ენდროსფრად შეიღებნენ დურაჯისფერი ქულები, კრავებივით მიმობნეულნი ცაზე. ბოლოს სოსანისფერი წამლებით შეღება ღრუბლები უჩინარმა არსთა მხატვარმა. მზე ისეთი ყვითელი იყო, როგორც კვერცხის გული, რძეში ნახარში“.**

გზნებდა შორენას მშვენიერებას, ესმოდა მის ბაგეთაგან წარმოთქმული „უტა“. ეს არ იყო ბავშვობაში შერქმეული უბრალო სახელი, არამედ გაცილებით უფრო ტკბილი, ვიდრე მოგონება სიყრმისა. დედის ალერსს იტევდა იგი, დალუპული მამის გლოვას, ლაზისტანის ზღვის შრიალს, ფხოვში გატარებული სიჭაბუკის ღხენას. **„ამ სახელში კვლავ განეცხადა არსაკიძეს ის ბედნიერი წუთები, როცა პირველად შეხვდნენ ერთურთს ფხოვში, როცა არც ერთმა მათგანმა იცოდა, თუ რა იყო მათ შორის ვაჟი და ქალი. ახლა? ახლა უკვე დობილის ხმა როდი იყო ეს, არამედ ძახილი ქალისა. არსაკიძე მიეჭრა, მაგრამ კვლავინდებურად გადახვევა როდი შეჰბედა, ორივე ხელი დაუკოცნა სახელაღნიღმა“.**

ხელახლა შობილიყო შორენა მისთვის. ინანა ვარდისახართან ერთად ფხოვური ცის ქვეშ გატარებული ტკბილი ღამეები, თავისი პირველი ვნება უსირცხვილო სიძვის დიაცის მიმართ, სამუდამოდ შესძაგდა ქალი... ერთადერთ ფიქრს შეეპყრო – შორენაზე ფიქრს: **„მართლაც ღირსია შორენა, ველის ყაყაჩოები თაყვანს სცემდნენ, ოქროს თაველები თავს იდრეკდნენ მის წინაშე, უმძვინვარესი მხეცები ეგებოდნენ ფერხით“.**

ხელქვეითთა ბედზე დარდობდა სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარი, ჯეროვან საზრდელსა და ადამიანურ პირობებს ითხოვდა მათთვის. ამაოდ „მოძღვრავდა“ განმგეთუხუცესი, მაძლარი მონები ფასეულს ვერას შექმნიან, ხალხი თუ გაძღა, ლოცვასაც მიატოვებს და შრომასაცო.

ჩუქურთმიანი ლოდის კედელში ჩადგმისას წელი მოსწყდა არსაკიძეს, ოთხი კაცის ტვირთის მტვირთველს.

ნაღვლობდა, დაუსრულებელი რომ რჩებოდა სვეტიცხოველი. მთელი სიცოცხლე სხვათა ქვეყნებში ყიალსა და უსაზმნო შრომაში დაელია. ცხრაკარსა და ითვალისში აგებული ორიოდე ეკლესია უკვდავებას ვერ მოუხვეჭდა. იცოდა: **„მუზები დიახაც მიელტვიან უღრან ტყეებსა და უკაცურ მთებს, მაგრამ, უკეთუ მათი შთაგონების საგანი სატახტო ქალაქებს ვერ მისწვდა, ვერც ერთი ოსტატი გაითქვამს სახელს“.**

სვეტიცხოველი იყო არსაკიძის სიჭაბუკის, მამაკაცობის უსაჩინოესი ქმნილება, საქართველოს გულში აგებული. რამდენი შრომა, ტანჯვა შეაღია ამ დიდ ქმნილებას და ახლა სიკვდილს უნდა



გადაეჭრა გზა... ეცოდებოდა მოხუცი დედა, მის ნახვას ნატრობდა, ეგებ მისმა ლოცვამ და სიყვარულმა გადამარჩინოსო. ენატრებოდა შორენა, მის ბაგეთაგან წარმოთქმული თავისი ლაზური სახელის გაგონება.

სულზე მოუსწრო თურმანიძემ სნეულს.

როცა მარტოობა გულზე შემოეგზნებოდა, გადმოიღებდა ტილოსა და წამლებს (საღებავებს) არსაკიძე, ხატავდა თავისთვის.

სნეული ინახულეს მელქისედეკმა, ფარსმანმა. კათალიკოსის სათნოებამ განაცვიფრა არსაკიძე. მოაგონდა, როგორ განუმარტავდა ეკლესიის საჭეთმპყრობელი მრევლს სამთავროს ეკლესიაში იაკობის ღმერთთან შერკინებას. უცნაურად მოენადინა, დაეხატა ეს სურათი.

კათალიკოსის შემდეგ წვეულმა ფარსმანმა დამოძღვრა: **„ვინც მეფეთა სამსახურისთვის თავს გადადებს, მას საკუთარი სახლის უკან მზად უნდა ჰქონდეს დილეგიც, რადგან ქარის ქროლვას ემსგავსება მეფეთ წყალობა, ხან აღმა მიჰქრის ეს ნიავი, ხანაც თავდაღმა“**. დასცინა სპარსმა ახალგაზრდა ოსტატს: **„ყველაზე ძვირფასი მხატვრისათვის ის ნახატია, რაც არც მელქისედეკ კათალიკოსს შეუკვეთია, არც მეფე გიორგის, ის, რასაც მოცალეობის ყამს დახატავსო იგი თამაშით“**. ქარაგმით მიანიშნა გულღრძო ფარსმანმა, ნახატის რამდენიმე მონასმიც სჯობსო შენ მიერ ნაგებ სვეტიცხოველს.

„არსაკიძე აიძღვრა, მაგრამ არა აკადრა რა მოხუცებულ სტუმარს. თავისი ბერძნული განათლების მიუხედავად, არსაკიძე მაინც ლაზი იყო და არსად ისეთ პატივში არ არიან მოხუცებულნი, როგორც ოდითგანვე ლაზების ქვეყანაში“.

ფერწერა ბიზანტიონში შეესწავლა არსაკიძეს, ავრელიოს ალოსტოსთან...

მწარე ფიქრს შეეპყრო, **„მხოლოდ მოცლილებს ემარჯვებათო გამიჯნურება“**.

შემთხვევით შეესწრო ხევისბერთა იდუმალ თათბირს – მცხეთაში სწვეოდნენ კვეტარის ერი-სთავის ასულს. შეძრწუნდა, იგრძნო, ამაო და საშიშ საქმეში რევდნენ შორენას.

კლარჯეთიდან ჩამობრძანებული კათალიკოსისათვის დასრულებული უნდა დაეხვედრებინა სვეტიცხოველი. უკვე აღარ მოსწონდა, გიორგი რომ მიმინოთა განვრთნას უბრძანებდა – **„დიდი ქმნილების შემოქმედს თავმოყვარეობა შეუდგება ხოლმე მეფისას აღმატებული ხანდახან“**.

ნადირობისას შორენას ზედაც არ შეუხედავს ოქსინოთი მორთულ რაინდთათვის, კონსტანტინეს უმზერდა იდუმალ, ბრწყინვალე, თოროსან ვაჟკაცთა შორის **ლანდივით** მდგარს. უბრალო ფხოვურ ჩოხაში მორთული, არამინიერ არსებას მიაგავდა იგი ლოყებლაჟლაჟა, კურატივით ჩასუქებულ მამაკაცთა წრეში.

შორენას გამოუტყდა ხუროთმოძღვარი: **„არ შემიძლია, მლიქვნელისა და კარისკაცის მოვალეობა ოსტატის საქმესთან შევათავსო. თუ ხუროთმოძღვრის ხარისხი ბაზიერთუხუცესობასაც მოასწავებს, მაშინ იმ ტაძარს მოვათავებ და ისევ კირითხურო გავხდები უბრალო“**.

ფარსმანმა მეფეს ასე დაუხასიათა ახალგაზრდა ხუროთმოძღვარი: **„კარგი ვაჟია არსაკიძე, ლაზი, მაგრამ იგი უკეთ ხატავს, ვიდრე აშენებს. მელიქისედეკის მიერ მისი დანიშვნა ერთ ამბავს მაგონებს უცნაურს – ჯოჯოხეთში მღვდლები გაუწყვეტიათ ეშმაკებს და ყვავი დაუნიშნავსო ხუცესად ღმერთს;“**

არსაკიძის მიერ ნაგებ ტაძარზე კი ესა თქვა სპარსმა: **„ახალი წიგნის გამო არაფერი ითქმის, სანამ ათასჯერ არ გადასწერენ სხვები. არც ახლადგებული ტაძრის გამო ითქმის ამაზე მეტი, სანამ ათასი წლის მიწისძვრები არ გამოსცდიან ნაგებობას მისას. საუკეთესო წიგნი მაინც იგია, რომელიც ჯერაც არ დაუნერია არავის. რაც შეეხება ტაძართაგან საუკეთესოს, ჯერაც არ აგებულა ასეთი მიწაზე“**.

მარტოობას ველარ უძლებდა არსაკიძე, მარტოობაში გაზრდილი. **„მადლობა უფალს, დასასრულს რომ მიეახლა მისი საყვარელი ქმნილება უკვე, თორემ, რომელ გულს ეყოფა ძალა, მიჯნურობასა და ხელოვნებას ემსახუროს ორივეს თანაბრად?!... ერთი ბომონი (საკერპე) ვერ დაიტევს ვერასდროს ორ კერპს“**.

აგონდებოდა ყამი, როდესაც სჯეროდა, რომ მზე და მთვარე ერთმანეთზე გამიჯნურებული ძუძუმტენი იყვნენ. ცეცხლადქცეულნი, ცად აჭრილიყვნენ, ერთუროს დაეძებდნენ მას შემდეგ. მზეცა და მთვარეც სიყვარული ყოფილა თურმე.

**„და ეს ასეა: ვისაც ოდესმე სიყვარული გამოუცდია, მას უგემნია თავათ სიკვდილი. სიყვარულია თავათ ღმერთი ამ ქვეყანაზე“**.

მე და ღმერთი ვართო ამ უბედურ, ბნელ სასახლეში, უთხრა შორენას, მას, ვინც არაფერს დაერიდა, ეწვია ღარიბ ოსტატს სიყრმის მეგობრობის გასაახლებლად. გამოუტყდა: **„ასე მგონია, სიზმ-**

რად გხედავდე თითქოს. რა დიდი გზა, როგორი წამების გზა უნდა გაგვევლო თურმე, რათა ერთმანეთი შეგვეცნო ბოლოს. მთელი ჩემი სიცოცხლე ღმერთის ძიებაში ვიყავი მე შლეგი ფხოვში, ლაზისტანსა თუ ბიზანტიონში. მხოლოდ დღეს მივხვდი, ჩემო, რომ ეს ცხოვრება არც ისე მრუდად წარუმართავს არსთაგამგებელს. ყველაფერი იმისთვის შეემთხვევა ამ მიწაზე კაცს, რათა თავის თავს და თავის ღმერთს მიაგნოს ბოლოს... საპატიო ვალია კაცისა არა გლახურ ღმერთის ძიება, არამედ თავათ უნდა იქცეს შემოქმედი უფლის მეტოქედ... შენ არავის ჰგავდი შენს სქესში, შორენა, ამიტომაც უფრო ადრე მიყვარდი, ვიდრე შევიცნობდი, თუ რა იყო ქალი და კაცი. შენ რაინდებზე ადრე მიეახლე მეფის ავაზას. შენ ისეთი წმინდანი ხარ, უმძვინვარესი მხეცებიც ვერ შეგბედავენ. თუ სიყვარული ღმერთი ყოფილა, შენა ხარ ჩემი სიყვარული და ღმერთი. ამიტომაც გიგულეზი თანამდგომად მარტო ბრძოლაში“.

ბიზანტიური სამეძავო სახლების სიბინძურე დაუდგებოდა თვალწინ არსაკიძეს, სიძვის დიაცების კრიალოსანი.

„სიყრმიდანვე იხეტილებს სიძვის დამრეცილ ბილიკებზე ვაჟი, მერმე უცილოდ მას უნდა წაეპოტინოს, ვინც ისე სპეტაკია, როგორც თოვლი რომკას მწვერვალისა, ვინც ისე შეურყვნელია, როგორც ველის ყაყაჩოები... რა ფრთხილად ივლიდა დედის კალთას მონყვეტილი ყმანვილი, რომ იცოდეს წინასწარ, უმცირესი ვნების გამოც განიკითხავს ვილაც იქნება მას“.

ამაოდ ემუდარებოდა შორენას, ყველაფერს შენ შეგნირავ, შენ განაცვალე, ოლონდ ნუ დამტოვებო მარტო.

მწარე ფიქრები იპყრობდა: „მე ბედი მაქვს ასეთი, ჩემი სიყვარული განწირულს ეკუთვნოდა მუდამ. მე ის ფერები მიყვარდა, რომელთა შეზავება თვით მენამლეებსა და მხატვრებსაც დაჰვინყვებიათ უკვე, ისეთი ჩუქურთმები, თვით უხუცეს კალატოზებსაც რომ ველარ გამოჰყავთ, ისეთი სამოსელი, რომლის ტარებაც უკვე აღარავის ეხალისება და ახლა ბედმა იგი შემაყვარა, ვინც ბედისაგან განწირულია“.

რა თანაგრძნობა გაენია შორენასათვის, რომლის ფრჩხილის ნამუსრევად არ მიაჩნდა არც გირშელი, არც გიორგი, არც თავისი თავი?!

ფხოვში თან გაჰყოლოდა, მეამბოხეთა გვერდით ებრძოლა? აგონდებოდა საშინელი ღამე კვეტარის ციხეში, კატის კნუტებივით რომ ისროდნენ ხევისბერთ ციხის ჩარდახებიდან ზვიადის სპანი. უეჭველი დაღუპვა მოელოდა შორენას...

„სვეტიცხოველი? მცირე ხანში უნდა აკურთხონ ტაძარი. მეამბოხეებს მიემხროს პატიოსანი სიტყვით დილეგიდან გამოშვებული კაცი? თავის ვაჟკაცურ სიტყვას შეარცხვენს. გიორგი მეფე გულმძვინვარეა. თუ ფარსმანი შეუჩნდა, შესაძლოა, დააქცევინოს კიდეც ტაძარი“.

შორენასაგან განსხვავებით, არსაკიძემ იცოდა: „ომში წასვლაა სახალისო, თორემ ჯერ არც ერთი, თვით გამარჯვებული, მეომარი იმავე ხალისით არ მობრუნებულა უკან“.

ცრემლი ულტობდა თვალებს ხუროთმოძღვარს, გრძნობდა: „სხვა რაღაა სიყვარული, თუ არა ღმერთი?! ღმერთი კი არა, სიკვდილი, რადგან მას დაუმკვიდრებია სიყვარული სამარადუამო, ვისაც სიკვდილის საფასით შეუსყიდნია იგი“.

საყვარელი ქმნილების ხილვაც ვერ ჰგვრიდა ხალისს არსაკიძეს. ქვაც ეურჩოდა, საჭრეთელიც. ისე უმზერდა ტაძარს, თითქოს სხვისი ნაგები ყოფილიყო. ცვილივით (თაფლის სანთელივით) მორჩილი, ვაზის ლერწმით დრეკადი, ჯეჯილის ზედაპირით რბილი იყვნენ ეს ლოდები ოსტატის ხელში ოდესღაც და ახლა საჭრეთელს მონატრული, უაღრესად ნებისდამყოლი თეძამის ქვაც წინ აღუდგა ოსტატს, ეურჩებოდა იმის მარჯვენას, ვისაც ეროსი ჩასვლოდა გვამში.

ეროსი „მამაც მეფეებს დაალაჩრებს, თრიაქის სმასა და უსაზმნო ლოთობას შეაჩვევს, ხოლო დიდოსტატებს, რომელნიც მტკიცე ხელით აქანდაკებდნენ თეძამის ქვაზე როზეტებსა და ყურძნის მტევნებს, მეჯადაგე ოსტატებს დაამსგავსებს და გაახელებს,“ ბოლოს მინდვრებზე სახეტილოდ „წარგზავნის, რათა საყვარლისათვის აკრეფინოს წარმავალი ყაყაჩოები ველისა“.

ერთ სასწორზე ორი უძვირფასესი ქმნილება დაჰკიდეს. რომელი მათგანი გადასწონიდა – სვეტიცხოველი თუ შორენა? ორივენი – სვეტიცხოველიცა და შორენაც – ერთსა და იმავეს მოითხოვდნენ კონსტანტინე არსაკიძისაგან – სიცოცხლეს... „განა მარტო სიცოცხლეს მოითხოვდა ქალი? ვაჟკაცური სიტყვის გატეხას...“

იდუმალ ეკითხებოდა ოსტატი თავის თავს: ხომ არ ეწადა, შორენა არ მოსულიყო არც დღეს, არც ხვალ, არც არასოდეს?..“.

იცოდა, ფხოველთა შორისაც არ იყო თანხმობა, მხოლოდ გიორგი მეფისადმი სიძულვილი აერთიანებდათ თვალებდამწვარ კოლონკელიძესთან. როგორც გამარჯვების, ისე დამარცხების

შემთხვევაში უცილო დალუპვა მოელოდა შორენას. რა საშინელი იყო არსაკიძისათვის მხოლოდ წარმოდგენა იმისა, რომ ეს სანატრელი, ძვირფასი არსება ასე უღვთოდ გაენირა ბედს. **„ეს განწირულება მომეტებულის სხივით მოსავდა არსაკიძის თვალში მას, რადგან ყოველივე განწირული უყვარდა ბუნებით“.**

ძლიერი მანამდის ვიყავ, სანამ შენი სიყვარული შემიპყრობდაო, სწადა, ეთქვა შორენასათვის, მაგრამ არა უთხრა რა, უწყოდა, რომ უძღურება არ უყვართ დიაცებს.

ვის უნდა ჰქონდეს უფრო ძლიერი მკლავი, თუ არა მოქანდაკეს, ქვასთან მორკინალს, ძლიერი ხარო, არწმუნებდა ქალი.

ესლა უთხრა ვაჟმა სინანულით: **„კარგი იქნებოდა, უძლიერესი მკლავი მართლაც ხელოვანისათვის მიეცა განგებას, მაგრამ ჩვენზე უფრო ძლიერი მკლავები, სამწუხაროდ, სხვებს ასხია მხრებზე“.**

ემუდარებოდა ქალი, შეეშვიო ხარაჩოებზე ბობღვას, მეფე გიორგი და მელქისედეკ კათალიკოსი ისეთი გულბოროტნი არიან, მაინც არ დაგიფასებენო ამაგს.

საყვედურივით უთხრა ვაჟმა: **„განა მეფისა და კათალიკოსის წყალობის მოლოდინში შევალე სვეტიცხოველს ჯანი? მე ჩემი ხელოვნება სიცოცხლეზე მეტად შემყვარებია, ჩემო, ამიტომაც განწირული მაქვს თავი.“**

– **მაშ, შენ სიცოცხლე ქვაზე ნაკლებად გყვარებია, უტა?!**

– **განა ქვაა სვეტიცხოველი, ჩემო?! ქვაყოფილია იგი ამჟამად, უფრო უკვდავი, ვიდრე ასი ათასი მოკვდავის სული“.**

ტაძრისადმი იჭვნეულობდა ქალი. ვაჟს დაბინდული ეჩვენა შორენას თვალები, როგორც ნაავდრალი ზღვა.

ესლა უთხრა სასურველს: **„მე ღირსი არა ვარ, ვისმეს რომ ვუყვარდე, ჩემო. სიძვის დიაცებს დაფურთგე შენდამი სიყვარული, გაძარცული დაგიბრუნდი სხვათა ქვეყნიდან. სამშობლოშიაც მფლანგველი დავრჩი, უსასტიკესად დამსაჯა ამიტომაც ბედმა. განგებას ასე დაუთქვამს ჩემთვის: თავათ მიყვარდეს, მაგრამ სამაგიეროს არ ველიროს არასდროს. შენ რომ კარგად მყავდე, შენი ცხოვრება დაწყობილი მეგულეობდეს, ალბათ, მეყოფოდა სულგრძელობა და ამასაც შევსჯერდებოდი, მაგრამ შენ საფრთხეში გიდგას ფეხი და ამიტომაც მომეძალა შენდამი სიყვარული, ჩემო...“**

**მე არც გიორგი მეფის მეხოტბე ვარ, არც მელქისედეკ კათალიკოსის მგალობელი, მაგრამ, არა მგონია, შვიდმა ხვეისბერმა უფრო მართებული კანონები შეჰქმნას ამჟამად, ვიდრე თუნდაც ერთმა გულბოროტმა მეფემ. მე, ჩემდა თავათ, ვემორჩილები იმ წყობილებას, რომელიც წილად ერგო ჩემს ხალხს და არც ერთი ერი იმის უკეთესის ღირსი არ არის, რაც მას დაუმყარებია თავათ.**

**ხვალ რომ ბერძნები ან სარკინოზნი შემოეწყონ საქართველოს ციხეებს, მოქანდაკის საქრეთელს განზე გადავდებ და ხმლით შევებრძოლები მტერს. ყოველი კაცისთვის სანატრელი წყობილება ჯერაც არსად დამყარებულა...“**

**თქვენს ხვეისბერებს ჯერაც ცხვრის სუნი უდით... ფარას თუ ყოჩი არ წარუმძღვარე, კბოდებზე გადასცვივა სულელი ცხვარი“.**

შორენას გარდუვალი დალუპვის წინასწარ მგზნები, მორიელეებისაგან დაგესვლას ნატრობდა ვაჟი.

მცხეთიდან ჟამიანობამაც ვერ გააქცია არსაკიძე. ოსტატის უდრეკობამ განამხნევა კირითხურონი: **„ლაზებო, მართალია, ჟამიანობა დაიწყო, მაგრამ გახსოვდეთ, ჟამის საფრთხე ყველას გვიქადის. სიკვდილი ისეთი რამაა, უჟამოდაც არ აგვცდება. არავინ იცის, როდის გვენვევა იგი. შლეგია სიკვდილი, ისეთ უგუნურ ცხოველებს თან დაჰყვება, როგორიცაა ვირთხები და რწყილები... რას იტყვიან იბერიელები? მშიშარნი ყოფილანო ლაზები. იცოდეთ, ყველაზე მეტად ძმების უნდა გერიდებოდეთ, რადგან არავინ ისე საყვარელი არაა ამ ქვეყანაზე, როგორც დედა, არავინ ისე მოსარიდებელი, როგორც დედის ხსენის თანაზიარი. საქართველო ჩვენი დედაა, ლაზებო, ხოლო იბერიელები ძმები არიან ჩვენი... არავინ ისე საძაგელი არაა ამქვეყნად, როგორც ძმების მოლალატე“.**

წითური ლაზის ნამღერი, „ზღვისფერი გაქვს თვალები...“, აჰკვიატებოდა, ფიქრობდა, თავად თუ ეყოფოდა გამბედაობა სიმღერაში დანაქადნევის აღსასრულებლად.

ბედნიერი იყო, მიწისძვრას რომ სვეტიცხოველიც გადაურჩა და შორენაც.

საჩეხიდან გაქცეულ ირემთ გაედევნენ არსაკიძე და სვეტიცხოველზე იჭვნეული შორენა. სვეტიცხოველი მოეთავებინა ოსტატს, ბედნიერი იყო. ესლა უთხრა მიჯნურს: **„არიან სიტყვები, რომელნიც გამოთქმისაგან შეიბლალებიან ხოლმე, მხოლოდ იმ სიტყვასა აქვს წონა, რომელსაც საქმე მოჰყვება და მსხვერპლი. უმსხვერპლო სიტყვა ისევე ამაოა, როგორც უსურნელო ყვავილი, უნათლო შუქი, გინა სიტყვოს მოკლებული მზეი“.**



ერთ ფიქრს შეეპყრო არსაკიძე, წაყვებით შორენას ფხოვს, ლაზისტანში გადავიყვანო მერე. გიორგისათვის მიცემული სიტყვა და სვეტიცხოველი აბრკოლებდა. ნატრობდა ვაჟკაცობას ხარირ-მისა, საჩხიდან რომ გაიქცა გულისსწორთან ერთად.

ოსებმა მძიმედ დაჭრეს ხუროთმოძღვარი, შორენა შეიპყრეს. ლარგვისის ციხისთვის წარგზავ-ნილებმა ჩამოიყვანეს არსაკიძე მცხეთაში.

სვეტიცხოვლის კურთხევის დღეს ხუროთმოძღვრისათვის ილოცა მეღქისედეკა...

როდესაც ფარსმანისა და ვარდისახარის „ძალისხმევით,“ სწულ დიდოსტატს სასთუმალქვეშ შორენას სანმერთული „უპოვეს“, ხუროთმოძღვრად კვლავ ფარსმანი დანიშნა განრისხებულმა მე-ფემ, სვეტიცხოველის „ცუდად“ ამგებს მკლავის მოკვეთა მიუსაჯა.

როცა დასიცხულ ავადმყოფს მარჯვენა ნააცალა ტფილისელმა ჯალათმა, ცრემლი ჩამოჰგორ-და საღირას ერთადერთი თვალიდან.

...ალარ თენდებოდა. აგვისტოს ხვატი ბნელსაც ველარ გაენელებინა. ქალის ალზე იტრუსებოდ-ნენ პეპლები, ძირს ცვიოდნენ განწირულნი.

თავი ასწია არსაკიძემ, გაოგნებულმა სიცხისაგან... სარკმლიდან მოსჩანდა ლურჯი, ლურჯი ცარგვალი, სწორედ ისეთი, როგორც ნაავდრალი შავი ზღვა.

სწყუროდა. მარჯვენა ალარ ჰქონდა, მარცხენას ველარ ხმარობდა, მკლავში დაჭრილი. უმზერ-და: „წყალი იღვრებოდა ნაპირებიდან. ზღვა იყო ეგ, ლურჯი ზღვა. ლაზური სოფელი და ეკლესია დალანდა ზღვისპირად, ალვის ხეები, ლაზური ოდა, ალვის ხეები ცამდის...“

მერე მთები გამოჩნდნენ, ფხოვის მშვენიერი მთები..“.

ფხოვეური ქვითკირის ეზოში დაფათურობდა შავით მოსილი დიაცი.

ბალღივით ატირდა არსაკიძე, დედამაც რომ არ მოუტანა წყალი. შეეშინდა, არვინ ნახოსო ცრემლი, მარცხენა აიფარა თვალზე. ფიქრში გამოეთხოვა მთებსა და ზღვას, თავის ტკბილ სიყრ-მეს და სიჭაბუკეს გამწარებულს.

რალაც დაეცა სველ ღანვზე.

უზარმაზარი ლანდი ჩამოვიდა კედლიდან, მგლისფერმა თვალებმა გაიღვეს ბნელში. და ერ-კინებოდა მხატვარს გრძელწვერა მოხუცი, მერე „დაუბუშა ვრცელი ბარკლისაი“. მოეძალა ბობლია ლანდი, მგლისებრი თვალები შემოანათა და სთხოვა სული. არ მისცა სული „მგლისებრთვალება“ მოხუცებულს მხატვარმა.

მოანია რიჟრაჟმა, ატყდა ნათლის ლიცლიცი გარეთ.

შორენა ჩამოვიდა კედლიდან, ხატაური ფარჩის კაბა ეცვა შავი. ოქროსფერი თმები გადმოღვრი-ლიყვნენ მხრებზე. მოდიოდა ყაყაჩოების ველზე, თავთუხის თაველებს ესროდა უტას, ყაყაჩოებსა და თავთუხის თაველებს.

დაუჩოქა სამგზის სანატრელმა, სთხოვა დიდოსტატს სული.

ცრემლმა იწვიმა კონსტანტინეს თვალთაგან, მაგრამ ვერც საყვარელს მისცა მან სული, რად-გან სვეტიცხოვლისათვის შეენირა იგი.

უთენია ჩამოვიდა ფხოვიდან დედა და, როცა მორიელებისაგან დაკბენილი შვილი დაინახა, გაქვავდა თურმე...

\* \* \*

*„ოცზე მეტი საუკუნის მანძილზე არსებითად სამ რამეში ისახელა ქართველმა კაცმა თავი: ომში, მწერლობასა და ხუროთმოძღვრებაში.“*

*ხომ უცილოდ დიდია რუსთაველი და თანავარსკვლავედი მისი, მაგრამ არანაკლებ საამაყო ჩვენთვის ბოლნისის, ჯვრის, სვეტიცხოვლის, წრომის, ბედიას, მარტვილის, თიღვას და გელათის დიდოსტატები. მე ვწუხდი, რომ ასეთი შედეგების ხუროთმოძღვრებს დავინყების ჩრდილი მიჰ-ფენოდათ სახეზე. ამიტომაც წავატანე ხელი კონსტანტინე არსაკიძისათვის მკლავის მოკვეთის მშვენიერ ლეგენდას. ჩვენს დროში... შევასხი ხოტბა დიდი ხელოვანის ჯაფას და მის თავდადებას.*

*ზოგიერთ კრიტიკოსს აგრე მოეჩვენა, თითქოს მთავარი გმირი ამ რომანისა გიორგი პირველი იყოს და არა კონსტანტინე არსაკიძე.*

*გმირების გალერეაში იერარქიის ძებნა ნაკლებად საგულისხმო ამბავია. ამ შემთხვევაში სა-თაურს უნდა დაუკვირდეს მკითხველი. მოვლენათა ფოკუსში მოქცეულია მკლავის წარკვეთის ამ-ბავი, ე. ი. განწირული ბედი დიდი ხელოვანისა ტირანულ სახელმწიფოში.*



ფარსმან სპარსისათვის კონსტანტინე არსაკიძის დაპირისპირება, გაგებული უნდა იქნას, როგორც ერთგვარი ტეზა და ანტიტეზა (თეზა და ანტიტეზა) რომანში.

ერთი მხრით, დიდად ტალანტიანი ფარსმანი, უპრინციპო და გაყიდული, უსამშობლო კაცი; მეორე მხრით, აგრეთვე ტალანტიანი არსაკიძე, მისი შეგირდი. ფარსმანი გადაეგება, როგორც ხელმოცარული კაცი, ხოლო არსაკიძის შემოქმედების ნაყოფი, სვეტიცხოველი, დარჩება, როგორც წარმავლობასთან მეზობლი, უკვდავი ქმნილება ხელოვნებისა“ (რომანის ბოლოსიტყვა).

### მეფე გიორგი – „ორ კურაპალატს შორის გამოსრესილი“

ძველთუძველეს ქართულ მონეტაზე „ცხენოსანს შავარდენი უზის მარცხენაზე და ასომთავრულით წარწერილია ზედ: მეფეთ მეფე გიორგი – მესსიის მახვილი“.

გიორგი მცხეთასა და უფლისციხეში მკვიდრობდა. ტფილისი სარკინოზებს ეპყრათ.

მეფე დადიოდა აფხაზეთს, სამცხესა და ქართლში, აგებდა ციხე-ქალაქებს, აგარებსა და ეკლესიებს, ხანმოკლე ზავის დროს ხანგრძლივი ომებისათვის ემზადებოდა.

**„მდუმარე იყო ბუნებითგანვე, კაცი არამეტყველი, მაგრამ ფრიად დაკვირვებული“.**

შერყეული ჰქონდა რწმენა. არაბი ბაზიერნი უწვრთნიდნენ მიმინოებს. ფარსმან სპარსთან ღამეული საუბრების დროს გულისყურით ისმენდა პლატონის სწავლებას „სულთა გარდავლენისათვის“. ვარსკვლავებს უთვალთვალებდა ასტროლოგი მეფე ღამლამობით, ეგებ მზეგარდასულთა სულნი იყვნენო. მიუხედავად ამისა, ქრისტიანობის ქომაგად ითვლებოდა გიორგი და მის ზარაფხანაში მოჭრილ თეთრზე ასე ეწერა: **„მეფეთ მეფე გიორგი – მესსიის მახვილი“.**

ხმალივით მჭრელი მზერა ჰქონდა მეფეს.

კეისართან ზავის დარღვევას გაუბოდა, ბიზანტიისათვის თვალის ასახვევად დაუცხრომლად აგებდა ქრისტიანულ ტაძრებს და მახვილით ავრცელებდა ქრისტეს სჯულს მთელ კავკასიაში.

არ სჩვეოდა დიდ საქმეთა ხელალებით გადაწყვეტა. დიდხანს ფიქრობდა, ვინ იდგა ქვეგამხედვართა უკან – სარკინოზთა ამირა თუ ცბიერი ბასილი.

გულმტკივანს წამოსცდენია: **„ჩვენ, ადამიანები უბედურნი ვართ. საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად უერთგულეს ადამიანსაც იოლად გავწირავთ ხოლმე“.**

მელქისედეკი ნაწყენი იყო მეფეზე, რადგან გიორგი ბაგრატ კურაპალატივით გულმოდგინედ არ ექცეოდა სარწმუნოებისა და ზნეობის საქმეებს.

ბაგრატ მესამეს აქებდა კათალიკოსი. **„საერთო სენია კაცთა: მიცვალებულებს იმდაც აქებენ ხანდახან, ცოცხლებს მიაყენონ ჩრდილი“.**

კათალიკოსი იდუმალ ჰქირდავდა გიორგის ცხრატბის ერისთავთათვის თავის მოკვეთის გამოც. მელქისედეკს ვერც კი წარმოედგინა, რომ მსგავს რამეს ბაგრატზეც დაწერდა მემატინე: **„ბაგრატ კურაპალატმა იწვია კლარჯი ხელმწიფენი, სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, თვისნი მამის დისწულნი ციხესა ფანასკერტისასა, შეიპყრნა, აღიპყრნა ქვეყანანი და ციხენი მათნი, ხოლო იგინი პატიმარ ყო ციხესა თმოგვისასა“.**

იდუმალი წინააღმდეგობა იყო კათალიკოსსა და მეფეს შორის ქვეგამხედვარ დიდებულებთან მიმართებისას. სპასალარი ერთს ურჩევდა, მელქისედეკი – მეორეს. გიორგი უკანასკნელის თათბირს უფრო ემხრობოდა, ჭიაბერთან დაპირისპირებით ბიზანტიასთან ურთიერთობის დაძაბვას ერიდებოდა.

ბოლოს მაინც ზვიადის თათბირისაკენ გადაიხარა. კათალიკოსს სთხოვა, ამინაშატის ხატი მამაზესათვის, ძელიცხოველი – ჭიაბერისათვის გადაეცა, ხელმწიფის ნაბრძანები ეუწყებინა – დაბრუნებოდნენ ქრისტეს სჯულს, კავშირი გაენწყვიტათ კოლონკელიძესთან, ჭიაბერს არ გაეებდა შორენას შერთვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქორსატეველას იავარქმნით იმუქრებოდა ხელმწიფე.

თუმც მელქისედეკი იდუმალ ხშირად ჰკილავდა მეფეს, ქორსატეველაში, მამამზე ერისთავის ოჯახში, ასე დაახასიათა გიორგი: **„მეფეთ მეფე გიორგი სულგრძელია. იგი დიახაც ისმენს თათბირთა ჩემთა, რამეთუ არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილის აღებაი. ესე ხამს ქრისტეან მეფეთა და მწყემსთა სახარებითა მაცხოვრისათა და ჯვართა პატიოსანითა უჩვენონ ქვეშევრდომთა თვისთა გზაი ჭეშმარიტ, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ, რათა ძალმან ძელისა ცხოველისამან განანათლოს ბნელი ცთომილების გზაზე შემდგართა გულში“.**

ძელიცხოველი ბასილი კეისართან ატეხილ ომებში ნინ უძლოდა გიორგი პირველის ლაშქარს, მაგრამ დამარცხებულმა მეფემ გული აიყარა მასზე, გზად ოლთისი გადაწვა და უკუიქცა. დაკარგული ძელიცხოველი ტაოსკარში ეპოვათ, კათალიკოსისათვის მიერთმიათ. როცა ამ ჯვარმა ბიზანტიონთან ომი ააცდინა გიორგის, ჭიაბერს სიცოცხლე მოუსწრაფა და კავკასიონის წარმართებს შიშის ქარი შეჰყარა, გიორგის კვლავ მოუბრუნდა გული.

მგლოვიარე მამამზეს მხილველს, შეებრალა ერისთავი, იმ ნუთს მართლა ენყინა ჭიაბერის სიკვდილი; შეაძრწუნა უსინათლო თაყაის გოდებამ. მოეხვია მეფე ერისთავს და გულწრფელად ატირდა. **„სიკვდილმა თითქოს წამიერად შეარიგა მოსისხარნი“.**

თაყაის გოდებამ ორმოცზეც შეძრა მეფე, ეკლები დააყარა ტანზე, მაგრამ, როდესაც კეისრის მიერ ჭიაბერისათვის ნაჩუქარ მუზარადს მოჰპრა თვალი, კვლავ ბოლმამ იფეთქა მის გულში. შავლევ ტოხაისძემ დაარწმუნა ერისთავი: **„გულმხეცია გიორგი მეფე, თუ საქმე მისჭირდა, ცოცხლებს ვერა დაგვაკლო რა, მიცვალებულზე იძიებს შურს“.**

**„მამამზემ იცოდა, გულმხეცი რომ იყო მეფე გიორგი, მაგრამ, თუ მას ფარისევლური ცრემლის ნთხევაც შეეძლო, ეს არ ეგონა. მის ხელში დავაჟკაცდა მეფე გიორგი. ტლანქია იგი და გულზვიადი, მაგრამ მლიქვნელიც თუ იყო, ეს არ იცოდა მამამზემ“.**

ტოხაისძე უმტკიცებდა ერისთავს: **„არც გიორგი მეფეს სწამს ქრისტე და მისი ჯვარი. ბასიანთან ომის დროს კეისარმა ითხოვა მშვიდობა. ზავის წერილი მიუგზავნა გიორგიმ. შემდგომ ამისა განავლინა მეფემ ზვიადი, დალაშქრა ზვიადმა კიდე ბასიანისა და აოტნა ბერძენთა სპანი. ბასილი არ მოელოდა ქართველთაგან მუხანათობას, ღმერთს შეჰლაღადა: „იხილე, უფალო, წერილი ესე და საქმენი, რომელსა იქმან;“ ქართველნი დამარცხდნენ, უკუიქცნენ, ოლთისი გადაწვეს გზაში... მოახსენეს მეფეს, უფლის სახლი იწვისო. გიორგიმ გადახედა ცეცხლშემოგზნებულ ეკლესიას, ზვიადს უბრძანა, ჩააქრობინეო... ცეცხლში გახვეულ საყდარს გულგრილად მიჰხედა უკანასკნელად“.**

გააგრძელა ტოხაისძემ: **„თავათ მეფეც ბიზანტიონის მტერია, მაგრამ დაბნეულია გიორგი – მელქისედეკ კათალიკოსსა და ფარსმან სპარსს შორის ირყევა მუდამ..“.**

სხვა ქვეგამხედვარმაც, თალაგვა კოლონკელიძემაც იცოდა: **„უშიში იყო გიორგი, ვითარცა უხორცო,“** მაგრამ ეს – გარეშე მტრებთან ომებში, ხოლო საერისთავოებში სისხლისღვრას გაურბოდა იგი. მართალია, ზვიადი მუდამ სისასტიკეს მოითხოვდა, მაგრამ, სანაცვლოდ, მელქისედეკ კათალიკოსი მხარს უჭერდა სათნო თათბირით მეფეს.

მშვიდი იყო ბუნებით გიორგი, ენამზებობას მოკლებული, მაგრამ ამოდ მოუბარი და სახით სათნო... კოლონკელიძეს გუმანი ჰქონდა – მეფე შეფარვით ეტრფოდა შორენას. თუ გიორგი გაეყრებოდა ცოლს და შორენას შეერთავდა, კოლონკელიძე მზად იყო, კახეთის ქორეპისკოპოსთან ომში დახმარებოდა მას.

თავის სიცოცხლეში არაფერი ისე არ შეჰხარბებია გიორგის სხვისი, როგორც ირმის ქალტა და შორენა... ქალის მზერაში გიორგიმ დაიჭირა ველური დარცხვენილობა, რომელიც ნუკრების გამოხედვაში შენიშნა... ამ ნუთში მეფეს ერჩივნა, უბრალო აზნაური ყოფილიყო და არა მეფე.

მშრალად, უგულოდ უთხრა შენდობის მხვეწნელ, ღანვებდახოკილ გურანდუხტს, ომში სპასალარია მბრძანებელი, მე არას მკითხავსო ზვიადი...

გიორგის თორმეტი წლისას დაადგეს სამეფო გვირგვინი თავზე, სათამაშოების ნაცვლად, სკიპტრა შეაჩჩეხს ხელში. ადრიან სიყრმეშივე შეება ბიზანტიის კეისარს პირველად. ბასიანიდან უვნებლად გამობრუნებულმა კათალიკოსი მიუგზავნა ბასილის, მის „ნოხს დაადგა ფეხი“.

როგორც გიორგი მეფეს, ისე ბიზანტიის კეისარს, მუდმივი ომი ჰქონდათ დიდგვაროვან აზნაურებთან. უხტიკესთან სასტიკად დაამარცხა კეისარი მეფემ; ქსიფესა და ნიკიფორე კისერმოქცეულს დაუკავშირდა.

კეისრის წინააღმდეგ აჯანყებულებთან მოლაპარაკება დაიწყო. განდგომილი ფოკა და ქსიფე ერთურთს ნაეკიდნენ. ფოკა მოკლეს. მისი მოკვეთილი თავი კეისარს მიაართვა შერიგების გუნებაზე დამდგარმა ქსიფემ. ბასილიმ მოლალატის თავი გიორგი მეფეს გაუგზავნა ძღვნად. ამგვარად ამცნო, არ გენდობიო ფიცის გამტეხელს.

კეისრის წინააღმდეგ ბრძოლის ჟინმა და საქართველოსათვის წართმეული პროვინციების დაბრუნების ნადილმა ბიზანტიასთან სჯულის ერთიანობა გადაავინყა გიორგის, ახლა ალ-ჰაქიმთან – ეგვიპტის ხალიფასთან – გამართა მიწერ-მოწერა მეფემ.

მელქისედეკ კათალიკოსს დიახაც არ მოსწონდა გიორგის დაკავშირება ურწმუნო სარკინოზთან, არც ბიზანტიის სამტრო პოლიტიკას იზიარებდა. მელქისედეკი გარეგნულად ექვემდებარებო-

და გიორგის, მაგრამ უფლის მოსაყდრეს ურყევად სჯეროდა, რომ „მეფე ქვეყანასა ზედა ხელმწიფეა, ხოლო ქრისტე – ზეცისა, ქვეყნისა და ქვესკნელისა“ (მდრ. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“) ქართული ლაშქრის მიერ ოლთისის ეკლესიის შემთხვევით გადანვას ყოველ წელს ხელახლა შეახსენებდა ხოლმე კათალიკოსი მეფეს, ხან მის ურწმუნოებას აბრალებდა იგი ამას, ხანაც – ალ-ჰაქიმის ნარმწყმედ ზეგავლენას...

ოლთისის გადანვისას ჩადენილი ცოდვის მისატევებლად სვეტიცხოვლის აგება მოითხოვა კათალიკოსმა. ფარსმანის გეგმის ხილვისას გიორგის დაკვირვებულმა თვალმა მყისვე შენიშნა, რომ ამ გეგმის მიღება მოასწავებდა მიბრუნებას იმ ზეგავლენისაკენ, რომელიც ქართულ ხუროთმოძღვრებას ორი საუკუნით ადრე დაძლეული ჰქონდა უკვე. ყველაზე მეტად ერთმა ფრესკამ აღაშფოთა გიორგი მეფე – შარავანდიანი ბასილი კეისარი კლიტეებს აბარებდა აღმოსავლეთის მოსაქცევად წარგზავნილ წმინდა მამებს, ბასილი კეისარი, რომელსაც ძალს უწოდებდნენ არა მარტო სარკინოზები, არამედ ქართველები, სომხები და ბულგარელებიც.

ეზოსმოდღვარმა რწმენაშერყეული მეფის მოსაქცევად წმინდა გიორგის ხატი სასახლიდან იდუმალ გადააბრძანა ნოკორნას, დაყუდებულ ბერ ევდემონს ათქმევინა, თავად ჩამობრძანდაო.

კვეტარიდან დაბრუნებულ გიორგის შიშის ზარი დასცა ხატის მიერ სასახლის დატოვებამ.

მელქისედეკმა უბრძანა ეზოსმოდღვარს, უკითხეო მეფეს წინასწარმეტყველება დანიელისა, თავი მეოთხე, სადაც აღწერილი იყო, თუ როგორ დასაჯა ნაბუქოდონოსორ ბაბილონის მეფე ღმერთმა იერუსალიმის ტაძრის შემუსვრისათვის.

იმხანად მეფეს გულისყური ციხეების აგებაზე ჰქონდა გადატანილი, ზრუნავდა თმოგვზე, კლდეკარზე, ქანდაციხეზე, ბერციხეზე, ბოდოკზე, აწყურზე, ოძრხეზე, ანაკერტზე, ფანასკერტზე, თუხარისზე... ბასილი კეისარი უპირველესად ტაოს და სამცხის ციხეებს მოადგებოდა.

**„უცნაურად აეკვირებოდა მეფეს ოლთისში გადამწვარი ტაძრის ჩვენება...“**

**...ადრე დაანვა გიორგის ჭაბუკურ მხრებს ომებსა და აჯანყებებში დანთხელი სისხლის კომმარი. ვისაც სიყრმეში არ გაუხარნია, ვისაც ბავშვობაში სიჭაბუკე წამოსწევია, ხოლო სიჭაბუკეში – შუაკაცობის ტვირთი, მას მარადღუამს თან გაჰყვება გაცდენილი სიყრმისა და სიჭაბუკის დარდი. ასეთნი მუდამ კარგავენ წონასწორობას და მუდამ იმის ცდაში არიან, გვიან მაინც შეივსონ ეს დანაკლისი როგორმე. მელანქოლია შეეყარა გიორგის, კაცთმძულვარება შეეპარა მის გულს. ადრე მოსწყინდა მეფეს დარბაზობის გრძელი ცერემონიები და „ხელმწიფის კარის გარიგების“ სასტიკი ეტიკეტი; ჯერ მზრდელის, შემდეგ მარიამ დედოფლისა და მელქისედეკ კათალიკოსის სასტიკი შეგონებანი: მეფე ხარ და ხამს... მეფე ხარ და გმართებს... მეფე ხარ და გევალებს... ასეთ წუთებში მეფედ არყოფნას ნატრობდა გიორგი“.**

უგუნებობა რომ შემოუტევედა, სიყრმის მეგობრებთან ერთად ბუნებაში გაჭრა-განმარტოებით იოხებდა გულს. წელიწადში ორჯერ – ირმის მყვირალობისა და წეროების გადაფრენის თვეებში, ინით წვერს შეიღებავდა გიორგი, გლახუნა ავშანისძეს დაირქმევდა; დარბაზის სანოლის ბუმბულს მეცხვარეებთან ღამისთევას არჩევდა, მირთმეულ ირმის ცურს – ტყეში სახელდახელოდ შემწვარ მწვადებს. მხოლოდ ასეთ წუთებში სჯეროდა გიორგის, რომ ეს ქვეყანა მარტოოდენ საომრად არ ყოფილა გაჩენილი. მხოლოდ აქ ყანწის გამოცლისას არ გაუფლიდა სიყრმიდანვე თანდაყოლილი ფიქრი, მონამლული არ იყოსო ღვინო. არც კარისკაცთა უტიფარი ლიქნა ანუხებდა, არც მკვლეელი უდარაჯებდა სადმე, არც თუ მომჩივანი აღიოდა მის დანახვაზე ხეზე.

აჰკვირებოდა ოლთისის აბრიალებული ტაძრის ჩვენება; ეჩვენებოდა, თითქოს თავად ქცეულიყო ნაბუქოდონოსორ მეფედ, ბაბილონიდან განდევნილ ხელმწიფედ, „თივას რომ სჭამდა, ვითარცა ზროხა“, თმა ლომის ფაფრად ჰქცეოდა, ფრჩხილები – ბრჭყალებად იერუსალიმის შემუსვრელს.

ნადირობისას იპოვა მეფემ ხუროთმოძღვარი არსაკიძე და სასახლეში იწვია იგი.

დღითი დღე მწვავედებოდა ურთიერთობა ბიზანტიასთან. „კომნინის შეთქმულებას“ საშინელი დევნა მოჰყვა. ვესტარხის ხარისხი უკანასკნელ წლებში მხოლოდ სომხებს მიუბოძა ბასილიმ. სჯულის ერთიანობით დაბრმავებულმა, თავისი სამეფო ბასილი კეისარს გადასცა სენაქერიმმა, სომეხთა მეფემ.

გიორგის მსტოვრობა დაებრალეზინათ ბიზანტიელთ ტაოდან იერუსალიმს სალოცავად მიმავალი ბერი ზაქარიასათვის, ეწამებინათ. უბრძანებდნენ, ეღიარებინა, თითქოს, გიორგის დავალებით, ნითელი წალები მიერთმია განდგომილი კომნინისათვის.

გააცოფა გიორგი ბრალდებამ: **„ბასილი კეისარს ეს უნდა, ერთმორწმუნე საქართველოც სომხეთის დარად გადასანსლოს როგორმე. სანამ პირში სული მიდგას, ვერ მოესწრება ამ დღეს ძალთაპირი ბასილი კეისარი“.**



კურაპალატისა და ნოველისიმუსის ხარისხებს ბიზანტიასთან ბრძოლა არჩია გიორგიმ.

...ცხენები განუზომლად უყვარდა მეფეს, ჭირთამთმენნი, ომების თანაზიარნი, ისევე დაჩეხილნი იყვნენ, როგორც მათი პატრონის ჯვრაც ახალგაზრდა სხეული. გირშელს გამოუტყდა ერთხელ: **„ხვალ რომ ტახტიდან გადამაგდოთ ერისთავებმა, მეჯინებედ დავდგები უთუოდ, ცხენებს მოვუვლი და ეს მომგვრიდა უდიდეს ბედნიერებას. მრავალ ზის მინატრია, ოღონდ ცხენსა ნუ გამომიკლავენ ბრძოლაში, და მე მზადა ვარ, თავათ შევუშვირო მტრის ისარს მკერდი“.**

დედა უყვარდა გიორგის ყველაზე მეტად ამქვეყნად.

შორენაზე ფიქრს შეეპყრო გამიჯნურებული მეფე. **„ჯერ კიდევ ყრმას შეაჩერეს დედოფალი მზრდელმა და მელქისედეკმა ისე, როგორც მდაბიორს მიუგდებენ მეზობლიანთ თხუპნიას. ბოლოს თავი მოაბეზრეს სეფექალებმაც, რადგან სძაგდა მოძალებული დიაცი. არ ეგემნა მიუნვდენელი სიყვარულის ტკბილი ბადაგი...“**

ინყებოდა საშინელი და გაუხიდავი უფსკრული. თრიაქის ნევასა და ღვინის სმას უმატა, უცნაურად გამოიცვალა, ნადირობასა და ქეიფს მიეძალა. არც დედოფლის რიდი ჰქონდა ამ ნუთში, აღარც მელქისედეკ კათალიკოსისა. გირშელი კი არა, მამაჩემიც რომ ნამოდგეს, ბაგრატ კურაპალატი, არ შევეპუებოო მასაც, ფიქრობდა. სიყვარული, ღვინო და ყვავილთა ნელსურნელება შემოგზნებოდა გულზე.

ომს მონატრული იყო მეფე. ისეთი ომი ატეხილიყო სარკინოზებთან ან ბერძნებთან, ერთად დაღუპულიყვნენ თუნდაც გირშელი და გიორგი... **ომი დიახაც ენატრებოდა, მაგრამ არა შინაური, არამედ გარეშე მტერთან. შინაომი ეჯავრებოდა ჟამის დღესავით მეფეს.**

როცა ფხოველთა მოსალოდნელი ამბოხის შესახებ აუწყეს, გადანყვიტა, თავად მოევლო ქვე გამხედვართა საბრძანისი, სისხლისღვრა აეცილებინა ქვეყნისათვის.

„პირძალდა“ მონათლეს ფხოველებმა. გულისტკივილით უთხრა ხელმწიფემ გალიმებულ გირშელს, სხვა მეფენიც რომ ჩემსავით გადაცმული ივლიდნენ, „ქება“ არ მოაკლდებოდათო დილა-სალამოს.

შერკინებისას სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა გოდერძი ქალუნდაური, რკინისმკვეთელი გორდა არუქა და ძმად გაეფიცა.

დამშვიდდა, როცა დარწმუნდა, ხელახალი ამბოხი არ უნდა ყოფილიყო მოკლე ხანში მოსალოდნელი.

ფხოვიდან დაბრუნებულმა, ავაზებზე ნადირობისას, ერთხელ კიდევ გააპამპულა კეისრისაგან ნაბოძები მწვანე ეტლი.

ეტლი გიორგის მამის, ბაგრატისათვის, ეწყალობებინა კეისარს, კურაპალატის ტიტულთან ერთად. **„ეს ეტლიც ისევე სძაგდა მეფეს, როგორც ბიზანტიის კეისრის სახსენებელი. სიჭაბუკეში სანადირო ძალებს დაათრევდა ამ ეტლით, ბოლოს მელქისედეკი აუხირდა, პატივი ეცოო ქრისტიან კეისარს. ახლა ავაზები ჩასხა შიგ“.**

ნადირობისას უთხრა შორენამ, მეფენიც ვერ გარდავლენო განგების ნებას.

დედოფლის სასახლეში ყოფნისას მელანქოლია უტევდა მეფეს, ფსალმუნებს კითხულობდა, თრიაქს ეწეოდა.

ირიბი ზმებით აუწყებდა მარტოობის მოწადინეს ფარსმანი: **„ქედმაღლობა მეფეების უდიდესი უბედურებაა. მეფე ყოველ ქვეყანაში მარტოხელაა და ერთადერთი... მარტოსული არასოდეს იქნება მთელი.“**

რამდენად უფრო აღმატებულია მარტოსული, მან უფრო კარგად იცის, რომ ერთი კაცი თავის უდიდეს სიბრძნეშიც შლეგად ითვლება. მიმოიხედავს ხოლმე მარტოსული იგი და, რაკი თავის მსგავსს ვერავის ნახავს სხვას, მას ხელიდან ეცლება უძვირფასესი სამკაული კაცთა მოდგმისა – თავმდაბლობა. ნამდვილი თავმდაბლობა არასოდეს აურიო მონისა და მლიქვნელის თავმდაბლობაში, არც იმ გლახაკის თავმოდრეკილობაში, სამოგვის თასმებს რომ უკოცნის პატრონს. უდიდესი უბედურება მაშინ ეწვევა კაცს, როცა მას დაავინყდება, რომ ადამიანი უფლისწულია ყოველი. მეფეებსა და შლეგებს ზნედა სჭირთ ხოლმე: სხვაზე უფრო აღმატებულად შერაცხავენ თავს და, ვინც მათ გაუტოლდება, თავს ნააცლიან უთუოდ; ხოლო იგი, ვისაც უმცირესზედაც აღმატებულად თავი მოაქვს, სწორედ იგია ქედმაღალი. მე რომ მესსია გზაში შემეყაროს და მითხრას, სხვას სჯობიხარო, ასე მივუგებდი, შენ არ ყოფილხარ-მეთქი მესსია.

მეფეები და ლომები მარტოობაში ხდებიან გულზვიადნი. აზვავდებიან და მოიწყენენ. მარტოობაში იღუპებიან კიდევ“.



გიორგისათვის უძვირფასესი პიროვნება, კვეტარის ერისთავის, თალაგვა კოლონკელიძის ასული, შორენა, ტკივილით ამბობდა: **„გიორგი მეფემ თვალები დაუბნელა მამაჩემს, უმაღ სიკვდილის ცოლი გავხდები“.**

ჟამმა მცხეთიდან გააქცია გირშელი. ეცინებოდა მეფეს, მაგრამ „ვაჟკაცობის საქმეში ფრიად ჩახედულს“ დიახაც ესმოდა, რომ **„ამქვეყნად არც რაინდია ისეთი, რომელსაც რისამე წინაშე შიში არ ეგრძნოს ოდესმე, არც თუ ბრძენია სადმე, ერთხელ მაინც სისულელე არ ეთქვას“.**

თავად გიორგის მრავალგზის გაუოცებია ბრძოლის ველზე მტრები, მაგრამ, თუ გირშელს ავაზებისა და რწყილების ეშინოდა, გიორგი ცახცახებდა გველებისა და ცოფიანი პირუტყვის წინაშე. ჟამს არ გაჰქცევია მცხეთიდან მეფე.

შორენა ოსებს გაატაცებინა მამამზემ, ომის საბაბის მძებნელმა. გიორგიმ გადანყვიტა, სამეფო სპას მტვრად ექცია ქორსატეველა.

მეფის ბრძანებით, ზვიადმა დესპანი მიუგზავნა მამამზეს, ამაოდ ნუ დაგვადვრევენ სისხლს, კიდევ ერთხელ გაპატიებთო განდგომას ბაგრატ კურაპალატის სიყრმის მეგობარს.

შედრკა მამამზე, ითხოვა შეწყალება. კოლონკელიძის ასული, ერისთავის გადანყვიტებით, ოსთა მეფის უმცროს ვაჟს უნდა გაჰყოლოდა ცოლად.

გამძვინვარებულმა გიორგიმ სპა შეაწყვიტა ქორსატეველას, ზღუდიანად დაარბია ციხე. ბრძოლისას დაიღუპა გირშელი, რომელსაც მეომრები არ შეაშველა მეფემ, შორენაზე გამიჯნურებულმა, კოლონკელიძის ასულის საქმროს იდუმალმა მოქიშპემ.

თავს გამოუტყდა გიორგი – უხაროდა დედის დისწულის სიკვდილი. გადანყვიტა, თუ შორენას ცოცხალს გამოიყვანდა, ერთ კვირაში ცოლად შეერთო...

სვეტიცხოვლის კურთხევაზე მელქისედეკის ქადაგებას უგდებდა ყურს მეფე. ბიზანტიელი სტუმრებიც ახლდნენ. გიორგის ბერძნული ლაპარაკიც სძაგდა, დაღვრემილი უსმენდა ბიზანტიელ არქიელებს, დიდი პათოსით რომ ლაღადებდნენ ამ მშვენიერ ენაზე.

მელქისედეკმა სპილენძით მტკიცე და თრიაქით დამათრობელი, სალმასურის ჯაჭვივით ელვარე სიტყვა შეატოქა აგრეთვე მშვენიერსა და ვაჟკაცურ ბერძნულს. ყოველი ერი თავის ქვეყანაში უნდა ცხოვრობდეს, ყოველი ხალხი თავისუფალი უნდა იყოსო, როგორც ღმერთი.

1021 წლის ზავს შეეხო მელქისედეკი – სწორედ გიორგის ხმალმა გაჰკვეთა ის საბელი, რომლითაც ბიზანტიის ეკლესია ბოჭავდა ქართულს.

გიორგის არ უყვარდა, როცა ქართველნი ბიზანტიური საქმეების გამო მართავდნენ კამათს. ბერძნულიც იცოდა და არაბულიც, მაგრამ არასოდეს კრინტი არ დაუძრავს უცხო ენაზე სასახლეში.

ბერძნების (ბიზანტიელების) შესახებ უთხრა ფარსმანს: **„სჯული ებრაელებს მოჰპარეს, ენა – ძველ ბერძნებს, ბულგარელებს – ცეტინიუმში, სომხებს – ანისი, ბასიანს გადაღმა ქვეყნები – ქართველებს, ხოლო სინდისი ვერავის ნაჰგლიჯეს, რადგან ასეთი რამ არ სჭირიათ ჯერაც“.**

შორენას სიყვარულს ევედრებოდა მეფე.

**„რაც ნამართვი, იგიც გეყოფა, მეფე ბატონო... მამაჩემს თვალის სინათლე წარსტაცე, მე – თავის სუფლებს; ხოლო ჩემი გული? სხვას ეკუთვნის იგი დიდი ხანია“.**

ჭიაბერი და გირშელი აღარ იყვნენ ამქვეყნად. ვინ უნდა ყოფილიყო იგი, ვისაც გაებედნა მეფისათვის გატოლება თავისა?

ფარსმანმა „აუხილა“ თვალი. არსაკიდის ტილო – „სიზმარი“ აღუნერა, მიანიშნა, მეფესა ჰგავსო გვიმრისფერი დათვი. გამწარდა ხელმწიფე.

გიორგის ვერც ბიზანტიაში მძევლად ნამყოფი ვაჟის, ბაგრატის, დაბრუნებამ გადაჰყარა ნაღველი, თუმც უფლისწულის ჩამოსვლას გაეხარებინა მთელი საქართველო კავკასიონიდან ბასიანამდის. ბასილი კონსტანტინემ შეცვალა ბიზანტიის იმპერიის ტახტზე.

შორენას საწმერთოული, ფარსმანისა და ვარდისახარის „ძალისხმევით,“ არსაკიდის სასთუმალ-ქვეშ იპოვეს. განრისხებულმა გიორგიმ „სვეტიცხოვლის ცუდად ამგებელს“ მკლავის მოკვეთა მიუსაჯა.

ბაგრატი და გიორგი ნაკინკლავდნენ. შვილმა უსაყვედურა, კეისრის მოხსენიებისას მეტი კრძალვა გმართებსო. გაცხარებულმა მამამ მიახალა, შენც გაგრყენსო ბიზანტიელებმა.

მთავარეპისკოპოსმა აუნყა მეფეს შორენას დაღუპვის ამბავი.

...მდაბიორის სამოსი გადაიცვა მეფემ, ინით შეიღება წვერი, უშიშარაისძესთან ერთად გადაიკარგა. ჯერ ეგონათ, საფურცლეს ნადირობსო, შემდეგ უფლისციხეს იგულეს.

აფხაზეთს შიკრიკები წარგზავნეს, თმოგვში მოიკითხეს, მტკვარსა და არაგვში აძებნინეს მე-ბაღურებს.

მოიგონა უფლისწულმა, ან უკვე ბაგრატ მეოთხემ, იმ უბედურ ღამეს ვილაცამ მაკოცა ძილში; მინდოდა, მენახა, მამა ხომ არ არის-მეთქი და ძილმა წამართვაო თავი.

ბოლოს ხალიფას, ალ-ჰაქიმის, იდუმალი გაუჩინარების ამბავი გაახსენდათ, გამოიგლოვეს სასახლეში...

...თრიალეთში ნადირობისას გადააწყდა მეფე უმშვენიერეს ირემს. უცნაურად ჰგავდა შორენას ნებიერას. მიძიმედ დაჭრილი უნდა მოეკლა, წესისამებრ, მაგრამ ისეთი მშვენიერი და უმწეო იყო ცხოველი, იარაღი ქარქაშში ჩააგო გლახუნამ. ხელში აყვანა მოუნდომა. ნაწლავები გადაესკვნა, წელი ველარ გამართა. უშიშარაისძეს ეგონა, ძარღვი გაესკვნაო უბრალოდ. გახადა სამოსი. გაოცდა, როცა ნახმლევებისაგან დაჩეხილი სხეული ნახა, სავსებით ახალგაზრდა ვაჟკაცის სხეული.

უთხრა პიპას მეფემ, კარგია, შენს მეტი, რომ არავინ დაესწროო ჩემს სიკვდილს. მინია გველისფერი წმინდა გიორგის რისხვამ: **„მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს. თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია. ვაჟკაციც ვიყავი და მშობარაც. კეისარს ვებრძოდი, მეშინოდა ხვიარის ფესვებისა. გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიღალატნია...“**

ჩვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა: ჩვენში მოღალატენი სჭარბობდნენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავის, თავის ხალხის მოღალატენი. თვით ჩემს მსტოვრებში ნახევარი ბიზანტიელებს ჰყავდათ შესყიდული, ნახევარი – სარკინოზებს. როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას.

ბასიანთან აზნაურებს რომ არ ეღალატნათ, იქაც ვძლევედი ბასილი კეისარს...

თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ უშველის, რადგან ჯერ არსად გაუმარჯვნიათ მშობრებსა და მსტოვარებს.

სიყრმე და სიჭაბუკე საქართველოს შევალთ, მაგრამ ქართლელები „აფხაზს“ მეძახდნენ, ხოლო აფხაზები „ქართლელების მსტოვარს“ მიწოდებდნენ ბაგრატიონს, ლაზს. დამანელა აზნაურებისა და სარდლების კინკლაობამ. ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას – სარდლობა.

მუდამ ბიზანტიელებს ეგებოდნენ ფეხქვეშ ჩვენი სულელი აზნაურები და ღორმუცელა ეპისკოპოზები. მეფეები მწვანე ეტლებს მიელტვოდნენ და ბიზანტიურ ხარისხებს. ამიტომაც არ მიყვარდა პაპაჩემი, გურგენ მაგისტროსი, მამაჩემი – ბაგრატ კურაპალატი და მცხეთიდან გაქცევის წინაღამეს ჩემს ვაჟს წავეკიდე, ბაგრატს.

ჩვენი უბედურება ეგაა: სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარს. ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირი. ხალხიც აზნაურებს ბაძავდა, ამიტომაც მშვენიერს „უცხოს“ უწოდებდნენ: კარგ ქართულ თხილს – „ბერძულს“, საუკეთესო ცერცვსაც – „ბერძულს“.

სიმთვრალეში კარგი ვაჟკაცები ვართ და კარგი რიტორები. ეგაა ოლონდ – სიფხიზლის დროს ჩადენილი ცუდკაცობა სიმთვრალეში გვაგინყდება ხოლმე, ხოლო ქეიფის დროს დანაქადები უკვე აღარ გვახსოვს გამოფხიზლებულთ.

მეც მჭირდა ეგ სენი. სიმთვრალეში მოვაკვლევინე ფხოველებს დედიჩემის დისწული გირშელ, თრიაქით მთვრალმა.

ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდიკაცი თუ გამოგვერია, ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას – ყვავები“.

სთხოვა პიპას, მღვდელთაგანი მომგვარე ვინმე, არ მიყვარს პამპულა ეპისკოპოზები, უბრალო დიაკვნის პუტუნის მენატრებაო.

დიაკვანმა ლოცვისას სახელი და გვარი გამოტოვა, არც კი იცოდა, ვის უკითხავდა სულთათანას, ღმერთს შეავედრა მომაკვდავის სული: „ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან ღმერთმან შეუნდგინე, რამეთუ არა არს კაცი, რომელი ცხოვნდეს და არა სცოდოს!“

მომაკვდავმა დაიჩურჩულა: „მომიცადე, დედა!“

პიპა გიორგის დიაკვანი ეგონა, ანთებული კელაპტარი – ცეცხლისმფრქვეველი ხმალი. სთხოვა უშიშარაისძეს: „რა გატირებს! დამკარი, შე უღმერთო, ეგ ხმალი. ბარემ გათავდეს ეს ცხოვრება, პიპა!“

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები ამქვეყნად.

როცა *ქუთაისში* ასაფლავებდნენ მის ცხედარს, საშინლად წვიმდა, ქარი ქროდა. პირველად ერთ მესაფლავეს ნამოსცდა სიმართლე მისი უთავჯამო და ბობოქარი ცხოვრების გამო. მოხუცმა მესაფლავემ ეს უთხრა ახალგაზრდას:

„არც სიკვდილში ჰქონიაო გიორგი მეფეს ბედი...“

\* \* \*

„სულ თორმეტიოდე წლისა ვიყავი, როცა „ბედი ქართლისა“ მომაჩიჩა ხელში შემთხვევამ თუ განგებამ... ბალობიდანვე მიყვარდა და მაოცებდა აფხაზთა მეფე გიორგი პირველი. სიჭაბუკეში მომემატა პატივისცემა მისდამი, როცა გავიგე, თუ რამოდენა ვეშაპს შეჭბშია ეს შესანიშნავი რაინდი. მიყვარდა იგი, ორ კურაპალატს შორის გამოსრესილი მეფე. ვინც დაახლოებით მაინც წარმოიდგენს, თუ რა დიდი მხეცი იყო ბასილ II, ბულგართმშუსვრელი, რომლის იმპერია განფენილი იყო აპენინის ნახევარკუნძულიდან ბასიანამდის, ბალკანეთის უკიდურესი სამანებიდან არაბეთის უდაბნოს კიდემდის, მისთვის გასაგები იქნება, თუ რა კოლოსალური ძალის მატარებელი ყოფილა იმუამინდელი საქართველოს მეფე გიორგი პირველი, რომელმაც ერთხელ, მაგრამ მაინც დაამარცხა კეისარი ბიზანტიისა, და ამ უბადლო ვაჟკაცს, რომელსაც მატინე უწოდებს „უშიშოს, ვითარცა უხორცოს,“ ქართულ ქრონიკებში მხოლოდ ორიოდ გვერდი აქვს მიძღვნილი.

მე შემძრა ამ უსამართლობამ და ამ მიჩქმალული გმირის აპოლოგიას (აპოლოგია – (ბერძნ.) 1. განდიდება); 2. დაცვა) ვუძღვენი დიდი მღულარება ჩემი სულისა“ (კ. გამსახურდია, „დიდოსტატის მარჯვენა,“ ბოლოსიტყვა).

\* \* \*

„ვეგრძნობთ მეფის ბედუკულმართობას... ეს ისტორიულად განპირობებული იყო ჰერეთ-კახეთის გამოყოფით, შირიმნის ბრძოლაში დამარცხებით, სამხრეთი პროვინციების დაკარგვით და ბაგრატ უფლისწულის მიძევლად გაგზავნით...“

„მატინე ქართლისა“ გიორგი მეფეს ასე ახასიათებს: „ახოვან იყო და უშიში ყოვლითურთ, ვითარცა უხორცო“ (რ. მეტრეველი, და მოვიდეს ვარანგნი, თბ., 1988, 171, გვ. 174).

### „ჭური თვითმოდრავი“ – ფარსმანი

სვეტიცხოვლის კედელზე ქანდაკია: სახედაღრეჯილ მოხუცს პირი დაულრეჯია ვაგლახად, სპარსული სამოსი აცვია და გულბოროტების იერი გადაჰკრავს სახეზე... უწვერული ჭაბუკი კონსტანტინე არსაკიძეა, ხოლო ჩაქუჩიანი მოხუცი – მისი ოსტატი, ფარსმან სპარსი.

ფარსმანი ამირას კარზე იყო ნამყოფი. გიორგი პირველის მამას, ბაგრატ კურაპალატს ტყვედ ჰყავდა იგი.

„ქვისმთლელთა და კირითხუროთა უხუცესი, იდუმალთა მიმთხრობი იყო ფარსმანი, არაბულ აღქიშიაში ფრიად განსწავლული, ვარსკვლავთმრიცხველი, შესანიშნავი აქიმი, უცნაური მენამლე და მჩხიბავი. ფრიად ბნელ ამბებს უკავშირებდნენ მის სახელს ცრუმორწმუნენი, იმასაც ამბობდნენ, გველი ჰყავსო ლაგამამოდებული და ზედმჯდომი დაჰქრისო არაგვის ქალებში“.

მელქისედეკ კათალიკოსს ფრიად არ მოსწონდა ამ „საეჭვო ურჯულოს“ ყოფნა მეფის კარზე; მით უმეტეს, არავინ იცოდა დაბეჯითებით, მართლაც სპარსი იყო იგი, სარკინოზი თუ ბერძენი.

ფარსმან სპარსი შერქმეული სახელი უნდა ყოფილიყო. მისი ნამდვილი ვინაობა და სადაურობა არავინ იცოდა, ყოველ ენას, ყოველ სჯულისკანონს ზედმინევენით ფლობდა: ქართულს, არაბულს, თურქულს, ირანულს (სპარსულს), ბერძნულს.

ჯერ კიდევ ბაგრატ კურაპალატს აუხირდა მელქისედეკი ამ „ნარმართის“ გამო. მოანათვლინა მეფემ ორმოცდახუთი წლის კაცი. ეკლესიაში სიარულითა და მარხვით დიდად არ ინუხებდა თავს ფარსმანი. მარიამის უხრწნელობის დოგმას აპამპულეებდა და, თრიაქით მთვრალი, ხითხითებდა, ღვთისმშობელს იმდენი შვილი ჰყოლია, რამდენიც ანგელოსი დაეტევაო ნემსის წვერზე.

როგორც ყოველ ავანტიურისტს (და შუა საუკუნეებში ისინი გაცილებით მეტნი იყვნენ, ვიდრე ჩვენს დროში), მასაც რამდენიმე ხელობა ჰქონდა მომარჯვებული, უკანასკნელ ჟამს მზის საათე-



ბის მოწყობას მიჰყო ხელი, დაეთრეოდა საერისთავოებში, საათებს აწყობდა, ხანდახან ნადიმებზე მიიწვევდნენ, როგორც ხუმარას და მოცლილს. მოხუც აზნაურებს აცინებდა, ყოველ სარწმუნოებას აპამპულებდა იდუმალ (რათა საკუთარი დაემალა), ყოველი ეროვნების კაცს ამასხარავებდა (რათა საკუთარი ეროვნება არ გაემხილა როგორმე).

კათალიკოსი დიდხანს ეძიებდა საბაბს, არსებითს, რათა მცხეთიდან ფარსმანის გაძევება მოეთხოვა მეფისაგან. იპოვა – სპარსი დედათა მონასტერს შესწევოდა, გაეხრწნა ფანასკერტელის ქალი, ცამეტი წლისა. ფანასკერტელი დიდი აზნაური იყო და უეჭველად მოიძებნებოდა ფონი, რომელსაც მკრეხელი უნდა დაეხრჩო, მელქისედეკის რწმენით.

ჯერ სხალტბის ეკლესია არ მოეთავებინა ფარსმანს, მიტომაც გაურბოდა მეფესთან შეხვედრას, ვაითუ, გიორგიმ შემავრდომოსო ურჯულო.

ენადა კათალიკოსს, ოლთისის ეკლესიის სანაცვლოდ, სვეტიცხოვლის აგების ხარჯები ეკისრა მეფეს. სამნაირი გეგმა წარმოადგენინეს ხუროთმოძღვართუხუცესს – ფარსმანს.

ფარსმანის გეგმით, სვეტიცხოველი უნდა ყოფილიყო ერთნავიანი ტაძარი, რომლის ოთხივე ფასადის რელიეფები ირანული ალეგორიებით იქნებოდა გადატვირთული, ფრთოსანი ცხენების, ძაღლების, ლომების, გრიფონების ფიგურებით.

ქართული წარმართობის გამოძახილიც ცხადდებოდა კედლების ბარელიეფებში. თავაშვერილ, კუდალერილ ხარებს ტოტემის ნიშნებით ჰქონდათ დადალული ფერდები. ქრისტიანთა თვალის ასახვევად ამ ცხოველებს ჯვარი ჰქონდათ დადგმული რქებს შორის. გუმბათის ფრიზებში, კარიბჭეების სიახლოვეს, პანიურად აღტყინებულ, შიშველ ფიგურებს ღვინით სავსე ყანწები ეჭირათ ხელში... სარკმლების ირგვლივ დანყვილებულ როზეტებსა და ჩუქურთმებში ოსტატური მიმიკრიით (*შენიღბვიით*) ჩახლართული იყო დანყვილებული გველების ხატებანი. ეკლესიის შიგნით ოთხსავე კესონში თვით მეფეების, მღვდელმთავრებისა და ანგელოსების ფიგურებისაგანაც გამოსჭვიოდა ჰელლინური სიშიშველე და მშვენიერ ხორცისა.

სამივე გეგმა ამგვარი შინაარსისა იყო მეტ-ნაკლებად და ამიტომაც სამივე უარყო მელქისედეკმა.

როცა ხელმწიფემ აზრი ჰკითხა არსაკიძეს, ჭაბუკმა უპასუხა: **„ჩინებული ოსტატია ფარსმანი, მაგრამ თავნება ფრიად. სხვათა თათბირს ჩირად არა თვლის. ძნელია მასთან მუშაობა“.**

ბორას (*ძერის მსგავსი ფრინველი*) ნისკარტივით მოდრეკილი, სიფრიფანა ცხვირი და პერგამენტივით გაყვითლებული ქოსა სახე ჰქონდა ფარსმანს. ახრჩოლებდა ირანულ ყალიონში გაღვივებულ თრიაქს. თაროებზე უწესრიგოდ მიმოფანტა საკითხავები, ეტრატის გრაგნილები, კარაბადინები, ავანდასტები (*თითბრის როდინები*). კედლებზე ეკიდა ციხეების ნახაზები, ეკლესიების გეგმები, ეჩოები, საჭრეთელები, მკუთხავები, გონიო.

სტუმრად მოსულმა არსაკიძემ სვეტიცხოვლის გეგმა მოუტანა ოსტატს. მეფეს ებრძანებინა, ფარსმანმა გადაჰკრასო თვალი.

ფარსმანმა დაწვრილებით გამოიკითხა ასაგები ტაძრის შესახებ ყველაფერი.

მოგონებები შემოეძალა ფარსმანს, ხუროთმოძღვრის ხარისხიდან გადაყენებულს. ნუთუ ფანასკერტელის ასულს გადააყოლებდნენ?!

**„რამდენ ხმალშემართულ რაინდს შეჰგებებია უშიშრად ფარსმანი! ქართველს და ბერძენს, სარკინოზსა და სომეხს... რალა დარჩება მისგან? მცირეოდენი ნახშირი და ფერფლი, ნახშირი და ფერფლი..“.**

მოაგონდა თავისი ტკბილი, ტკბილი ბავშვობა, თუხარისის (*ციხე შავშეთში*) სილუეტი, შავშეთის უღრანი ტყეები, ჭოროხის ცისფერი წყალი; პაპა სუმბატი, მუდამ მოღუშული, ჟანგისფერთორიანი დევკაცი; მამა ბაქარი, ჭროლათვალეა, ქერა რაინდი; დედა ნანაი, მუდამ ლოცვებში ჩაფლული, სძლისპირების ტკბილი მგალობელი; ბუზლუნა მზრდელი, თავმოტვლეპილი, კოჭლი ვარდანი, მისი მუდმივი აკრძალვები (*„ტყეში დღისით დათვებია, ღამით – მიონები; ჭოროხში – გველები და ჯოჯოები; მზეს თვალს ნუ გაუსწორებ, რამეთუ მზეი ქმნული ღვთისაი არს“...).* ერთადერთი, რაც მზრდელისაგან დაშლილი არ ჰქონდა ფარსმანს, ეს იყო ლოცვა. ფსალმუნს აზეპირებინებდა, არიგებდა ვარდანი: **„ცხოვრება უდაბნოა ურწყული და ეცადე, გარს შემოუარო“.**

ბეჭის ძვალზე ასწავლა ნახშირით წერა. შემდგომ ამისა დაუმეგობრდა საკითხავებს ფარსმანი. არად აგდებდა მზრდელის ბუზლუნს, უბელო ცხენებით დაჯირითობდა. ნუხდა, რომ მშვიდობა სუფევდა **ჩორჩანელების** ციხეში, მხოლოდ პაპისგან სმენოდა ომების ამბები.

თექვსმეტი წლისას საომარი ცხენი მიუჩინეს. ვარდანი ახალი შეგონება მიანოდა შეგირდს: **„არს კაცი ჭური თვითმოძრავი, სულისა ხელმწიფე“.** ფარსმანი იხსომებდა მზრდელისაგან თქმულს.

საქართველოს დიდმა პატრიოტმა, იოანე მარუშისძემ, უფლისციხე გადასცა დავით კურაპალატს. დავითმა, სხვა ერისთავებთან ერთად, სუმბატ ჩორჩანელისაგანაც მოითხოვა მორჩილება.



არა ჰქმნა სუმბატმა დავითის ძის, ბაგრატის მორჩილება; ბაგრატმა თავი მოჰკვეთა მას, გვამი ციხის ჩარდახიდან გადმოჰკიდა ურჩ აზნაურთათვის ჭკუის სასწავლებლად.

ბაგრატ მესამე სპითურთ თუხარისს შემოეწყო. მამის მხარდამხარ ვაჟუკაცურად იბრძოდა ჭაბუკი ფარსმანი. სამ თვეს გაუძლეს ალყას... ბოლოს ბაქარი მხოლოდშობილი ვაჟითურთ სასახლის გვირაბიდან გაიპარა, „მიჰმართა ბნელ ღამეს“... აგორდა თვითმოდრავი ჭური.

ბიზანტიაში ბასილი კეისრის მონინალმდეგეს, მეამბოხე ბარდა ფოკას მიემხრო ბაქარი. ფოკას ბასილის პატრიციუსი, იოანე პორტეზე შემოეწყო, ექვსთვიანი ბრძოლის შემდეგ ბაქარი შეიპყრეს, თავი მოჰკვეთეს...

ფარსმანი, იბერიელ მონებთან ერთად, ბიზანტიონს წაიყვანეს. საშინელი იყო მგზავრობა ანტიოქიის ურწყულ მიწაზე. წყალს არა სვამდა, სიკვდილს ჰნატრობდა... კონსტანტინოპოლში ერთ წელიწადს საკანში ეგდო. ქართველმა ბერმა საპასეჟო ლელანგოში (უფუარი სააღდგომო ნაზუქი) ჩადებული ქლიბი შეუტანა. სხვა ქართველებთან ერთად გამოიპარა ციხიდან... შემოიარა ბითვინია, ანატოლია, ანტიოქია... ბოლოს ალ-ჰაქიმთან ჩავიდა ჰალეპში (ალეპოში). ბაგრატ კურაპალატისა და ბიზანტიის კეისრისადმი სიძულვილმა სჯული გამოაცვლევინა ფარსმანს. **აბუბეჯრ-ისმაილ-იბნ-ალ-აშარი** დაირქვა.

ალ-ჰაქიმის მარჯვენა ხელად მონათლეს, როცა ბასილიმ ჰალეპის (ალეპო) ციხეს შემოუტია. დუკას შემოსევისას ბეჭი გაუგმირეს. საუკეთესო მკურნალნი მიუჩინა ალ-ჰაქიმმა.

ქაიროში შეისწავლა ხუროთმოძღვრება, ალქიმია; ინდოელ ფაკირთაგან – ცეცხლის ალის უვნებლად გადაყლაპვა; მინარეთებიდან უთვალთვალეზა ვარსკვლავებს ღამით. უმშვენიერესი მიზგითები ააგო ქაიროში. მერე სუფიებს მიემხრო.

990 წელს ბიზანტიის კეისარს ელჩად მიუგზავნა ხალიფამ აბუბაქარ-ისმაილ-იბნ-ალ-აშარი. უკუსვლით ეახლა ბასილის, ჰკადრა: „ელჩებს უკანალი უნდა ჰქონოდეთ მაგარი, რაკი ბევრ პან-ლურს უნდა მოელოდნენო“. მოეწონა კეისარს ნათქვამი – დედა მიკიტნის ქალი ჰყავდა და ბილწ-სიტყვაობა უყვარდა.

ბიზანტიონში დარჩა ბასილის ხუროთმოძღვართუხუცესად ფარსმანი. კეისარმა შეაკეთებინა მინისძვრისაგან დაზიანებული აია-სოფია და რამდენიმე ტაძარი ანატოლიაში.

სუფიათა სექტის გავლენით ეგვიპტეს მიაშურა. ხეოპსის პირამიდაზე არაბული წარწერა ამოიკითხა:

*„გახდი დერვიში, უსამშობლო გლახაკთაგანი,  
ზღვისგან ისწავლე ლელვის შემდეგ გულდამშვიდება...  
განაძე შენგან წუთისოფლის მტკნარი დიდება“.*

გახდა დერვიში, ბაღდადს ჩავიდა; კუდიანი ვარსკვლავის მხილველი ვარსკვლავთმრიცხველობამ გაიტაცა.

სამშობლო მოენატრა ხანში შესულს. ბაღდადის ხალიფამ ტფილისის ამირასთან წარმოგზავნა. ტფილისში მოაწყო პირველი ობსერვატორია. აქვე შეირქვა ფარსმან სპარსი. როცა ამირა დილომ-თან შეება ბაგრატ მესამეს, ფარსმანი შეიპყრეს სამეფოის სპათა.

*თურმე ფარსმანი თუხარისის ციხეში აპირებდა ჩასვლას იდუმალ.*

*ამადაც წამოჰყოლოდა სარკინოზთა ლაქქარს.*

ბაგრატ კურაპალატმა თარჯიმნად დაიყენა. ერთი წლის შემდეგ ხუროთმოძღვართუხუცესობა დააკისრა გიორგი პირველმა...

რა მცირე დღე დაახრჩობდა ზღვათა გადამლახველს! შეეძლო ეთქვა, არც ქრისტიანი ვარ, არც იუდეველი, არც მუსლიმიო.

*„იგორა თვითმოდრავმა ჭურმა და, აჰა, სიკვდილის ბჭესთან მიგორებულა იგი“...*

არსაკიძე გრძნობდა, მეფემ და კათალიკოსმა უდიდეს ოსტატს რომ შეარკინეს იგი. მოხუცებულ ბრძენკაცს უნდა შებმოდა მოკრძალებული, თავმდაბალი ჭაბუკი. მის ქმნილებას უნდა დაეჩრდილა ყველა ტაძარი, ფარსმანის მიერ აგებული სამცხეში... არსაკიძის სახელს დასწვდნენ და ესროლეს იგი ფარსმანს, როგორც ხელკეტი – მნიფე ნაყოფს. ფარსმანისაგან იცოდა: **„ბრძენკაცი უნდა იყო და შლეგად მოაჩვენო ადამიანებს თავი; გმირი უნდა იყო და ჯაბანივით დადიოდეს; ოსტატი უნდა იყო და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი, რადგან არავის იმდენი მტერი არა ჰყავსო ქვეყნად, რამდენიც ბრძენკაცს, გმირსა და ოსტატს“.**

ფარსმანის დასჯას მოითხოვდა დიდი და მცირე, განსაკუთრებით, კათალიკოსისა და დედოფლის მომხრენი. სძაგდათ ფარსმანი ყბადალებული „წარმართობისა“ და მუსლიმური ჩაცმულობის გამო.

მარიამს არ უყვარდა ფარსმანი, მაგრამ მის შემცვლელს ვერვის ხედავდა ეკლესიათა მშენებლობით გატაცებული, ითმენდა „სახითა ტარტაროზსა და სჯულითა ბარბაროსს“.

დიდად არც ზვიადს ეხატებოდა სპარსი გულზე, მაგრამ, ბიზანტიასთან გამწვავებული ურთიერთობის პირობებში ფარსმანისათვის თვალების დანვა არც ისე იოლი გადასაწყვეტი იყო. ეკლესიათა მშენებელი დიხაც მოიძებნა, მაგრამ რკინისმკვეთელ ხმალთა წარმოების საიდუმლო ფარსმანმა იცოდა მხოლოდ და სხვისთვის გადაცემას არც აპირებდა. არც საქართველოში, არც წინა აზიაში ფარსმანზე დიდი მცოდნე ციხეთმშენებლობისა სპასალარს არ ეგულებოდა. რომელიც, უცნობი ბუნების, ჰინდურ ფოლადსა და არაბულ ფხვიერს (ფხვნილს) იყენებდა სპარსი მახვილთა წრთობისას.

ბაგრატი კურაპალატმა სამგზის ანამა ფარსმანი, დილეგშიც ჩააგდო, ენის მოჭრით დაემუქრა, ფეხის ფრჩხილები დააძრობინა, მაგრამ კრინტი არ დაძრა გაჯიქებულმა სპარსმა.

მეფემ და სპასალარმა გადაწყვიტეს, შორენა კოლონკელიძის პირისფარეში, უმშვენიერესი ვარდისაზარი შეერთოთ მისთვის, ეგებ, დააცდენინოსო რკინისმკვეთელ ხმალთა წრთობის საიდუმლო.

სწულ არსაკიძეს ჩვეული გესლით ესაუბრა მოხუცი, „დამოდღვრა“ ჭაბუკი: „როცა კაცს სიბერე მოუწევს, ბაღს დაემსგავსება იგი. აკი ასე სჩვევიათ ბაღებსაც, ისეთ რამესაც იკითხავენ ხოლმე, რაც კარგად იციან თავათაც. ბაღები და მოხუცები იმათაც ჰგვანან ერთმანეთს, რომ მათ თანაბრად აქმლებათ ხოლმე საღერღელი ლაპარაკისა. მხოლოდ ესაა: ბაღს არ ეშინია სისულელის თქმისა; იგი აგრე ვარაუდობს, ალბათ, ქვეშეცნეულად, გავიზრდები, ჭკვიანურსაც ვიტყვიო. მოხუცებულიც აცუნდრუკდება ხშირად, რადგან გამოცდილებიდან იცის, მხოლოდ ბრძენკაცებს ემტერებოდნენ მეფეები და არც ერთ მეფეს, თუგინდ სულელსაც, შლეგები არ ჩამოუხრჩვია ჯერ, რადგან თვით უჭყოლ მეფეებსაც კარგად ესმოდათ, სულელები სათითაოდ რომ ჩამოეხრჩოთ, ვერც ხარკს მოიხვეჭდნენ, ვერც მონასპებს იპოვიდნენ ომში წასაყვანს. არავინ ისე მამაცურად არ იბრძვის სხვის ომში, როგორც სულელი. მე ვიყავი მუდამ ასეთი შლეგი, სხვათა ომებში მამაცი შლეგი. ვინც მეფეთა სამსახურისთვის თავს გადასდებს, მას საკუთარი სახლის უკან მზად უნდა ჰქონდეს დილეგიც.“

რადგან ქარის ქროლვას ემსგავსება მეფეთა წყალობა, ხან აღმა მიჰქრის ეს ნიავი, ხანაც თავდაღმა“.

აგრძელებდა გესლიან დამოდღვრას ფარსმანი: „ყველაზე უფრო ძვირფასი მხატვრისათვის ის ნახატია, რომელიც არც მელქისედეკ კათალიკოსს შეუკვეთავს და არც გიორგის, ის, რასაც მოცალეობისას დახატავს იგი თამაშით. მოცალეობა და ფანტაზია შემოქმედების მკვიდრი მშობელი“.

ხელცარიელი მივიღვარო სამარეში, რადგან „მუდამ იმას ვაკეთებდი, რასაც კეისარი, ხალიფა და აფხაზთა მეფეები მოისურვებდნენ. შესაძლოა, წინასწარ იცოდე მხატვარმა კიდეცაც, რომ შენს სურათს ზედაც არ შეხედავს არავინ, გული საგულეს უნდა გქონდეს მაინც, რადგან ეს ასეა: ჩვენს აზნაურებს მიმინოს სკორე ურჩევნიათ სურათებს, ხოლო დიდვაჭრებს – ნოხები, ბიზანტიელ პატრიციუსებს – ცხენები. ეპისკოპოზები ასე ამბობენ, მკრეხელებიაო მხატვრები, ღმერთს უტოქდებიანო ისინი, უჭასაკო საგნებს შთაბერავენო სულს.“

ვერც კონსტანტინოპოლში გაყიდი სურათს, რადგან ბიზანტიელი აზნაურნი და უაზნონი ამას მოითხოვენ: ბასილი კეისარი უნდა ხატოსო მხატვარმა, თეთრ რაშზე მჯდარი, ჰოროლს სცემდესო ურჩხულს. არც თუ მუსულმანთაგანი შეიძენს სურათს, რადგან მართლმორწმუნე მაჰმადიანი ფეხსაც არ შედგამს იმ სახლში, სადაც სურათი ჰკიდია, ან ძაღლი აბია სადმე.

ჭილის ეტრატი მაქვსო ერთი და იმ ეტრატი ასე სწერია: „ვაი მას, ვინაც გამოხატოსო ცოცხალი არსი. განკითხვის დღეს მხატვრის მიერ გამოსახული პირები გაცოცხლდებიან, სურათებიდან ჩამოვლენ, მიეჭრებიან დამხატველს და მოსთხოვენ სულს. და მხატვარი იგი, რომელიც ველარ შეძლებს საკუთარი სულის მიცემას, უცილოდ დაიწვევა უშრეტი ცეცხლით. ყველაზე კარგი სურათი იგია, რომელსაც არც უფლისციხეში, არც კონსტანტინოპოლში, არც ქაიროში არ ყიდულობენ; სწორედ იგი, რომლისთვისაც სულს მოსთხოვენ ერთ დღეს დამხატველს“.

ხუროთმოძღვრის პატივი აჰყარეს, ახლა მონადირეთუხუცესობას მიელტვოდა ფარსმანი. იცოდა, სასახლეში არავინ ჰყავდა ავაზების გამწვრთნელი გიორგის, ამიტომაც თავპატიუს იდებდა. გააფრთხილა მეფე: „დიაცივით გულბოროტია ავაზა, ტანხატულა და მშვენიერი; კიდეც ერთი ზნე სჭირს დიაცივი – გაქცევა იცის შემოჩვეულმა ძუმ“.

დედოფლის სასახლეში ჩამოსვლისთანავე მელანქოლიამ შემოუტია მეფეს.

თრიაქს მიეძალა, ფსალმუნს კითხულობდა.

ფარსმანი იწვია. ირიბი ზმებით ესაუბრა მოხუცი. როდესაც ხელმწიფემ აზრი ჰკითხა ახალნაგებ ტაძარზე, მიუგო ფარსმანმა: „ახალი წიგნის გამო არაფერი ითქმის, სანამ ათასჯერ არ გადასწე-

**რენ მას სხვანი, არც ახლადგებულ ტაძრის გამო ითქმის ამაზე მეტი, სანამ ათასი წლის მინისძვრები არ გამოსცდიან ნაგებობას მისას. საუკეთესო წიგნი იგია, რომელიც ჯერაც არ დაუნერია არავის; რაიცა შეეხება ტაძართაგან საუკეთესოს, ჯერაც არ აგებულა ასეთი მინაზე!“**

ჟამიანობამ გაახარა ფარსმანი. ცოლს უთხრა, **„ეგებ, დაილენოს ეს ქვეყანა, ახალში მაინც მიმინვევდნენო ხუროთმოძღვრად“.**

გუნება მოუნამლა სვეტიცხოვლის კურთხევამ, არსაკიდის დიდოსტატად აღიარებამ.

„თვალი აუხილა“ მეფეს, კოლონკელიძის ქალი ხუროთმოძღვარს ჰყვარობსო. აღუნერა ტილო „სიზმარი“, ჰკადრა, შენა გგავსო გვიმრისფერი დათვი. ვარდისახარს მოაპარვინა შორენას სანმერთული, რომელიც მეფის მსტოვრებმა არსაკიდის სასთუმალქვეშ „იპოვეს“.

მეფემ ფარსმანი კვლავ დანიშნა ხუროთმოძღვართუხუცესად. სვეტიცხოვლის დანგრევა მოითხოვა სპარსმა.

როდესაც ხელახლა იფეთქა ჟამმა მცხეთაში, მთავარეპისკოპოსმა რაჟდენმა განაცხადა, მწვალელები გვეყავსო ქალაქში, ამადაც არ გვეხსნებო ჩირი. პირუთვნელად ამხილა ფარსმან სპარსი, იგიაო მკრეხელთა და მწვალელებთა მამამთავარი.

გააფთრებული ბრბო მიეჭრა, ჩაქოლვას უპირებდა.

გაიოზ ბერმა მიუსწროთ, დავდალოთო ეშმაკის თანაზიარი. გაახურეს სპილენძის ტვიფრი, „მელის სახისა“. შუბლზე დაჰკრეს მწვალელებს.

გიორგი უფლისციხეს იყო იმჟამად; უფლისწულ ბაგრატს გულზე არ ეხატებოდა ფარსმანი, მაგრამ მიმინოების მენამლე არვინ ეგულებოდა სხვა.

მცირე საბაბმაც იკმარა ბოლოს – ბაგრატს მიმინო გაუხდა ავად. ფარსმანს ამკურნალებინა, მაგრამ მოკვდა ფრინველი. განრისხებულმა ახალგაზრდა ბატონმა დილეგში ჩააგდებინა „ნარმართი“.

ისევ აგორდა „ჭური თვითმოძრავი“. დილეგიდან გაიპარა, სარკინოზებთან გაიქცა იდუმალ. დილომთან შეიპყრეს სამეფოის სპათა. დიდხანს აწამეს, ფრჩხილებიც დააძვრეს, ჯავარდენთა წრთობის საიდუმლო მაინც არ გათქვა...

წამებისას შემოაკვდათ მოხუცი...

**„ღვინის ქურდი თხლეს გადააყოლეს...“**

\* \* \*

„კ. გამსახურდიამ თამარის ისტორიის („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“) სიტყვები მოიშველია ფარსმან სპარსის „შესამკობად“ და „სახითა ბარბაროსი და სჯულითა ტარტაროზი“ უწოდა – ასე მოიხსენება თამარის პირველ ისტორიაში მოღალატე მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი“ **(როინ მეტრეველი, „და მოვიდეს ვარანგნი,“ თბ., 1988, გვ. 171).**

### **„სევდიანი, როგორც ყინწვისის მჭმუნვარე ანგელოსი“ (შორენა)**

კვეტარის ერისთავის, თალაგვა კოლონკელიძის, მხოლოდშობილი ქალი, პირმშვენიერი შორენა, აკვანშივე დანიშნული ჰყავდა ჭიაბერს.

დანიშნულის გარდაცვალების ამბავი რომ მიუტანეს კვეტარს მამამზე ერისთავის მაცნებმა, ნუშისგულივით თეთრი ღანვები დაიხოკა შორენამ, დალალეები დაიშალა, მამას მკერდზე მიეყრდნო და ატირდა სანყალობლად.

კვილით შემოვიდა ქორსატეველას ციხეში; მისი ცალი მკლავი თალაგვა კოლონკელიძეს ეპყრა, მეორე – კონსტანტინე არსაკიდეს, უწვეურულ ჭაბუკს.

შორენას დანახვისას, ეს გაიფიქრა გიორგიმ, **„საოცარია, ტირილი არავის ჰშვენის, არც ბაღლს, არც ყრმას, არც ჭაბუკსა და არც მოხუცს, მხოლოდ ლამაზ ქალს ჰშვენისო ტირილი“.**

კონსტანტინე არსაკიძე იმდენად ჰგავდა შორენას, მეფემ გაიფიქრა, ძმა ხომ არ არისო. გაახსენდა, მხოლოდშობილი რომ იყო ქალი.

ჭიაბერის ორმოცზე მეფემ კვლავ იხილა შორენა. **„სასძლოს ბორდოხანის კალთაში ჩაედო თავი, სტიროდა, მოსთქვამდა თავათ ბორდოხანი და ნაზად ეფერებოდა შორენას ჭავლისებრ მღელვარე დალალეებს. როცა გიორგი მეფე მანდილოსნებს მიეახლა, განსაცვიფრებელმა სილამაზემ შეანათა**



**სახეში. ელდა ეცა გიორგის. მას არასოდეს ენახა, ძაძას, მწუხარებას და უბრალო სამოსს ასე გაემშვენეირებინოს ქალი... სასძლოს უცნაურად გაბოროტებული მზერა მოხვდა მეფეს და ასე ეგონა, სახე აენვა ამ შემოხედვისაგან“.**

არამინიერი მშვენივრით ბრწყინავდა შორენა. ძაძით მოსილი, იგი გაცილებით უფრო მშვენიერი იყო, ვიდრე სამი წლის წინათ, როცა პირველად, ხატობაზე, ნახა გიორგიმ მცხეთაში, ფხოვურ ტანისამოსში მორთული, ამორძალივით მოჯირითე რაინდთა შორის.

ტოხანისძემ უამბო მამამზეს: მცხეთობისას ეხილა პირველად მეფეს შორენა, გადაჰვინყებოდა, რომ ხელმწიფეს თავდაჭერა ჰმართებდა. კათალიკოსი და დედოფალი ტაძრეულისათვის შეეტოვებინა. ცხენზე შეჯდომისას წვივზე ეკოცნა შორენასათვის.

კვეტარის საერისთავოში მისული გიორგი ამჩნევდა: „დაქალებულიყო შორენა. ქალწულურ ტანკენარობას მისას სრულებითაც არ არღვევდა მონიფულობის მაცნე სავსება ხორცისა. ოდნავი სიყვითლე შერჩენოდა ლანვებზე. ძაძა მუქყვითელ სამოსს შეეცვალა ირანული აბრეშუმისას, რომელსაც მწყრისფერი იერი გადასდიოდა ზოგან. სხეულის კიდურები დაგრძელებოდა, გულმკერდისა და თეძოების სისავსე ჰარმონიულად შერწყმულიყო ისეთ სიმრგვალებთან, როგორიც მწყერს სჩვევია ხოლმე რთველის მინურულში, ამ ძვალწვრილსა და ხორცმრავალ არსებას... მამაკაცის ქორულმა მზერამ ეს შენიშნა: ისეთ მიჯნამდის მისულიყო მგლოვიარე სასძლო, როცა ქალობა სძლევს ხოლმე გლოვას და დიაცური სიკეკლუცე თავის მშვენივრის გამოსაჩენად მოირგებს სიმძიმის ნიშნად სატარებ სამოსსაც... შეუძლებელი იყო, რაიმე მზაკვრობა ხლებოდა ამ მშვენიერ, შეურყენელ თვალებს. მზერაში გიორგიმ დაიჭირა ის ველური დარცხვენილობა, რომლებიც ირმის ნუკრების გამოხედვაში შენიშნა“.

ნუშისგულივით თეთრ ხელებს უმზერდა მეფე. ასეთი ხელებით მორთმეული სანამლავიც საამური იქნებო, ფიქრობდა. ამ ნუთებში ერჩივნა, უბრალო აზნაური ყოფილიყო და არა მეფე...

კვეტარის მემამბოხე ერისთავს, შორენას მამას, თვალეზი დასწევს; მხოლოდ მთავარი ციხე დაუტოვებს, რათა თვალდაბნელებულს იქ დაეღია სიცოცხლის დღენი.

შორენა მცხეთას წამოიყვანეს, კოლონკელიძეს რომ არავინ ჩამოესიძებინა, შურისძიებაზე არ ეფიქრა. თან აახლეს ქალს ათი შიმუნვარი და ვარდისახარი, პირისფარეში; ხელებგაკრული წამოიყვანეს არსაკიძეც, შორენას ძუძუმტე.

კოლონკელიძის ირმის ჯოგს სასახლის საჩეხი მიუჩინეს; შორენა, შიმუნვარებითურთ, ჩაკეტეს ლართისკარის ციხეში.

მერე აგორდა ჭორი: საბლით გადააპარესო შორენა შიმუნვარებმა ღამით ციხიდან, ფხოვს გაქცეულა თორაბჯროსანი, ახალ ამბოხს აწყობსო ერისთავის ასული.

სულ სხვას ამბობდნენ სხვანი: უფლისციხეში გამოკეტაო მეფემ ქალი, დასნეულდაო საბრალო ბნელში ჯდომისაგან. ისიც ეთქვათ, ბედიის მონასტერში წარგზავნაო მელქისედეკ კათალიკოსმა, მონაზვნად აღკვეცილაო მუნ.

მელქისედეკი დაამოშმინა მეფემ, შეჰპირდა, ყველისციხის პატრონს, გირშელს, შევრთავო ქალს.

ხურსისეულ სასახლეში შორენას სანახავად მისულ, ვნებით გათანგულ გიორგის ასე დაუხასიათა პატრონი ვარდისახარმა: „გულნაზიაო და პირმშვენიერი შორენა, ურთიერთისაგან არ არჩევსო დიდსა და მცირეს. მანდილოსნის სინატიფე და რაინდის ლომგულოვნება თანაბრად შერწყმულიაო მასში. ბედმა უმუხთლაო ჩემს პატრონს, დააბეზღესო მსტოვრებმა კოლონკელიძე, მეფის ღალატი შესწამესო უბრალოდ, თვალეზი დაუბნელესო“.

რარიგ განსხვავდებოდა პირისფარეში ქალბატონისაგან! ნივთთაგან მოგვრილი აღტაცება თვალსაჩინოს ხდიდა მდაბიორობას მისას, თუმც ვარდისახარის მზერისას ფიქრობდა მეფე, როგორ წარმოშვაო მეჯადაგემ ეგზომ მშვენიერი დიაცი. სადედოფლო ქალი იდგა მის წინაშე: ოდნავ, სულ ოდნავ ჭორფლიანი, მაგრამ თეთრი, ვაშლის ყვავილისფერი სახე ჰქონდა, ავაზას დარი თვალეზი... ნასხვისარობა ეტყობოდა კაბას“.

შორენა რომ არ იყო არსაკიძის ძუძუმტე, ვარდისახარმა აუწყა ვაჟს, სული აუფორიაქა.

მოაგონდა ვაჟს, ლაზისტანიდან დაბრუნებულს როგორი დაუხვდა შორენა – „ღანვისთავებზე სცემდა ქერა კულულები, ხტოდა, უსტვენდა, ცელქობდა ბიჭსავით; ფაფარზე მოეჭიდებოდა, დააჭენებდა უბელო ცხენებს“.

შეიცვალა სიყრმის მეგობარი არსაკიძის თვალში.

„საოცარი ტანჯვის იერი გადასდიოდა შორენას სახეზე – მჭმუნვარე ფერნამკრთალობა განრთხმულიყო მასზე. მოურიდებლად უჭვრეტდნენ, მაინც მიდიოდა ქედმაღალი და გულმართალი, ამაყად მიჰქონდა ბედისაგან დაკისრებული კირთება“.



არსაკიძის წარმოსახვაში გაჩნდა მარჩბივი (ტყუპი, ორმაგი) ჩვენება: ვარდისახარი ამოუდ-  
გა შორენას გვერდით, კისკისა, ტიკტიკა, ფეროვანი, ჭარბვებიანი, სიცოცხლეზე შეყვარებული,  
მარად სიმდიდრის მონატრული და მქირდავი ბედისა; მხოლოდ ვნებისათვის, მხოლოდ სარეცლი-  
სათვის გაჩენილი აშარი დიაცი, ოვსთა მეფის ხარჭაყოფილი (ოვსთა მეფე ჭიბბერმა მოაკვლევინა).  
ოდნავ ტლანქი, მამაკაცური ხელები ჰქონდა ვარდისახარს. ხმა ბოხი, იგიც მამაკაცური ოდნავ.

*ფაქიზი იყო შორენა, როგორც ქერუბიმის ფრთანი და სევდიანი, როგორც ყინწვისის მჭმუნვა-  
რე ანგელოსი. ყელისმიერი ხმა ჰქონდა, ისეთი წკრილა, როგორც ვერცხლის ეყვნები, ხევისბერთა  
დროშის ბუნზე შებმული. ჰარილესავით რბილი და ტფილი იყო მისი ბუნება“.*

სიზმრად იხილა არსაკიძემ, როგორ ეფერებოდა მისი უნაზესი მეგობარი ნაბლისფერ და გვიმ-  
რისფერ დათვებს. გზნებდა დიდოსტატი შორენას არამინიერ მშვენიებას, ესმოდა, სმენას უტკობ-  
და მის ბაგეთაგან წარმოთქმული „უტა“.

შორენალა უხმობდა სიყრმის სახელით, აგონებდა სიყრმეს, სიჭაბუკის შეწყვეტილ ღხენას,  
დედას უნაზესს, ფხოვის მაღალ ცას, ლაზისტანის კამკამა ზღვას.

დობილის ხმად როდი აღიქვამდა შორენასაგან თქმულს, არამედ ძახილად ქალისა.

თავთუხისფერი თმები ჰქონდა შორენას, თვალეში უელავდა ლაზისტანის ზღვის სილურჯე.  
ამო იყო მისი სუნთქვა და მისი ხმა; ნაზი და ველური იერი ჰქონდა თავადაც, უფრო სანუკველი,  
ვიდრე საგაზაფხულო ნელსურნელება მიწისა.

*„ეგონა არსაკიძეს, სავსებით ახალი ადამიანი შეჰმატებოდა მის ცნობიერებას. არღარა ჰგავდა  
იგი ფხოველ ძუძუმტეს. ხელახლად შობილად ეს ქალი მისთვის“.*

ნანობდა არსაკიძე ვარდისახართან ერთად ფხოვის ცის ქვეშ გატარებულ ღამეებს, თავის პირ-  
ველ ვნებას უსირცხვილო სიძვის დიაცის მიმართ. სამუდამოდ შესძაგდა ეს ქალი.

შორენაზე ფიქრობდა: „მართლაც ღირსია, ველის ყაყაჩოები თაყვანსა სცემდნენ, ოქროს თა-  
ველები თავს იდრეკდნენ მის წინაშე და უმძვინვარესი მხეცები ეგებოდნენ ფერხით“.

ხურსისეულ სასახლეში, შორენასთან მისული არსაკიძე შვიდ ხევისბერს გადააწყდა, შემთხვე-  
ვით მოისმინა სანატრელის სიტყვები: „დიაცი ვარ, მაგრამ მამაჩემის თვალეების დაწვას მაინც არ  
შევიარჩენ მეფე გიორგის. უჩემოდ ნუ დაინყებთ ამბობს. წყაროსთვალის წმინდა გიორგის ხატო-  
ბაზე კვეტარში გავჩნდები. მამისეულ თორს გადავიცვამ, მის მუზარადს დავიხურავ, მის ხმალს  
შევირტყამ, მის საომარ ცხენზე შევჯდები, ლაშქარს გავუძღვები... ჩემი ბედი, თავადიციხე რომ არ  
დაარღვია მეფემ. საბრძოლო გოდოლები მოათავეთ როგორმე. მამაჩემის ბრალი ეს იყო, ფხოვში  
შემოსვლა რომ აცალა ზვიადის ლაშქარს“.

არსაკიძე შეშფოთდა, იგრძნო, საფრთხეში იყო შორენა.

არსაკიძეს გამოუტყდა მარტოსული, ძლიერ მენატრებო კვეტარში ჩასვლა, ერთხელ მაინც  
მაჩვენაო ბედშავი მამა, ჩვენი ციხის ჩარდახიდან დამანახაო ფხოვეთის მთები.

ლაზისტანის ზღვა ელავდა შორენას ზღვისფერ თვალეებში, ისეთი სიყვითლე გადასდიოდა თავ-  
თუხისფერ კულულებს, როგორც ახლად გამოჩეკილ ხობბის ლაპებს გადაჰკრავს ხოლმე.

გიორგელმა ეკბატანას ვარდს, „ძველთუძველესი სპილოსძვლისფერ“ ყვავილს შეადარა საცო-  
ლე; გიორგის გამოუტყდა: „როგორც ენკენისთვის მიწურულში თეთრ ყურძენს ამოდ შეაყვითლებს  
ხოლმე მზვარე, ისე ამშვენებს მუსლიმთა ქვეყანაში ჩადრის ჩრდილი დიაცის სახეს. მუდამ მახე-  
ლებდა ეს უცნაური სიყვითლე. სწორედ იმ ფერის დიაცები მიყვარს, ჩადრის ჩრდილში შენახულნი“.

ნადირობისას შორენას ზედაც არ შეუხედავს ოქსინოთი მორთულ რაინდთათვის. კონსტანტინე  
არსაკიძეს უმზერდა იდუმალ, ბრწყინვალე თოროსან მამაკაცთა შორის ლანდივით მდგარს.

მხოლოდ შორენამ გაბედა, მიახლებოდა გამძვინვარებულ ავაზას. იგრძნო გიორგიმ – რალაც  
საერთო ჰქონდათ ამ ავაზასა და ამ ქალს. რაინდები აიმღვრნენ, როცა გამბედაობით დიაცმა აჯო-  
ბა მათ.

საუბარი მოინადინა კოლონკელიძის ქალთან მეფემ. ნადირობისას სთხოვა წინასწარ, არ შემ-  
რისხოო. ყმათა წყრომას მეფენი სად ერიდებოდნენო, ჩუმად მიუგო შორენამ. როდესაც ხელმწი-  
ფემ უთხრა, თუ გინდა, გირშელს მოგამორებო, უპასუხა, „თქვენი ნებაა, მეფევე ბატონო, მაგრამ მე  
ვიცი, **მეფეებიც ვერ გარდავლენო განგების ნებას“.**

ჭორებსა და მითქმა-მოთქმას არ დაერიდა შორენა, არსაკიძეს თავად ეწვია სიყრმის მეგობრო-  
ბის განსაახლებლად. არც მარგალიტით მორთული ქუდი ეხურა, არც ალმასების მანიაკი ეკეთა  
ყელზე, არც ხატაური აბრეშუმის კაბა ეცვა. ფხოვური კაბა ემოსა, როგორსაც მისი მოახლენი  
იცვამდნენ ხოლმე.

მიხვდა არსაკიძე, რომ ალმასის ქუდები, დიბის კაბები, აბრეშუმის სანმერთულები და მარგა-  
ლიტის სამკაულები – ეს ყოველივე ნიღაბი ყოფილა თურმე, გიორგი მეფის გარყვნილ სასახლეში

სახმარებელი. ამას იმისთვის სჩადიოდა, არავის შეეცნო, რომ შორენა თავად წააგავდა თავის საყვარელ ნებიერას, მყვირალობის დროს საჩენში აწრიალებულს, ფხოვის მთებსა და მჭავე წყალს მონატრულ ირემს. თალხი სამოსიც უფრო ამშვენებდა მას, ვიდრე ალმასების მანიაკები და ოქსინოს ქათიბები ფერად-ფერადი.

„– მეც შენსავით მარტო ვარ, უტა, – კვენსოდა შორენა, – როგორც მარტოხე, ქარისაგან დაბრიყვებული... მე მუდამ შენთან ვიყავი, მაგრამ შენ ვერ ხვდებოდი ამას. ხან შენი ხელოვნებით იყავი გატაცებული, ხან სიძვის დიაცებს აეკიდებოდი, ხან ნადირობდი. რომ მეთქვა, ძუძუმტე არა ხარ-მეთქი ჩემი, ამით გულისნადებს გაგიმხელდი, არ ვარგა, როცა გულწრფელობაში ქალი დაასწრებს ხოლმე ვაჟკაცს.

ქალის გაჩენაში, ალბათ, ღმერთი არ გარეულა. მიჯნურს გული აურჩევს საკუთარი დიაცს, ხოლო საქმროს – მშობლები და მდგომარეობა. ჩემთვის ორგვარი არჩევანი იყო იმჟამად: მეფე გიორგი ან ჭიაბერი. იგიც ვიცოდი, ჩვენი დედებიც მუდამ მათ გაჰყოლიან ცოლად, ვინც არასოდეს ჰყვარებიათ გათხოვებამდის.

მეცოდებოდა დედოფალი ისე, როგორც დიაცთაგანს შეებრალევა ხოლმე მეორე, არც სხვის უბედურებაზე აგებული ბედი მინატრია ოდესმე. სწორედ ამიტომ შევურიგდი ჭიაბერის ცოლად გახდომას.

ნუ გავაღვიძებთ სიყრმის სიყვარულს, მოულოდნელად გაღვიძებული ავაზაო ყველაზე საშინელი რამ. მე კი მგონია, სიყრმის სიყვარულის გაღვიძება მასზე მეტია.

გირშელი თუ გიორგი? არც ერთი და არც მეორე. გირშელი საფრთხოებლას მაგონებს, დათვებისათვის ყანაში დადგმულს; გიორგი მეფემ თვალები დაუბნელა მამაჩემს, უმაღლესი სიკვდილის ცოლი გავხდები“.

ბიძამ, ცხრატბის ერისთავმა დაჩიმ, ურჩია შორენას, დედათა მონასტერს შეეხიზნეო რომელიმე. სხვა გზაც ეგულებოდა ქალს, მაგრამ მის შესახებ არა უთხრა რა არსაკიძეს.

შორენაზე ფიქრს შეიპყრო არსაკიძე: „რა ვაჟკაცური შეუდრეკლობით შესცქერის იგი თავისი უმნიკვლო ცხოვრების დასასრულს, მშვიდი და სათნო, როგორც ქედანი ველისა. აგონდებოდა ქალის ნათქვამი: ერთადერთი გზა დამრჩენია, მონასტრისაკენ მიმავალი გზა, მაგრამ რომელი მონასტერი მიმიღებს, თუ გიორგი მეფე ამას წინ აღუდგება? არც მონასტერში დამაყენებენ განწირულს...“.

ამას ამბობდა ის, ვისი ფრჩხილის ნამუსრევად არა ღირს არც ყველისციხის პატრონი, არც გიორგი მეფე და არც მისი ხუროთმოძღვარი... კიდევ არისო ერთი გზა...“ არსაკიძემ იცოდა, რომ ეს გზაც ისევე ბნელი იყო, როგორც ყოველი სხვა, შორენას წინაშე გადაშლილი.

დაამარცხებდნენ ზვიადის ლაშქარს? მეორე დღესვე თავს წასჭრიდნენ თვალდამწვარ ერისთავს, რადგან გიორგი მეფისადმი სიძულვილი აერთიანებდათ ხევისბერთ მხოლოდ. როგორც გამარჯვების, ისე დამარცხების შემთხვევაში უთუოდ აირეოდა მონასტერი, უცილო დალუპვა მოელოდა შორენას.

„შორენას მშვენიერი სახის მხილველი ვერც იფიქრებდა, ცრემლებს თუ დაესეტყვა თვალმშვენიერი... რა ძნელი იყო არსაკიძისათვის წარმოდგენაც კი იმისა, რომ სანატრელი, ძვირფასი არსება უღვთოდ გაენირა ბედს. ეს განწირულება მომეტებული სხივით მოსავდა ქალს, რადგან კონსტანტინეს ყოველივე განწირული უყვარდა ბუნებით“.

კოლონკელიძის ასულმა ტკივილით უთხრა სიყრმის მეგობარს: „მსხვერპლს არ მოვითხოვ რაიმეს შენგან. შენ ვერც შეძლებ ამას. მეც უანგარო ვარ ჩემს გრძნობაში მუდამ; ჯერ არავინ მყვარებია ამქვეყნად იმისთვის, სამაგიერო მოეზლო ვინმეს. შენსა და ჩემს შორის მაღალი კედელი აღუმართავს ბედს, შენი სვეტიცხოვლის სიმაღლე კედელი... ხანდახან გონებაა დახშული, ხანაც გულის კარია ღია. შენი ნათქვამი სწორი იყოს, ეგებ, მაგრამ ჩემი გული დახურულია. მე სიტყვა მივეცი ხევისბერებს უკვე: წყაროსთვალის წმინდა გიორგის დღეობაზე ფხოვში ვიქნები და იქ დაველოდები-მეთქი ზვიადის ლაშქარსა და სიკვდილს...“

არც მე მაქვს უფლება, შენგან მოვითხოვო თავდადება, რადგან არც მე გამინირავს შენთვის ყველაფერი. მე რომ ჭიაბერის საცოლე არ გავმხდარიყავ, გონს მოსვლა დამეცლია შენთვის, მეცადა, ვიდრე, შემთხვევის ძალით, შენც გაიგებდი, რომ არა ხარ ჩემი ძუძუმტე, მაშინ უფლება მექნებოდა, შენთვის მეთქვა, ადექი, გავიპაროთ მცხეთიდან და ჩავუდგეთ-მეთქი სათავეში ფხოველთა ამბოხს...“

არც მე შემძლება, ყველაფერი გამეწირა სიყვარულისთვის. არავინ ისე არ ისჯება ამ ქვეყანაზე, როგორც იგი, რომელიც ყოველივეს არ შესწირავს თავის სიყვარულს. ასეთნი მუდამ მარტოკანი დარჩებიან ამ ქვეყანაზე და არავინ ისე საცოდავი არაა, როგორც მარტოსული, უტა...“.

დიდხანს კოცნიდნენ განწირულნი ერთმანეთს ერთად გატარებული სიყმაწვილის მოსაგონებლად, გაცდენილი ბედნიერების, დაკარგული დღეების, უსიყვარულად გატარებული წლების, სხვისთვის გაფლანგული ტანჯვის სამაგიეროდ.

შორენა მოაგონა არსაკიძეს ჟამიანობისას წითური ლაზის ნამღერმა:

*„ზღვისფერი გაქვს თვალები და თავათ ჰგავხარ ზღვას,  
თუ არ შეგებრალე და მისთხოვდე სხვას,  
მივატოვებ გაზაფხულზე თესვასა და ხვნას,  
გადავლახავ ადიდებულ ჭოროხსა და მტკვარს,  
ცეცხლს გავატან შენს სამყოფლოს, შენს სიყვარულს – ქარს  
და მოგიკლავ, მოლაღატევ, მაგ ნაფერებ ქმარს...  
ზღვისფერი გაქვს თვალები და თავათ ჰგავხარ ზღვას“.*

ზღვასავით მოუსვენარი იყო შორენა. მუდამ სწუხდა, რად არა მყავსო ძმები. ძმები რომ ჰყოლოდა, ხომ არ დასჭირდებოდა, ვაჟკაცის საქმე ეტვირთა. ვაჟები გვერდში ამოუდგებოდნენ კოლონკელიძეს, ისინი მიუზღავდნენ მეფე გიორგის სამაგიეროს.

მინისძვრის შემდეგ გაქცეული ირმების დევნისას გამოუტყდა ვაჟს ქალი: *„მეც შენსავით მუდამ შეუძლებელსა და მიუწვდომელს მიველტვოდი, უტა... შორიელი მუდამ უფრო სანუკველია, ვიდრე მახლობელი“.*

ჭიაბერის ძუძუმტეებს გადაწყდნენ შორენა და არსაკიძე. ოსებმა ამბავი მიუტანეს მამამზეს. გამძვინვარდა ერისთავი, ვუჩვენებ, როგორი გლოვა ეკადრებაო ჭიაბერის სასძლოს.

ოსებმა გაიტაცეს შორენა, დაჭრეს არსაკიძე.

ქალის სანმერთული თავადიციხის ზეთაფზე გამოჰკიდა ტოხაისძემ.

შორენას გათავისუფლებისას დაიღუპა ყველისციხის პატრონი, გირშელი, საქმრო კოლონკელიძის ასულისა. ჯარი არ მიაშველა რაყიფს გიორგიმ.

გაჭალარავებულიყო ტყვეობაში შორენა, მაინც ჰშვენიოდა მშვენიერი მხცით შემოსილი თმა.

გურანდუხტს გაანდო მეფემ, როგორც კი დედოფალი იერუსალიმს ნაბრძანდება, შევირთავო შორენას. დელავდა კოლონკელიძის მეუღლე, ვილაც მდაბიორი კალატოზის განკურნების მუდარით რად ანუხებსო მომავალი დედოფალი ღმერთს.

სიყვარულს ევედრებოდა მეფე გიორგი კოლონკელიძის ასულს.

*„რაც წამართვი, ისიც გეყოფა, მეფევ ბატონო. მამაჩემს თვალის სინათლე წარსტაცე, მე – თავისუფლება; ხოლო ჩემი გული? სხვას ეკუთვნის იგი, დიდი ხანია...“*

კათალიკოსის მოსაყდრის, რაჟდენის, საიდუმლო ბრძანებით, ბაგინეთის დედათა მონასტერში მონაზვნად აღკვეცეს შორენა. შუშანიკი დაარქვეს მას, რადგან *„ასეთ შემთხვევაში მხოლოდ პირველ ასოს სახელისას უცვლელად უტოვებდნენ აღკვეცილს“.*

მონაზვნად აღკვეცას გულმშვიდად შეეგება ქალი, იცოდა, ხუროთმოძღვარს, ლაზს, არ მიათხოვებდნენ ერისთავის ასულს.

მონაზვნად აღკვეცამდის შორენასათვის მცხეთაში ცხოვრება აუტანელი გახდა. გაბოროტებული გურანდუხტი გესლავდა დღენიდაგ თავის მხოლოდშობილ ასულს; კოლონკელიძის მეუღლეს სავსებით უღირსად ეჭირა თავი – დიდხანს ცდილობდა, ემაჭანკლა მეფისათვის როგორმე. როცა ვერაფერს გახდა, დაუზოგავად სცემდა და ლანძღავდა შორენას.

მოეწონა შორენას დედათა მონასტერი. აქედან შორს იყო სასახლის ჭორები, ერისთავთა ცოლების სისინი; კავკასიონის მწვერვალები მოჩანდა, საფირონისფერი გოლიათები.

დიდად მორწმუნე არ იყო ფხოვში გაზრდილი ქალი, მაგრამ სიამოვნებით ისმენდა სძლისპირებს, თავადაც გალობდა მწუხრისას.

სხვა დებთან ერთად ამზადებდა საჭმელს, სენაკებს ჰგვიდა, ჭურჭელს რეცხავდა, ძონძებს კერავდა, ნუშისგულივით თეთრი ხელებით ხეხავდა ქვაბებს... განსაკუთრებით შეუყვარდა ჭალარა მონაზონი, დაი ეფემია. კოცნიდა მოხუცი შორენას ცვილისფერ, ძველთუძველესი სპილოსძვლისფერ ლოყებს, ნაადრევ ჭალარას...

დედის გულარძნილობით დამწუხრებული, შვილივით მოეკიდა ეფემიას შორენა.

აქაც არ ანებებდნენ მარტო ყოფნას შუშანიკს. მისი სილამაზის, მისი ნაადრევი მხცის გამო ლაპარაკობდა დიდი და მცირე. ათასნაირი ზღაპარი შეთხზა მოცლილი ქალების უქმმა ფანტაზიამ: მდაბიორის ქალი ყოფილაო შუშანიკ. გუთნისდედა ჰყვარებია ერთი, მოხუცი ერისთავისათვის მიუთხოვებიათ ძალით. აყირავებულ სახნისზე წამოგებულა გუთნისდედა, გამოჰქცევიაო ბებერ ერისთავს შუშანიკ.



დაამშვენა ქალი ჯვალოს სამოსმა. სძლისპირების გალობის დროს ყინწვისის ანგელოსს მი-  
აგავდა იგი მჭმუნვარეს...

ვილაც ენაჭარტალა მონაზონმა უამბო ეფემიას: ტაძრის ხუროთმოძღვარს, ვილაც ლაზს, შეჰყ-  
ვარებია ერისთავის ასული. ძალუმად ლამაზი ყოფილა მაგ დიაცი... მეფე გიორგის სდომებია იგი  
საცოლედ. ხუროთმოძღვრის სიყვარული არჩია თურმე სულელმა დედოფლობას. ეს მეფეს გაუგია,  
მერმე წაუსწრეს თურმე შეყვარებულებს. განრისხებულა მეფე გიორგი, მკლავი მოუჭრიათ იმ ლა-  
ზისათვის ბოლოს.

შორენას მინისფერმა გადაჰკრა, ამის გამგონეს, სავსებით ჩაეფერფლა თვალები... მთვარეუ-  
ლივით წაბარბაცდა ქარაფისაკენ. პირჯვარი გადაიწერა, განრღვეულივით დაბარბაცდა და გა-  
დაეშვა ქარაფიდან.

ჯერ ისე მხრებგაშლილი წავიდა ძირს, როგორც გაფრენილ ანგელოსებს ხატავდნენ ხოლმე  
ფრესკის ოსტატები. მერმე, დიდ მანძილზე სრბოლისას, ორგზის გადატრიალდა ჰაერში. როცა  
კლდის ქიმზე დაეცა თავქვე, მინამდის არ დაჰყოლია სული...

მოანია რიჟრაჟმა, ატყდა ნათლის ლიცლიცი...

ეზმანა არსაკიძეს: შორენა ჩამოვიდა კედლიდან, ხატაური ფარჩის კაბა ეცვა შავი, ოქროსფერი  
თმები გადმოღვრილიყვნენ მხრებზე, მოდიოდა ყაყაჩოების ველზე, თავთუხის თაველებს ესროდა  
უტას, ყაყაჩოებსა და თავთუხის თაველებს.

დაუჩოქა სამგზის სანატრელმა, სთხოვა დიდოსტატს სული.

ცრემლმა იწვიმა კონსტანტინეს თვალებიდან, მაგრამ ვერც საყვარელს მისცა მან სული, რად-  
გან სვეტიცხოვლისათვის შეენირა იგი...

\* \* \*

„შორენას სახე კონსტანტინე გამსახურდიას პოეტური ფანტაზიის შესანიშნავი ნაყოფია. თვით  
სახელი „შორენა“ აქამდე სხვაგან არსად გვხვდება, მაგრამ როგორ ჰგავს იგი ისტორიულ წყაროე-  
ბში მოხსენიებულ „ბორენას“ (როინ მეტრეველი, და მოვიდეს ვარანგნი, თბ., 1988, გვ. 173).

ბორენას შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ზოგი მოსაზ-  
რებით, სვანეთში, ლენჯერის ეკლესიაში დაბრძანებული მარიამ ღვთისმშობლის ხატის ზურგზე  
წარწერილი იამბიკოს, ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰიმნის ავტორი ბორენა არის საქართვე-  
ლოს დედოფალი XI-ს-ში, ბაგრატ IV-ის მეუღლე, ოსთა მეფის ასული, რომელიც ბაგრატმა ელენე  
დედოფლის გარდაცვალების შემდეგ შეირთო.

სხვა მოსაზრებით, ბორენა ცოტნე დადიანის მეუღლეა (ქსე, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 469). ბორენას  
იამბიკო:

„რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი,  
ჰრქვი რა გაბრიელს: „ვარ უფლისა მხევალი“.  
მაშინ ისტუმრე ქვეყნად მოუვალი, –  
დაემხო ძალი, პირველვე სისხლდამთრვალი,  
ქალწულო, მიხსენ ბორენა ჭირმრავალი!“

„ბორენა დედოფალმა, რომელიც, ტრადიციული შეხედულებით, ბაგრატ მეოთხის მეუღლე  
იყო, ღვთისმშობელს აღუვლინა მსასოებელი ლოცვა... იამბიკოს მოტივი სახარებისეულია. დე-  
დოფალი პერიფრაზირებულად ეხმიანება სახარებას და ინტიმური ნიუანსების შეტანით („ჰრქვი  
რა გაბრიელს: ვარ უფლისა მხევალი“) (ჰრქუა (გაბრიელ მთავარანგელოზს) მარიამ: „აჰა, მხევალი  
უფლისაი, მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა“ (ლუკა 1, 38)) გვიახლოვებს ქალწული დედის სახეს. იამ-  
ბიკოში საოცრად ტევადი მხატვრული სახეებია: „მაშინ ისტუმრე ქვეყნად მოუვალი“ (იგულისხმე-  
ბა ქვეყნად დაუტეველი მაცხოვარი); „დაემხო ძალი, პირველვე სისხლ-დამთრვალი (ბოროტი  
ძალა, რომელიც პირველი ადამიანის, აბელის სისხლით „დათრვა“); „რომელმან ეგე ევას მიუზღე  
ვალი“ (ევას ცთომას ქალწულმა დაუპირისპირა უზენაესი სინმინდე, ევამ ცოდვა დაჰბადა, ღვთის-  
მშობელმა – კაცთა ცოდვების მტვირთველი)... და ბოლოს, „ბორენა ჭირმრავალი“ წარმოგვიჩენს  
ცხოვრების გრძელი და მძიმე გზის დასაავალზე მდგომ დედოფალს, რომელიც სასოებით შესცქე-  
რის ღვთის დედას. იამბიკო იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მას ხალხური პოეზიის გავლენით მშ-  
ვენიერი რითმა აქვს“ (ლ. გრიგოლაშვილი, ქართული მწერლობა, II ტომის ბოლოსიტყვა, თბ., 1987,  
გვ. 516).

იამბიკო – ძვ. ბერძნ. პოეზიის სალექსო ზომა, რომელიც ეყრდნობა ორმარცვლიან ტერფთა  
(ანუ იამბთა) გარკვეულ რაოდენობას... ბერძნულის გავლენით აღმოცენებული ქართული იამბიკო  
არის ხუთტაეპიანი (ხუთსტრიქონიანი), სამოცმარცვლიანი ლექსი (თითოეული ტაეპი თორმეტ-  
მარცვლიანია).



XI ს-დან ჩნდება რითმა. ქართული იამბიკო ჰიმნოგრაფიაში ჩნდება X ს-დან (იოანე მტბევეარი, იოანე მინჩხი, მიქაელ მოდრეკილი, ეზრა, დემეტრე I, ბორენა...) (ქსე, ტ. 5, 1980, გვ. 47).

## ქვეგამხედვარი

(მამამზე ერისთავი, შავლეგ ტოხაისძე, თალაგვა კოლონკელიძე, ჭიაბერი)

„მზაკუარნი იგი აზნაურნი“, – ასე უხმობდა ქვეგამხედვართ სუმბატ დავითის ძე („ცხოვრებაი და უწყებაი ბაგრატიონიანთა“).

„ბაღვაშები, ტბელები, ძამელები, აბულეთისძენი – ყველა მოლაღატე ფეოდალის თვისებები გააერთიანეს „დიდოსტატის მარჯვენის“ ქვეგამხედვარმა პერსონაჟებმა“ (რ. მეტრეველი).

მამამზე ერისთავს „ლომკაცად უხმობდნენ თავისი დიდი ანაგობისა და ვაჟკაცობის გამო. ჭრელი და მჭრელი თვალეები ჰქონდა, ისრიმისფერი, დაფანჩვულ, თეთრ ნარბებქვეშ თრითინებვით აწრიალებული“.

მეფეს ახალი წელი მიულოცა: „მრავალჟამიერ ყოს დამბადებელმან ყოველთამან მეფობა შენი და ისარნი ესე გულსა შინა განერთხოს მეფობისა შენისა ორგულისა. წყეულიმც იყოს ყოველი გულბოროტი და ქვეგამხედვარი ტახტისა შენისაი“.

მამამზეს ერთადერთი ვაჟი, ჭიაბერი, გუდამაყარში შეჰბრძოლებოდა კოლონკელიძეს, უვნებლად უკუქცეულიყო, ქორსატეველას ციხეში გამაგრებულიყო მცირედი ჯარით.

გიორგის თვალწინ ედგა მამამზე ერისთავის ისრიმისფერ თვალთა ყალბი ციმციმი.

„ნუთუ მამამზე იყო იგი, თუ სატანა ჩასვლოდა გვამში? მამამზე – ბაგრატი კურაპალატის განუყრელი მეგობარი, ფადლონთან ომებში, შირიმნის ბრძოლაში მრავალი ჭირის გადატანნი გიორგისთან ერთად.“

განა მამამზე არ ედგა მხარში გიორგის, როცა განდგა ქვეყანა ჰერეთ-კახეთისა?“ ნიალის ველზე, ბერძნებთან ბრძოლისას, წვივში დაჭრილი გიორგი სწორედ მამამზემ იხსნა.

იცოდა გიორგიმ, რომ არც მამამზე, არც ჭიაბერი გულით ქრისტიანები არ იყვნენ. საქართველოს მეფისათვის თვალის ასახვევად მამა-შვილს ხატებითა და ჯვრებით ჰქონდა მორთული ქორსატეველას ციხე-დარბაზი და კარის ეკლესია, მიუვალ მთებში კი წარმართული ბომონები აღემართათ და იქ ლოცულობდნენ თავად.

მსტოვართ ეუნყებინათ ზვიად სპასალარისათვის: კვეტარის ერისთავს კოლონკელიძეს, მამამზესა და ჭიაბერს პირი შეეკრათ გიორგის წინააღმდეგ. ეს არ იყო ოღონდ დადგენილი, ვინ იდგა უკან: ტფილისის ამირა თუ ბიზანტიის კეისარი ბასილი, რომელსაც ბასიანს გადალმა ქვეყნები წაართვა გიორგიმ ოდესღაც? ამირა თუ ბასილი? თუ ორივე ერთად?

ეკლესიათა შემუსვრა მხოლოდ ნიადაგის მოსინჯვას წარმოადგენდა. გაზაფხულზე მამამზე და თალაგვა დამძახლდებოდნენ და ერთიანი ძალით შემოეწყობოდნენ უფლისციხეს.

მსტოვართაგანვე შეიტყო გიორგიმ, რომ ჭიაბერს მამა დასაზვერად გამოეგზავნა უფლისციხეში. მეფეს შეეძლო, თვალეები დაენვა მამამზესათვის, ჭიაბერისა და კოლონკელიძის წინააღმდეგ ჯარი გაეგზავნა, მაგრამ ერისთავის ვაჟი ახალმობრუნებული იყო ბიზანტიიდან, სადაც, თურქებთან ბრძოლაში შეწვევისათვის, ოქროს მუზარადითა და არხეგოსის ტიტულით დაეჯილდოვებინა კეისარს.

ჭიაბერმა ბიზანტიონიდან დაბრუნებისთანავე ლალატით მოაკვლევინა ოვსთა მეფე და ძალით ითაყვანა ოვსნი. შეუდარებელ მეომარსა და მოჯირითეს დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი მთელს კავკასიაში.

გიორგი ძველ მამამზეს იგონებდა, შირიმნის, ფანასკერტის, ნიალის ომებში თანამებრძოლს, ბაგრატი კურაპალატის უერთგულეს ყმასა და მისივე სიყრმის მეგობარს. განა მამამზემ და ზვიად ერისთავმა არ წაასვენეს ბაგრატის ცხედარი ბედიში დასაკრძალავად? ნუთუ იგივე ხელები ლესავენ გიორგის წინააღმდეგ მახვილს, იგივე ხელები, რომელთაც გააპატიოსნეს ბაგრატის ცხედარი ფანასკერტის ციხეში?

მამამზე „მთავარ ნადირად“ მონათლა ზვიადმა. როცა დათვისაგან დატორილ მამამზესთან გიორგი ძაღლის ერთგულებას აქებდა განგებ, სიტყვა „ერთგული“ სამსჭვალავით შეერჭო გულში ერისთავს – ძაღლის ერთგულებიდან ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა მამამზესა და ჭიაბერის ორგულობამდის.

ომი ენატრებოდა ერისთავს. სისხლი აუჩქროლდა ჯავარდნებაკრიალებული მხედრების დანახვისას, გაპარვა დააპირა სასახლიდან, ერთადერთი ფიქრით შეპყრობილმა: **„ეჰა, ღამევ, სულისა ჩემისაებრ ბნელო, მამცნე იდუმალნი ზრახვანი შენნი!“** მწირად გაასალა თავი „სახით მშვენიერმა და ანაგობით კეთილშობილმა“. ზვიადის მსტოვრებმა მექარავენებს ნაჰგვარეს მამამზე: „*ეგ მწირი მეფის სტუმარია, ვერ განდობთო ამალამ*“.

არ შეისმინა ზვიადის შეგონება მამამზემ. როცა მუხრანისას ციხეს გასცდნენ, მხოლოდ მაშინ ირწმუნა ერისთავმა, რომ მას საიქიოს როდი აგზავნიდნენ, არამედ საკუთარ საერისთავოში.

მეფე კათალიკოსის თათბირისაკენ იხრებოდა უფრო, რადგან ჭიაბერთან ომით ბიზანტიასთან ურთიერთობის გამწვავებას ერიდებოდა. თვით მამამზეს ძველი დამსახურებანი, მშვენიერი „ანაგობაც“ აბრკოლებდა.

კათალიკოსს სთხოვა, ამინაშატის ძვირფასი ხატი მამამზესათვის, ძელიცხოვლის ჯვარი – ჭიაბერისათვის გადაეცა, ხელმწიფის ნაბრძანები ეუწყებინა:

ქრისტეს სჯულს დაჰბრუნებოდნენ, კავშირი გაენწყვიტათ კოლონკელიძესთან, ერისთავის ვაჟს არ გაეხედა შორენას შერთვა, თორემ მამამზესა და ჭიაბერს თავები არ შერჩებოდათ მხრებზე.

კათალიკოსის ფხოვს სტუმრობისას ძრწოდა მამამზე, ვაითუ, ჭიაბერი გაჯიქდეს და არ შეეგებოსო. შიში ამაო გამოდგა. დამხვდურთა შორის „*დანინაურდა ოქროს მუზარადიანი, მშვენიერი ვაჟკაცი, დაქვეითდა. მუზარადი მოიხსნა, თავთუხისფერი კულულები გადმოიღვარა მის მაღალ შუბლზე, დიდრონი, ცისფერი თვალები მიაშტერა კათალიკოსის დაღეულ, ავადმყოფურ სახეს, ღილივით წვრილსა და ციმციმა თვალებს. თავისი გოლიათური მარჯვენა გაუნოდა სტუმარს, ზიზღნარევი ძრწოლით ეამბორა მის დამჭკნარსა და გრძელ თითებს. ფეხზე მდგომი ჭიაბერი გაცილებით მაღალი ჩანდა, ვიდრე ჯორზე მჯდომარე მელქისედეკ კათალიკოსი*“.

როცა, მეფე გიორგის ნებისაებრ, ლუსკუმიდან ამოღებულ ჯვარს ამთხვია ჭიაბერი კათალიკოსმა, დაოკებული ბრაზის ნატამალი დაიჭირა მის მშვენიერ, ცისფერ თვალებში.

მამამზემ თავი იმართლა კათალიკოსის წინაშე, ყველაფერი კოლონკელიძეს გადააბრალა. „*ლიქნიდა ფიცითა და აღთქმითა*“. მეფის მზესა და ბაგრატ კურაპალატის სულს იფიცებდა. ჩემს ხელში დალია ბაგრატ კურაპალატმა სული ფანასკერტის ციხეში, მე და ზვიად სპასალარს ჩაგვაბარაო მცირეწლოვანი გიორგი და მთელი საქართველოს ბედი. ამ ფიცის ერთგული ვარო დღემდის.

ერისთავის ოჯახში განადიდებდა კათალიკოსი მეფეს, რომელმაც სულგრძელად ინება, „*რათა ძალმან ძელიცხოველისამან განანათლოს ბნელი ცთომილების გზაზე შემდგართა გულში*“.

ღვინო ემწარა ძელიცხოვლის ჯვარს ნაამბორევ ჭიაბერს, გამოსაცვლელად გავიდა და, როცა მოიკითხეს, „*უკვე ჩამქრალიყვნენ მისი მშვენიერი, ცისფერი თვალები*“. ოდენ ტოხაისძემ მიაქცია ყურადღება მელქისედეკის სიტყვებს წესის აგებისას: „*ავაზაკებს შორის ჯვარს ეცვი, მხსნელო, დაისაჯე ძელითა ცხოველითა... ვის გულისხმობდა კათალიკოსი – ჭიაბერს თუ ქრისტეს?!*“

მამამზეც შედრკა, მანაც დაიჯერა ეს სასწაული. იწამა, რომ ახლა ტოხაისძის, კოლონკელიძის, თავად მამამზეს ჯერი იყო მომდგარი, მაგრამ უეცარი სიკვდილი სანატრელად უჩნდა ვაჟკაცი შვილის დამკარგავ მამას.

ანაზად გამოიცვალა, მოტყდა მამამზე, ახლა მთლად ფეხქვეშ ეგებოდა კათალიკოსსა და მის ამაღას. იმ ღამესვე აღსარების ნება სთხოვა მელქისედეკს და აღიარა თავისი და ჭიაბერის თანაზიარობა ფხოველთა ამბოხში.

გულმოკლული სასძლოს მწუხარება დაჩრდილა საკინძემემოხეული ჭიაბერის გამზრდელის გოდებამ. თაყაი მოთქმით ამბობდა გაზრდილზე, ხარ-ჯიხვი იყავ, ტურებმა როგორ შეგბედესო, შავარდენი იყავ, ნუნკალმა ყორნებმა როგორ გაბედესო შენი ხელყოფა.

განუზომელ მწუხარებას დაელია მამამზეს ლაჟღაჟა, ჭაბუკური სახე. უბედურებამ და ძელიცხოვლის სასწაულმა ქრისტეს სჯული შეაყვარა; ხატებითა და ჯვრებით მოართვევინა ქორსატეველას ციხე-დარბაზი, საგვარეულო კარის ეკლესია.

როცა წლისთავზე სანვევად მაცნენი უნდა დაეგზავნათ, სწორედ იმ ღამეს უცნაური სიზმარი ნახა მამამზემ: ნაცვლად ქვის ჯვრისა, ჭიაბერის საფლავზე კლარჯეთული ძელიცხოველი იდგა, ფესვებგადგმულს „*მაჯისისისხო*“ ვაზი შემოჰხვეოდა. შავლევ ტოხაისძემ ხმალი იძრო, რათა თავი ნაეგდებინებინა უხსენებლისათვის, რადაც გადაიქცა რქანაყარი ვაზი.

„*ცისკარი მოსდგომოდა ბნელ სავანეს*“.

შავლევს გადაემალა ჭიაბერის სამარის ლოდი. აუხსნა მამამზეს: „*გიორგი მეფე გულმხეცია. თუ საქმე მისჭირდა და ცოცხლებს ვერა დაგვაკლო რა, მიცვალებულზე იძიებს შურს. ხურსი აბულელი სარკინოზებთან რომ გაექცა მეფეს, ციხე წარუღო, ხურსის ვაჟების ძვლები ამოთხარა აბულელითა საძვალიდან, ღორსა და ძაღლს ათრევიდა*“.

მამამზემ იცოდა, გულმხეცი რომ იყო მეფე გიორგი, მაგრამ, თუ მას ფარისევლურ ცრემლთა ნთხევაც შეეძლო, ეს არ ეგონა.

ტოხაისძემ აუწყა, რომ ჭიაბერი ჯვარს ემთხვია, კოლონკელიძე – ოდენ ლუსკუმას. ამაოდ ცდილობდა მამამზე, გაეცნობიერებინა გიორგის სიმუხთლე; იფიქრა, მეც ვემთხვევი ჯვარს, ბოლო მოეღებო სიცოცხლის საზარ სიზმარს, მაგრამ უკუიქცა, უნდოდა, საბოლოოდ დარწმუნებულიყო შავლეგის სიმართლეში, მიზანი ექნებოდა – ჭიაბერის სისხლის აღება.

სანამ მამამზე ცოცხალი იყო, ჭიაბერის საფლავს ვერვინ შებლაღავდა.

უხსნიდა ტოხაისძე ერისთავს: „ქრისტეს ჯვარი იყო ჩვენი უბედურების მთავარი მიზეზი. ამ ბოროტების სათავე ბიზანტიონია. დამპალი ქალაქია ბიზანტიონი. ბასილი კეისრის სასახლეში ბევრი რამ გავიგეთ ჭიაბერმა და მე: თვალების დაბნელება, ადამიანის ცოცხლად დამარხვა, ძელზე გაყვანა, ორივე ხელის მოჭრა, მკვლელის მიჩენა – ეს ყოველივე ბიზანტიონში ისწავლეს ჩვენმა მეფეებმა. ბასილი კეისარმა ცეცხლი უმთან ბრძოლის მეორე დღეს თხუთმეტ ათას ბულგარელს დასთხარა თვალი.

ახლა უფლისწული ბაგრატი ჰყავთ ბერძნებს მძევლად, იქ უკეთეს ამბებს ასწავლიან მას და, როცა იგი მობრუნდება, მაშინ გვიხაროდეს.

შემზარავი სისასტიკე გამოიჩინა გიორგი მეფემ ოლთისში. ათასზე მეტ ბერძენ მონასპას დასთხარეს თვალი, ორი ათას ტყვეს თავი ნაცალეს, სამასი ტყვე ცოცხლად დამარხეს.

დამპალი ქალაქია ბიზანტიონი, გარყვნილებისა და მუხანათობის ბუდე. გამოჩერჩეტიებული პატრიარქი სრულიად აღმოსავლეთისა, ქორეპისკოპოზნი, ეპისკოპოზები, სწავლულები და ბერები ზედ ასქდებოდნენ ურთიერთს იმის გამოსარკვევად, რამდენ ანგელოსს დაიტევს ნემსის წვერი, ნევსო თუ დგასო მამალმერთი.

არ გვინდა ქრისტეს ჯვარი, არ გვინდა მეფე გიორგი, არც ზვიად სპასალარი, არც მელქისედეკ სპასალარი. მცხეთა და უფლისციხე ისეთივე ბუდეა გულარძნილობისა, როგორც ბიზანტიონი.

ბერძნებს ეს უნდათ, ჩვენი ბომონები ვჰკმით და მათ ეკლესიებში ვილოცოთ; წინაპართა ჩვენთა სალოცავები შეგვიმუსრეს, თავიანთი ხატები და ჯვრები შემოგვაჩერეს ხელში. ბერძნებს ეს სწადიათ, ჩვენი ენა დაგვაყინყონ და თავიანთი შემოგვჩარონ პირში, ჩვენი წარსული დავივიწყოთ და მათი შევისწავლოთ, ჩვენი სამოსი შემოგვძარცვონ, მათი ჩავიცვათ: თუ ჩვენი კერპები ვახსენეთ და მათი დავგმეთ, მყისვე პირზე აკერიათ: მკრეხელი, მწვალბელი, მსტოვარი.

გვინდოდა მე და კოლონკელიძეს, მეფე გიორგი შეგვეყრო, ჭიაბერი ტახტზე დაგვესვა. მცხეთას ავიღებდით, უფლისციხეს შემოგვენყობოდით, თმოგვის ციხეს, ციხეს ფანასკერტისას, დედოფალს ბედიის მონასტერში მონაზვნად აღკვეცდით, ამირას ტფილისიდან გავაგდებდით, არმაზსა და ზედაზენს აღვადგენდით, მელქისედეკ კათალიკოსსა და მის შავჩოხიან მსტოვრებს ქართლოსის საფლავზე დავაკლავდით“.

შხამს შხამი დაუმატა კოლონკელიძემ, ზოგს ასე ჰგონია, კოლონკელიძის მიერ შემუსვრილი ხატების ბედი ანუხებდა გიორგის, შორენას რომ ირთავდა ჭიაბერი, ეს ახელებდაო მეფეს. მამამზე შეემუდარა ტოხაისძეს, მხოლოდ იმისთვის ეცოცხლათ, ჭიაბერის სისხლი აეღოთ. ტოხაისძემ დაიფიცა წინაპართა საფლავები, გველივით წავაცლიო თავს მეფე გიორგის.

ენიშნა მამამზეს სიზმარი.

მეორე დღესვე კოლონკელიძესთან აფრინა შავლეგ ტოხაისძე. ჯერ ხატების შემუსვრას დაიწყებდა კვეტარის ერისთავი, მერე არაგვის ხეობაში გადავიდოდა, საერთო ძალით შემოენყობოდნენ უფლისციხეს და მცხეთას.

თავის ასულს, კატაის, შავლეგ ტოხაისძეს მიათხოვებდა მამამზე.

კვეტარის ერისთავს, თალაგვა კოლონკელიძეს, ძალად ეთაყვანებინა ფხოვნი და დიდონი, მათ აჰყვნენ ძურძუკნი და ლალანი. არაგვის ხეობაში შეჭრილიყვნენ საერთო ჯარით. ციხეებს შემოსწყობოდნენ, უბრძოლველად გაეტეხათ. ყველგან შინაკაცები ჰყოლოდათ, წარმართთაგანნი.

შესეოდა კოლონკელიძე არაგვის ხეობას, ეკლესიები გადაებუგათ, ხატები შეემუსრათ, ხუცნი და ბერნი სამრეკლოზე დაეკიდნათ თოკით, ბორცვებზე ბომონები აღემართათ კვლავ, ღამეები ეთიათ კერპებისათვის, ძენი და ასულნი შეენირათ უძველესი წესისამებრ.

თალაგვა კოლონკელიძის მხოლოდმობილი ქალი, პირმშვენიერი შორენა, აკვანშივე დაენიშნათ ჭიაბერზე.

კვეტარის ერისთავი დააფიქრა სასიძოს სიკვდილმა, ყელზე საბელი მოიბა, კალთები დაუკოცნა კათალიკოსს, ლუსკუმას ემთხვია.

ჭიაბერის სიკვდილით დაშინებულნი, წუთი-წუთზე ელოდნენ კოლონკელიძის სიკვდილს. შეუყლალდა საფეთქლები თალაგვას, წვერი გაუჭაღარავდა, უცნაურად მოტყდა, დაშინდა. პაპისეული



ლოცვანები გამოჩნრიკა, დილასა და საღამოს კითხულობდა, იზეპირებდა ფსალმუნებს, ხატებით მორთო კარის ეკლესია. ფხოველნი განცვიფრებულნი იყვნენ, ძველისცხოვლის რისხვას რომ გადაურჩა კოლონკელიძე. თავად ერისთავი ნუგეშობდა, ალბათ, ყელზე საბლის შებამა გამამარჩინაო.

როდესაც მამამზემ ტოხაისძე აახლა და ძელიცხოვლის სასწაულის არსი აუხსნა, კოლონკელიძემ კვლავ შემოიყვანა დიდოთა და ღიღღოთა ლაშქარი ფხოველში, შემუსრა ხატები და ჯვრები, დანვა ეკლესიები, ბერ-ხუცესნი სამრეკლოებზე დაკიდა, ქარაფებიდან გადაყარა ზოგიც.

ოჩანის ციხის აღებამ, დიდოთა ლაშქარის უკუქცევამ, კახაის მიერ ფხოვის მთების ჩაკეტვამ, ფოლადისმკვეთელმა ჯავარდნებმა შიშის ზარი დასცა თალაგვას, მაგრამ დამშვიდდა, როდესაც უფლისციხიდან დაბრუნებულმა მალემსობოლმა აუწყა, კვეტარს ტაძრეულითა და ამალითურთ მობრძანებოა გიორგი მეფე, მძევლებსა და ზავის პირობის შეკვრას ბრძანებს, რათა შემდეგ, საერთო ძალებით, გაილაშქროსო კახეთ-ჰერეთის ქორეპისკოპოზის წინააღმდეგ.

კოლონკელიძემ იცოდა, უშიშარი იყო გიორგი, „ვითარცა უხორცო,“ მაგრამ ეს – გარეშე მტრებთან ომებში, ხოლო საერისთავოებში სისხლისღვრას გაურბოდა იგი. ზვიადი მუდამ სისასტიკეს მოითხოვდა, მაგრამ მელქისედეკ კათალიკოსი მხარს უჭერდა სათნო თათბირით მეფეს.

იფიქრა კოლონკელიძემ, ზვიადმა დალაშქრა ფხოვი, დიდონი უკუაქცია; მეფე სისხლისღვრას ერიდება, შემირიგებსო უთუოდ. აკი აპატია პირველი ამბოხი, ძელიცხოვლის სასჯელი აკმარა.

თალაგვა „ამოდ შესაყრელი კაცი იყო – ტანმორჩილი, ტანხმელი, მშვენიერი ვაჟკაცი. ნვერი გაჟღალეობდა ოდნავ, მაგრამ ჭაბუკური იერი გადაჰკრავდა სახეზე, თაფლისფერ თვალთავან გა-მოჰკრთოდა სიჭაბუკის ცეცხლი.

როცა კოლონკელიძე ცხენოსნობაში ებაექრებოდა შორენას, და-ძმას უფრო ნააგავდნენ ჯირითში ისინი, ვიდრე ხუმრობით გაჯიბრებულ მამა-შვილს“.

გუმანი ჰქონდა, მეფე ფარულად ეტრფოდა შორენას. აღარ მოსწონდა უკვე მამამზე ერისთავისა და ტოხაისძის მოძალეობა. თუ გიორგი მართლაც გაეყრებოდა ცოლს და კოლონკელიძის ასულს შეირთავდა, თალაგვა მზად იყო, ჰერეთის ქორეპისკოპოზთან ომში დახმარებოდა ხელმწიფეს.

მეფესთან დამოყვრება ახალ ასპარეზს აღუთქვამდა თავმოთნე ერისთავს.

გიორგიმ ზავის პირობა მისცა კოლონკელიძეს, „სამარადჟამოდ დაურღვეველი და კვეტარის ერისთავის შეუვალობა სრული“.

მაგრამ როდესაც კვეტარში, ნადიმობისას, ზვიადი სპითურთ შევიდა დარბაზში, ხელმწიფემ ეს უთხრა შენდობის მავედრებელ, ღანვებდახოკილ გურანდუხტს, ომში სპასალარია მბრძანებელი, მე არას მკითხავსო ზვიადი.

ტფილისელმა ჯალათმა, საღირამ, გავარვარებული რკინის ფირფიტებით დასწვა თვალეები კოლონკელიძეს. გასაოცარი სიმამაცე გამოიჩინა კვეტარის ერისთავმა, ერთხელ დაახველა მხოლოდ. ერთ ნუთში დაუსივდა და გამოეცვალა სახე, უკვე აღარ ჰგავდა თაფლისფერთვალა ერისთავს.

ზვიადის ბრძანებით, დააქციეს ოთხივე გოდოლი. მეფემ ერთადერთი სათხოვარი შეუსრულა გურანდუხტს – დაურღვეველი დატოვეს თავადციხე, რათა თვალდაბნელებულ ერისთავსა და მის თანამეცხედრეს იქ დაელიათ სიცოცხლის დღენი.

მსტოვართ უამური ამბები მოეტანათ ფხოვიდან – კვეტარის საბრძოლო გოდოლთა მშენებლობას კვლავ შესდგომოდნენ ხევისბერნი. კოლონკელიძე ვერაფერს ხედავდა, მაგრამ ისე იქცეოდა, თითქოს სმენაც წართმეოდა. ნაჰკიდებოდა მამამზეს. კიდეც რომ აჯანყებულიყვნენ ფხოველნი, მამამზე და ტოხაისძე არ მიეშველებოდნენ. დიდონიც გადასდგომოდნენ.

კარგად იცნობდა გიორგი კოლონკელიძეს – თუმც ცოლ-შვილი მცხეთაში ჰყავდა მძევლად, თავანყვეტილი ერისთავი უდიდესი განსაცდელის წინაშეც არ დაიხვედა უკან. ურჩევდა ზვიადი მეფეს, ლაშქარი დაუყოვნებლივ წარვგზავნოთ ფხოვს, კოლონკელიძე შევიპყროთ, თავი მოკვეთოთ მოღალატეს, სანამ მამამზესა და ტოხაისძეს შეირიგებდეს; შვიდივე ხევისბერს: მუროჩი ქალუნდაურს, მამუკა ბალაჩაურს, მარტია ბალათაურს, ზეზვაი მისურაულს, ბერდია ბებურაულს, უშიშა ლუდუშაურს, შიოლა აფხანაურს ახლავე ვასნავლოთო ჭკუა.

შეფიქრიანებულიყო გიორგი – შორენა დიდად გამბედავი და თავნება დიაცი იყო. დაბრმავებული ერისთავის სამკვიდროს დალაშქვრა თუ საჭირო შეიქმნებოდა, ვინ იცის, რას მოიმოქმედებდა თვალდამწვარი მამის მხოლოდშობილი ქალი?!

შორენა სულ ნაღვლობდა, რად არა მყავსო ძმები. ძმები რომ ჰყოლოდა, ისინი იძიებდნენ შურს. შვიდ ხევისბერს შეჰპირებოდა წყაროს თვალის წმინდა გიორგის დღეობაზე ფხოველში ასვლას, ლაშქრის სათავეში ჩადგომას. არსაკიძეს გამოუტყდა, იქ დაველოდებოო ზვიადის ლაშქარსა და სიკვდილს.

ჟამმა დაარღვევინა პირობა...



ზვიადმა რომ დაასწრო კოლონკელიძეს და თვალები დასთხარა, მერეღა ნანობდა ტოხაისძე, რად არ მოვწამლეო მეფე ქორსატეველას ციხეში საუზმობისას. მონამლული ღვინო მზად ჰქონდა, მაგრამ გამბედაობამ უღალატა, რადგან ერჩია სხვისი ხელით მოგლეჯა ნარისა.

შორენა ოსებს გაატაცებინა მამამზემ, ვასწავლი, როგორი გლოვა ეკადრებაო ჭიბერის სას-ძლოს. ქალის სანმერთული ციხის ზეთავზე გამოჰკიდა ტოხაისძემ. ეს გამომწვევი თავხედობა მამამზე ერისთავისაგან ომის საბაბის ძიება იყო მხოლოდ. გადაწყდა, სამეფოს სპათა დაერღვიათ ქორსატეველას ციხე, მესახსოვრეც არავინ დარჩენილიყო მამამზეს ოჯახიდან.

ოსთა ჯარით შეუტია ტოხაისძემ გიორგის. მეფის ბრძანებით, ზვიადმა კაცი მიუგზავნა მამამზეს, ამოდ ნუ დაგვალვრევენებო სისხლს, კიდეც ერთხელ მოგიტევებთო განდგომას ბაგრატ კურაპალატის სიყრმის მეგობარს, თავადციხეც შეგრჩებათო სიბერის ჟამისთვის.

მარიამმა დაგვიფიცოსო მაცხოვრის ხატზე, ითხოვა მამამზემ. დედოფალი ავად ყოფილიყო. ბოლოს შედრკა ერისთავი, მიტევება ითხოვა თავისთვის, ოსთა და წანართა აზნაურთათვის. ციხის პატრონად უნდა შერაცხულიყვნენ კატაი და მისი ქმარი, შავლეგ ტოხაისძე. კოლონკელიძის ასული ოსთა მეფის უმცროს ვაჟს, ვარაზს უნდა გაჰყოლოდა ცოლად, კვეტარი მზითვად რგებოდა შორენას..

ზღუდიანად დაარღვიეს ქორსატეველა „სამეფოს სპათა“.

თავი მოჰკვეთეს მამამზეს, ტოხაისძეს საბელი მოახვიეს მარყუჟად, ცხენებს გამოაბეს საბელი და თავი წაანყვიტეს სახლთუხუცესს...

\* \* \*

„ნათესავი (მოდგმა) ქართველთა ორგულ-ბუნება არს პირველითგანვე (იმთავითვე, თავიდან-ვე) თვისთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქდნენ და დიდება პოონ და განსუენება, ინყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მათიანე და საქმენი ან ხილულნი“ **(ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 359).**

\* \* \*

„(შორენას მსგავსად), თალაგვა და მამამზეც არ იცის ჩვენმა ისტორიულმა წყაროებმა, თუმცა უამრავი ცხოვრებისეულ-ისტორიული პროტოტიპი მოქცევა მათ.

ბაღვაშები, ტბელები, ძამელები, აბულეთისძეები – ყველა მოღალატე ფეოდალის თვისებები გააერთიანეს ამ პერსონაჟებმა.

თვით კოლონკელიძეთა ფეოდალური საგვარეულო გიორგი პირველის შემდეგდროინდელია. იგი მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩანს. ამ გვარიდან ორი პიროვნებაა ცნობილი. ესენია ჰერეთის ერისთავები ვარდანი (გიორგი III-ის დროს) და საღირი (თამარის დროს). გამოთქმულია მოსაზრება კოლონკელიძეთა გვარის სოფ. კოლონკეთის სახელწოდებიდან მომდინარეობის შესახებ (დ. მუსხელიშვილი). *კოლონკეთი ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით მდ. მეჯუდას ხეობაში მდებარეობდა (მდ. ახალგორისა და გორის რ-ნებში).*

კვეტერის ციხე-ქალაქი (და არა საერისთავო) წყაროებში XI ს.-ის შუაწლებიდან (ე. ი., რომანში აღწერილი ამბების შემდეგ) იხსენიება. იგი კახეთის ერთ-ერთი ცენტრი იყო. ვახუშტი ბაგრატიონი მიიჩნევს, რომ კვეტერა VIII ს.-შიც უნდა არსებულიყო (ამ მოსაზრებას არქეოლოგიური გათხრებიც ადასტურებენ) **(რ. მეტრეველი, „და მოვიდეს ვარანგნი..“. თბ., 1988, გვ. 173).**

საქართველოს ისტორიამ იცის *მეცამეტე საუკუნის* ათიან (და არა მეთერთმეტე საუკუნის 10-იან-20-იან, როგორც რომანშია) წლებში **ფხოველებისა და დიდოელების გამოსვლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ.** ეს დიდი აჯანყება იყო, რომელიც სამი თვე გაგრძელდა და სამეფო ხელისუფლების ძალების აქტიური ჩარევით იქნა ძლეული“ *(იქვე, გვ. 169).*

## მელქისედეკ კათალიკოსი

მელქისედეკ კათალიკოსი ნაწყენი იყო გიორგიზე, რადგან მეფე ბაგრატ კურაპალატივით გულმოდგინედ არ ექცეოდა სარწმუნოების საქმეებს. იდუმალ ქირდავდა ხელმწიფეს ცხრატბის ცოტა-ერისთავებისათვის თავის მოკვეთის გამო – სტუმარი ღვთისააო, სჯეროდა მელქისედეკს, როგორც ქართველ ხალხს ოდესღაც; რად გასწირაო სტუმარი ქრისტიანმა მეფემ.

კათალიკოსი არწმუნებდა მეფეს: „არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილისა აღება, ხამს სახარებითა და პატიოსნითა ჯვრით უჩვენოთ გზაი ქრმმარტი განდგომილთა, რამეთუ ძელიცხოვე-

ლის ჯვარი პატიოსანი არს მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ და ძალმან მისმან განანათლოს ბნელი იგი გულთა მათთა“... (მელქისედეკი ქვეგამხედვარ ერისთავებზე ბრძანებდა).

მოხუც კათალიკოსს სჯეროდა: „**თუ გსურს, ზეგავლენა მოახდინო ერზე, იგივე უნდა სჭამო, რასაც მრევლი სჭამს, და ისევე ჩაიცვა, რაც მას აცვია. სხვა მხრით, უნდა ეცადო, რაც შეიძლება, ნაკლებად ეჩვენო ხალხს – თვალს შეგაჩვენონ**“.

იშვიათად ეჩვენებოდა მრევლს, დიდ ხატობებსა და დღეობებზე დასწრებას გაურბოდა, მეფის სასახლეში დიდ დარბაზობას ერიდებოდა ისეთ დღეებში, როდესაც სხვა ქვეყნების დესპანები, მეფეები ან ერისთავები მიდიოდნენ ხოლმე. დიდ აზნაურთა სახლებში გამართულ ნადიმებსა და ქორწილებს არასოდეს დაესწრებოდა. აზნაურთა შორის მომეტებული მწვალებლებად და მკრეხელებად მიაჩნდა.

ეკლესიიდან გამოსული უბრალო ბერის ჩოხას იცვამდა ჯვალოსას.

ბერებისა და მორჩილების თვალწინ მიირთმევდა მხალეულს.

ფრიად არ მოსწონდა „საეჭვო უსჯულოს“, ფარსმანის, ყოფნა მეფის კარზე. ჯერ კიდევ ბაგრატს აუხირდა მელქისედეკი ამ „წარმართის“ გამო, მოანათვლინა ორმოცდახუთი წლის კაცი. დიდხანს ეძებდა საბაბს, რათა მცხეთიდან მისი გაძევება მოეთხოვა. თავს იკავებდა თანაც – ჯერ სხალტბის ეკლესია არ მოეთავებინა ფარსმანს.

ნაადგომევეს მამამხეს საერისთავოში წასვლა განეზრახა კათალიკოსს. ავადმყოფობა მოძალეული ჰქონდა, მაგრამ, სისხლისღვრის ჩამოვარდნას, წასვლას არჩევდა. ამინაშატის ხატი მამამხესათვის, ძელიცხოველი ჭიაბერისათვის უნდა მიერთმია, სასტიკად გაეფრთხილებინა ორივე, კავშირი გაენწყვიტათ კოლონკელიძესთან, ქრისტეს სჯულს დაბრუნებოდნენ.

საერისთავოში მიმავალი კათალიკოსი ოქროს ზანზალაკებით მორთულ ჯორზე იჯდა და მიდიოდა ბზის ტოტებით მორთულ გზაზე (შდრ. იესოს დიდებით შესვლა იერუსალიმს).

ჭიაბერი ზიზღნარევი ძრწოლით შესცქეროდა კათალიკოსის დალეულ, ავადმყოფურ სახეს, ღილივით წვრილსა და ციმციმა თვალებს.

მამამხე სამგზის წაბრძანებულიყო მცხეთას კათალიკოსის სანახავად და სამგზისვე ხელი მოსცარვოდა. მელქისედეკი ხან უფლისციხეს აღმოჩნდებოდა წასული, ხან არტანუჯს ეკლესიების აღსაშენებლად.

ქორსატეველას ციხეში კათალიკოსის ჩასვლამ და ჭიაბერის სიკვდილმა თავზარი დასცა კავკასიონის წარმართებს. ქრისტიანნი წელში გასწორდნენ. ხმა გავრცელდა: ძელიცხოველი მობრძანდებო მელქისედეკის თანხლებით, კერპები და ბომონები ცამტვერდებიანო.

კათალიკოსი არ იყო სასტიკი. მთელს საქართველოში სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, როგორც ეკლესიათა მშენებელსა და უებრო ასკეტს.

ჭიაბერის ქელესს დაესწრო მელქისედეკი. ოსური არ ესმოდა, მიტომაც არ გაუგონია ჭიაბერის გამზრდელის, მოხუცი თაყაის, მიერ ძელიცხოველის გამობა.

კათალიკოსმა გზა განაგრძო, გუდამაყარს გადავიდა. ფურცლოვანი ტყეები მოთავდა, ქორისფერი ქორედები ლაყვარდს მიბჯენოდნენ.

მელქისედეკი დაკეტილ ეკლესიებს ხსნიდა, მოწესებებს ადგენდა, ბავშვებს ნათლავდა; „მიჰყვებოდა შემრეცილ ბილიკებს“. ორგზის დაუვარდა ჯორი, მესამეც სულს ლაფავდა.

კვეტარის საერისთავოში გადასულს ფეხქვეშ ეგებოდა შემოჯარული ბრბო.

თუ ზვიად სპასალარი მუდამ სისასტიკეს მოითხოვდა, სათნო თათბირით მელქისედეკ კათალიკოსი უჭერდა მხარს მეფეს.

კათალიკოსს დიხაც არ მოსწონდა გიორგი მეფის დაკავშირება სარკინოზების ხალიფასთან, არც ბიზანტიასთან მტრულ დამოკიდებულებას იწონებდა.

მელქისედეკი გარეგნულად ანგარიშს უწევდა გიორგის, მაგრამ ქრისტეს მოსაყდრეს ურყევად სჯეროდა, რომ „**მეფე ქვეყანასა ზედა ხელმწიფე არს, ხოლო ქრისტე – ზეცისა, ქუეყანისა და ქუესკნელისა**“ (შდრ. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“).

ქართული ლაშქრის მიერ ოლთისის ეკლესიის შემთხვევით გადაწვას ყოველ წელს ხელახლა შეახსენებდა ხოლმე კათალიკოსი მეფეს. ხან მის ურწმუნოებას აბრალებდა მელქისედეკი მომხდარს, ხან ხალიფა აღ-ჰაქიმის „წარმწყმედელ ზეგავლენას“.

ოლთისის სანაცვლოდ, სამი საყდარი ააგებინა კათალიკოსმა გიორგის სამცხეში. ერთი მათგანი მეხმა დააქცია, ორიც მიწისძვრამ იმსხვერპლა ზედიზედ. მიწისძვრამვე დააქცია აღდგომა დღეს სვეტიცხოველი, აბულ-ყასიმის მიერ იავარქმნილი პირველად.

ახლა ეს ეწადა მელქისედეკს – ოლთისის უნებლიე გადაწვის ცოდვის მისატეველად სვეტიცხოველის აგების ხარჯი ეკისრა გიორგის.

ფარსმანის გეგმა უარყო კათალიკოსმა, არ სწადა, ტაძარი ირანული ალეგორიებით ყოფილიყო გადატვირთული. ბიზანტიელ ხუროთმოძღვართა გეგმები გიორგიმ დაინუნა, ბასილი კეისრის ფრესკამ ალაშფოთა, მაგრამ მოხუც მელქისედეკს ვერა შეჰკადრა რა, მდუმარედ გავიდა დარბაზიდან.

სხვა ოსტატთა ძებნას შეუდგა კათალიკოსი.

მეფის ხელდასხმით, კონსტანტინე არსაკიძემ შექმნა ნახაზი სვეტიცხოვლისა. კათალიკოსმა თავისი გაიტანა – სამნავიანი უნდა ყოფილიყო ტაძარი, სამი ეკლესია უნდა გამართულიყო მასში: ოლთისისა, ქართული ლაშქრის მიერ ანაზდეულად გადამწვარი, ორიც – სამცხისა, ფარსმანის მიერ ნაგები.

სიმაღლე სვეტიცხოვლისა სიგანეზე ორჯერ მეტი უნდა ყოფილიყო.

ცისკენ თავაშვერილ მამალს ამსგავსებდა კათალიკოსს ფარსმან სპარსი.

„რა საოცარი არსებაა მანც მამალი! იგი ერთადერთია ცხოველთა შორის, რომელიც ცისკენ იყურება მუდამყამს. მზისა და სიკვდილის მოახლოების მაცნეა მამალი, ღამესთან მორკინე და მარადყამს ღამისმთეველი. ლომსაც კი აფრთხობს მისი უცნაური ყივილი“.

„რალაც უჯიათი შეუმუსვრელობა გამოსჭვიოდა ხორცდაშრეტილი ბერის ჩონჩხადქცეულ ანაგობიდან. ტირანული სისასტიკე განრთხმულიყო ძარღვებდაბერილ შუბლსა და ენერგიულ ღანვისთავეებს შორის, ციმციმებდნენ ტიარის (გვირგვინის) ალმასები, ვარვარებდა ოქროს ომფორი (მხართმოსახვევი) უამრავი სანთლის ერთობლივ ლიცლიცზე“.

იდგა მელქისედეკი ამაყად, თავანუელი და გაუდრეკელი, როგორც სეფედროშა გამარჯვებული ლაშქრისა.

მწუხრის ქადაგებისას იაკობის ღმერთთან შერკინებას ეხებოდა კათალიკოსი. მონესეებსა და მღვდლებს ჰმართებთო სწორად განმარტება ამ ადგილისა, რადგან მკრეხელნი და მწვალებელნი თავისებურად ხსნიანო მას. ამქვეყნიური პატივითა და დიდებით გულმოცემულნი, ღმერთს უტოლებენ თავს, ღმერთთან შერკინებას მიეღვიანო. ამ საცოდავთ ავინყდებათ, ბარკალი რომ მოსტეხაო ღმერთმა იაკობს, თავის უფალთან მორკინეს... სასტიკი გამომეტყველება ჰქონდა მელქისედეკს თხრობისას.

კათალიკოსი და დედოფალი ისე გაიტაცა ბიზანტიასთან სჯულის ერთობამ, საქართველოს მტერს როდი ხედავდნენ კეისარში, არამედ ქრისტიანული სამყაროს უზენაეს არსებას, რომელიც მხოლოდ ღმერთს უთმობდა პირველობას.

ცვილისფერი ედო კათალიკოსს, მდოგვის ფესვებივით წვრილი, ცისფერი ძარღვები მიიკლანებოდნენ ღანვისთავეებიდან საფეთქლებისაკენ.

ზვიად სპასალართან საუბრისას წარმოჩნდა ტკივილი კათალიკოსისა: „ნეტარ არიან იგინი, ვისაც სიკვდილი უმაღ უწევს, ვიდრე საკუთარის თვალით იხილავდნენ სამშობლოს თვისის იავარყოფას, ვინც გულმართალ წინაპართა აჩრდილებს შორის ღანდადქცევას არჩევს გადაშენების გზაზე დამდგარ თანამემამულეთა წიაღში ყოფნას. ვაი მათ, ვისაც იერემიასებრი გოდება წილად ჰხვდეს, სამშობლოს თვისის დარღვეულ გოდოლთა და ნაცინხართ შორის... უსჯულოება მოძალებულ არს საქრისტიანოსა ზედა. ასეთ დროს სჯულის სიმტკიცე და ზნეობის სისპეტაკე თუ ვერ შევინარჩუნეთ, ვერას გვიშველის ციხეები, ველარც ცეცხლისმფრქვეველი ხმლები გაანყობენ რამეს... ყოველთა დამბადებლისა და ყოვლისმხილველის თვალი სუფევს ყოველგან და მდოგვის მარცვალის ვერსად დაეცემა თვინიერ ნებისა და ხედვისა მისისა“.

დიდი მოამაგე იყო მელქისედეკი სვეტიცხოვლისა, მაგრამ, ჟამიდან ჟამზე, ხელს უშლიდა არსაკიძეს. ფარსმანის მაგალითით დაშინებულს ყოველ წვრილმანში „წარმართობა“ ელანდებოდა; უნებლიეთ ებრძოდა ქართულ მოტივებს, ბიზანტიურ მკვდარ სქემებზე შეყვარებული. იჭვნულად შესცქეროდა არაქრისტიანთ ოსტატთა შორის. უნიჭო ქრისტიანი ერჩია ნიჭიერ ირანელს, ან სარკინოზს. არსაკიძეს ახელებდა კათალიკოსის უთავჯამო მითითებანი. მუდამ სძაგდა ისეთი ოსტატები, პირჯვრის წერის მეტი რომ არა ესწავლათ რა.

როდესაც წელმონყვეტილი ხუროთმოძღვარი მოიკითხა კათალიკოსმა, შინ ეწვია სნეულს, განცვიფრდა ოსტატი, რა სათნო ყოფილაო მელქისედეკი. ტკბილად შესაყრელი და ამოდმოუბარი ერჩენა საერთოდ ბუზლუნა და ჭირვეული მოხუცი. საქმიანობაში აუტანელი იყო კათალიკოსი, მწვრილმანე. კირითხუროებს, კალატოზებსა და მონებს მეხვიით ემინოდათ მისი.

როცა კათალიკოსი მშენებლობის დასახედად ჩამოივლიდა, ორ ათასამდე მონა ისე გაიტვირინებოდა, ალაღმა ჩაუქროლაო ნიბლიების გროვას. არავინ იცოდა, როდის, რომელი ჭიპკრიდან შემოვიდოდა ჯვალოსსამოსიანი მოხუცი. უბრალო ბერისაგან ვერავინ განარჩევდა უბრალოდ მოსილს. როცა უფლისციხეში დაიგულებდნენ, სწორედ იმ დღეს გამოჩნდებოდა სვეტიცხოვლის ეზოში.



თრითინასავით დაძვრებოდა ხარაჩოებზე მუხლებდასიებული.

სვეტიცხოვლის კურთხევისას მელქისედეკის ყოველი სიტყვა მტკიცე იყო, როგორც ფოლადი. **„დაუფლა იგი სპილენძით მტკიცესა და თრიაქით დამათრობელ, სალმასურის ჯაჭვით ელვარე ქართულ სიტყვას და შეატოქა იგი აგრეთვე მშვენიერსა და აგრეთვე ვაჟკაცურ ბერძნულს. ყოველი ერი თავის ქვეყანაში უნდა სცხოვრობდეს, ყოველი ხალხი თავისუფალი უნდა იყოსო, როგორც ღმერთი“.**

წმინდა გიორგის შეავედრა ოვსთაგან დაჭრილი დიდოსტატი; სვეტიცხოველს შესწირა სოფელნი კლარჯეთს, ჯავახეთს, ტაოს, ქვემო ქართლს. მოატანინა ტაძრის სამკაულნი, საკითხავნი, მატანენი, საკელაპტრენი – ოქრო-ვერცხლით ნაჭედნი, ძვირფასი თვლებით შემკულნი.

თავად დაწერა სიგელი, ყოველი საბადებელი აღნუსხა წვრილად და გაუგონარი სიმკაცრით დაწყველა ყველა, „ვინცა რამამანცა კაცმან რაიცა დააკლოს და შეცვალოს“.

როდესაც შეიტყო, მკრეხელური სურათი (იაკობის შერკინება ღმერთთან) დაუხატავსო სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარს, წარმართობის შიშმა წამოუარა და ხელი აიღო არსაკიდის დაცვაზე...

\* \* \*

მელქისედეკ I საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იყო 1010-1033 წწ.

„მატიანე ქართლისაში“ ვკითხულობთ: „მოკვდა კათალიკოზი სვიმონ და დასვა ამან მეფემან (ბაგრატ III-მ) დიდებულთა კაცთა შვილი მეყვისი (თავისიანი) და გაზრდილი თვისი მელქისედეკ კათალიკოზ-პატრიარქად“... (ქართული პროზა, ტ. 3, თბ., 1982, გვ. 87).

მელქისედეკი ბასილისაც სწვევია. მიუღია „შესამკობელნი ეკლესიათა, ხატნი და ჯვარნი და... ყოველი სამღვდელო სამკაული“ (იქვე, გვ. 92). დიპლომატიური მიზნით არაერთგზის ყოფილა კონსტანტინოპოლს.

მის სახელს უკავშირდება საქართველოში პატრიარქობის დანესება.

დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში (ქსე, ტ. VI, თბ., 1983, გვ. 561).

## მარიამ დედოფალი

ადრე მოსწყინდა მეფე გიორგის დარბაზობის გრძელი ცერემონიები და ხელმწიფის კარის გარიგების სასტიკი ეტიკეტი. ჯერ მზრდელის, შემდეგ მარიამ დედოფლის და მელქისედეკ კათალიკოსის მოსაწყენი შეგონებანი: მეფე ხარ და ხამს... მეფე ხარ და გმართებს... მეფე ხარ და გევალებს... ასეთ წუთებში მეფედ არყოფნას ნატრობდა გიორგი.

ჯერ კიდევ ყრმას შეაჩერეს დედოფალი მზრდელმა და მელქისედეკმა ისე, როგორც მდაბიორს მიუგდებენ მეზობლიანათ თხუპნიას... არ ეგემნა მიუწვდომელი სიყვარულის ტკბილი ბადაგი.

მარიამ დედოფლის ოცნება ეს იყო: მთელი საქართველო ეკლესიად და მონასტრად ექცია, არა მარტო საქართველო და სომხეთი, მთელი ქვეყანა.

აფხაზეთიდან ახლად ჩამოსულს ამბავი დაახვედრეს, მეფემ და კათალიკოსმა ახალგაზრდა, ქრისტიანი ლაზი დაანინაურესო. ფრიად გაიხარა.

მარიამ დედოფალს ფრიად აფასებდა მელქისედეკი, „ვითარცა წმიდათა სწორსა და ეკლესიათა დიდ მოამაგეს,“ მაგრამ აზნაურებს სძაგდათ ეს „სომხის ქალი“.

მეფის გულარძნილობას მდულარე ცრემლით შესჩიოდა მარიამი კათალიკოსს, ბედიის მონასტერში მონაზვნად აღკვეცა გადაეწყვიტა.

ზვიადს აუწყა მელქისედეკმა: „მარიამ დედოფალს წმინდანად შეჰრაცხს ეკლესია საქართველოისა ოდესმე, მაგრამ ამჟამად მონაზვნად აღკვეცა მისი უთუოდ საზიანო იქნებოდა სამეფოისა ჩვენისათვის“.

მარიამს არც დიდაზნაურები უყვარდა, არც ქმრის ნათესავი რომელიმე.

სომეხთა მეფის ასულმა სასახლეში აფხაზთა მეფეებისათვის სავსებით უცხო, ასკეტური სული შემოიტანა.

აძრწუნებდა წმინდა ხატის სასახლიდან გაპარვა, უბედურების მაცნედ მიაჩნდა ეს ამბავი; თაყვანი სცა ნოკორნას დაბრძანებულ ხატს.

გირშელზე ამყარებდა უკანასკნელ იმედს – თუ ყველისციხის პატრონი კოლონკელიძის ასულს შვირთავდა, გიორგის გულარძნილობასაც ჰშველებოდა იქნებ რამ.



მარიამი გამუდმებით ადევნებდა თვალს არა მარტო რელიგიურ რიტუალთა სასახლეში დაცვას, არამედ ეკლესია-მონასტერთა ყოფას, მღვდელმთავართა, ეპისკოპოსთა, მონესეთა ზნეობას.

დედოფლის ყოვლისმხედველი თვალი და ყოვლისმსმენელი ყური ეზოისმოდღვარი ამროსი იყო, იგი უთვალთვალებდა არა მხოლოდ სამღვდლოთ, თავად მეფეს, ვაზირებს, ერისთავებს.

მარიამი და მელქისედეკი ისე გაიტაცა ბრმადმორწმუნობამ, რომ ისინი საქართველოს მტერს როდი ხედავდნენ ბასილი კეისარში, არამედ ქრისტიანული სამყაროს უზენაეს არსებას, რომელიც, ვითარცა რომის იმპერატორი და „პონტიფიქს მაქსიმუმ“, მხოლოდ ღმერთს უთმობდა პირველობას ამქვეყნად.

სპასალარი ამჩნევდა: რალაც დიდი უსიამოვნება მოსვლოდათ მეფესა და დედოფალს.

სიგამხდრეს კიდევ უფრო გაემალლებინა ისეც ახოვანი, პირხმელი ქალი, ფერგამკრთალი ჩანდა და სახეგამშრალი. ჩინური, შავი ფარჩა ეცვა. დიდრონი ალმასების მანიაკი (*მძივი*) ირისეს დარად (*ირისე – ბერძნ. ცისარტყელა*) უთიმთიმებდა ყელის გარშემო. წვრილსა და გრძელ კისერზე უცნაურად დაბერილი, ენერგიული ძარღვები მოუჩანდა, რისხვიანად უელავდნენ წამოსივებული თვალები.

ჭარბად წაცხებულ უმარილს ვერ დაეფარა ჩიტის ნაფეხურივით წვრილი, წვრილი ნაოჭები, ფართო და სევდიანი თვალების გარშემო მომდგარი. სუფრასთანაც კი ისე სადილობდნენ დედოფლის თანდასწრებით დიდებულნი, თითქოს ერთურთს ემდუროდა ყველა.

შორენამ იცოდა გიორგის „გულარძნილობის“ ნამდვილი მიზეზი – კოლონკელიძის ასულს იდუმალ ეტრფოდა მეფე.

არსაკიძეს გამოუტყდა შორენა: „მეცოდებოდა დედოფალი, ისე, როგორც დიაცთაგანს შეებრალეა ხოლმე მეორე. არც სხვის უბედურებაზე აგებულ ბედი მინატრია ოდესმე“...

წმიდათა სწორი დედოფალი მარიამი, ტაძრის დიდი მოამაგე, ავად გამხდარიყო იერუსალიმს გამგზავრების კვირადღეში, როგორც მელქისედეკმა აღნიშნა სვეტიცხოვლის კურთხევისას.

გურანდუხტს იდუმალ გამოსტყდომოდა მეფე, როგორც კი იერუსალიმს გაემგზავრება დედოფალი, მეორე დღესვე შევირთავო შორენას...

\* \* \*

(სუმბატ დავითის ძის „ცხოვრებაი და უწყება ბაგრატიონიანთა“ მოგვითხრობს, რომ მარიამი „**ნაშობი იყო ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა მეფეთა არშაკუნიანთა**“...

**მარიამ დედოფალი ვასპურაკანის სომხური სამეფოს უკანასკნელი მეფის, სენექერიმ არწრუნის (990-1021წწ.) ასული იყო (სუმბატ დავითის ძე, „ცხოვრებაი და უწყებაი ბაგრატიონიანთა,“ ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები, VIII, თბ., 1990, გვ. 59...67).**

„მატიანე ქართლისას“ ცნობით: „ნარვიდა დედოფალი მარიამ, დედა ბაგრატიისი, აფხაზთა მეფისა, საბერძნეთად ძიებად მშვიდობისა და ერთობისა და კვალად ძიებად პატივისა კურაპალატობისა ძისათვის თვისისა, ვითარცა არს ჩვეულება და წესი სახლისა მათისა, და მოყვანებისათვის ძის ცოლისა... წმინდა გიორგი მთანმინდელი მთარგმნელი თან ახლდა დედოფალს მარიამს...“

და ვითარცა მიიწია საბერძნეთად წინაშე ბერძენთა მეფისა, აღუსრულა ყოველი სათხოველი სიხარულით: მოსცნა ფიცნი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყუარულისათვის, დაუნერნა ოქრობეჭედნი, მოსცა პატივი კურაპალატობისაი და მოსცა ცოლად ბაგრატიისთვის ელენე დედოფალი.

მო-რა-ინია მარიამ დედოფალი მამულსა ძისა თვისისასა, ქვეყანასა ტაოს, მოართვა პატივი კურაპალატობისა; აღასრულეს ქორწილი, უკურთხეს გვირგვინი ბანას.

და შემდგომად მცირედისა ჟამისა მიიცვალა ელენე დედოფალი ქუთათისსა შინა. და შეირთო ცოლად ბაგრატ მეფემან ბორენა დედოფალი, ოვსთ მეფისა ასული, დაი დორლოლელისა“ (**მატიანე ქართლისა, ქართული პროზა, ტ. 3, თბ., 1982, გვ. 94-95).**

### ზვიად სპასალარი

დარბაზობისას ფოლადის ჯავარდენი მხოლოდ ზვიად სპასალარს ერტყა. სპასალარის მოწყენით მღუმარებამ გუნება გაუფუჭა მეფეს.

მხოლოდ ნაახალწლევს აუწყა უსიამო ამბები გიორგის ზვიადმა. სპასალარი გულდინჯი მრჩეველი იყო. ფხოველთა ამბოხის შესახებ წინასწარ უწყოდა.

დამოძღვრა ქვეგამხედვარი მამამზე, ცეცხლისმფრქვეველ მახვილთა ხილვით განცვიფრებული: „გსურს იცოდე, ვინ იყვნენ ის მხედრები, ან ის ხმლები რანი არიან? ეს საიდუმლო მხოლოდ მეფემ

და მე ვიცი, ხოლო ორგულებისათვის მიუწვდომელია იგი. მეფის ბრძანებისამებრ, საერისთაოში გაემგზავრები, შთააგონებ ჭიაბერს და კოლონკელიძეს, მეფის ერთგულებად მოიქცნენ კვლავ, თორემ ჩვენ მოვალთ, ქორსატეველას ციხესაც მივწვდებით და მაშინ გაიგებთ, თუ ის მხედრები ვინ იყვნენ, ან ის ხმლები რანი არიან“.

ზვიად სპასალარი სისასტიკის მომხრე იყო, თავგამოდებით მოითხოვდა მამამზისათვის თავის მოკვეთას, ან თვალების დაწვას. ეს კიდეც ცოტაა. თავად მას, ზვიადს, უნდა წაეყვანა ჯარი, როგორც კი ზვავების საფრთხე გაივლიდა; ჭიაბერის, ტოხაისძისა და კოლონკელიძის თავები მარგილებზე წამოეცვა, ქორსატეველასა და კვეტარის ციხეები ბალავრიანად დაენგრია.

სპასალარი დიხაც მორწმუნე იყო, მაგრამ ჯვრის ძალით დამარცხებული მტერი არსად ენახა ჯერ და ამიტომაც დაჟინებით ურჩევდა მეფეს, სანამ მამამზეს, ჭიაბერს და კოლონკელიძეს თავები ასხიათ მხრებზე, მშვიდობა არ დამყარდებაო. ტოხაისძეს კოჭის ძარღვები დავაჭრათ და ეს ვაკმაროთო სახლთუხუცესს.

ძელისცხოვლის სასწაულის შემდეგ, მეფესთან ერთად, ქორსატეველას ჩავიდა სპასალარი.

„თვით გულმძვინვარე სპასალარსაც ცრემლი მოჰგვარა ღრმად მოხუცებული, უსინათლო თაყაის გულისმომკვლელმა გლოვამ. სიკვდილმა თითქოს წამიერად შეარიგა მოსისხარნი“. მეფე და ზვიადი ოსეთში იყვნენ გაზრდილნი. ეამათ კიდეც, ჭიაბერის მოკვლა ძელიცხოვლის ჯვარს რომ დაუკავშირა თაყაიმ.

როდესაც ტოხაისძემ აუხსნა მამამზესა და კოლონკელიძეს ძელიცხოვლის სასწაულის არსი, ქვეგამხედვართ დიდოთა და ლილვთა ლაშქარი შემოიყვანეს ფხოვში.

გადაწყდა, ზვიადი, სამეფოის სპასთან ერთად, დაუყონებლივ ასულიყო ფხოვს. იცოდა გიორგიმ, გულმძვინვარე იყო სპასალარი, ლაშქარს შეაწყვეტდა მიუვალ ციხეთა აღებას.

უხაროდა ზვიადს, მისი წინასწარმეტყველება რომ აუხდა როგორც გიორგის, ისე მელქისედეკს. სჯეროდა, არ გასწორდებაო კუდი ძაღლისა, არც კირჩხიბი იწყებსო მართლად სვლას.

ზვიადის პირველადი გეგმა ასეთი იყო: ფხოვში შესვლისთანავე მიეღვნა რამდენიმე ციხე, რამდენიმე სოფელი დაენვა, ხევისბერნი მოეშოთ. დაშინებული მოსახლეობა დაუყონებლივ გადასცემდა მძევლებს.

გიორგიმ, მელქისედეკმა და ერისთავებმა არ შეინწყნარეს სპასალარის აზრი, სისასტიკე მხოლოდ გაამწვავებს მდგომარეობას, გამძვინვარებული, გამწარებული მოსახლეობა უფრო გულმოდგინედ ამოუდგებაო კოლონკელიძეს მხარში.

სარკინოზებთან ბრძოლაში გამოცდილმა, ზვიადმა კარგად იცოდა: როცა საიერიშოდ მიმავალ ცხენოსან ჯარს თხრილი ეგულება უკან, ეს უკუქცევის ფიქრს ახშობს მხედრების გულში.

ფხოვში თვით ბუნება წამოეშველებოდა სპასალარს.

ფხოველთა ხევისბერი აბჯრიანად გაკვეთა ზვიადმა. დარწმუნდნენ ფხოველნი, ძვლისა და ფოლადის მკვეთელი ხმლები რომ ჰქონდათ „სამეფოის სპათა“.

რადგან სპასალარმა დაასწრო კოლონკელიძეს, მამამზემ და ტოხაისძემ განრიდება არჩიეს; გადაწყვიტეს, აღარ ემოქმედათ. იცოდნენ, ქორსატეველას მიწასთან გაასწორებდა ზვიადი.

ზვიადი მუდამ სისასტიკის მომხრე იყო, სამაგიეროდ, „სათნო თათბირს“ კათალიკოსი აწვდიდა მეფეს.

როდესაც კვეტარში მეფის სტუმრობისას ზვიადი სპითურთ შეიჭრა დარბაზში, ხელმწიფემ ესლა უთხრა შენდობის მვედრებელ, ღანვებდახოკილ გურანდუხტს, ომში სპასალარია მბრძანებელი, მე არას მკითხავსო ზვიადი.

ერთადერთი, ვისი დასჯისაგან თავს იკავებდა ზვიადი, ფარსმანი იყო. დიდად არც მას ეხატებოდა გულს „უსჯულო წარმართი,“ მაგრამ, როგორც ყოველ საქმეში, სამხედრო მოსაზრება ამოძრავებდა მხოლოდ.

კარგად ხედავდა: რთულდებოდა ურთიერთობა ბიზანტიასთან, „კომნინის შეთქმულებას“ საშინელი დევნა მოჰყვა. ეს ყოველივე ქართველთ დაატყდა თავს.

„კომნინის შეთქმულება“ საქართველოსათვის მოღერილი მახვილის ალესვას მოასწავებდა. ასეთ დროს ფარსმანისათვის თვალების დაწვა არცთუ იოლი გადასაწყვეტი იყო. ეკლესიათა მშენებელი დიხაც მოიძებნა, მაგრამ, მეფისა და სპასალარის გარდა, არავინ უწყოდა, რომ რკინის-მკვეთელ ხმალთა წრთობის საიდუმლოს მხოლოდ ფარსმანი ფლობდა.

არც საქართველოში, არც მთელ წინა აზიაში ფარსმანზე უფრო დიდი მცოდნე ციხეთმშენებლობისა ზვიად სპასალარს არ ეგულებოდა.

გაუმხელელ ზრახვათა შეცნობის დიდოსტატი იყო სპასალარი.

ნიადაგ წუხდა, ოლთისის ომში, პირისპირ შეყრისას, რად არ მოვკალო კეისარი. ცხენდაცხენ

შეეჩება ხელჩართული ბრძოლისას, მაგრამ ვერ შეჰბედა ქრისტიან კეისარს და, მის ნაცვლად, პატრიციუს ბასილისკ კულეიბს აძგერა მახვილი.

ყოველგვარ ენამზეობას მოკლებული იყო კეისარი. უბრალო საუბარიც ძლიერ უჭირდა ბუნებით მდუმარეს. მღელვარებისას წინადადებას უმატებდა „არას“.

უსიამო ამბები მოჰქონდათ ზვიადის მსტოვრებს. კვეტარის საბრძოლო გოდოლთ კვლავ აგებდნენ ხევისბერნი.

სპასალარი ურჩევდა მეფეს, ლაშქარი დაუყონებლივ წარგზავნოთ ფხოვს, კოლონკელიძე შევიპყროთ, თავი მოვკვეთოთ მასაც და ახალი ამბოხის მოთავე შვიდ ხევისბერსო.

ზვიად სპასალარის სიფრთხილე მუდამ გადაჭარბებული ეჩვენებოდა მეფეს – იცოდა, გადაჭარბებულ სიფრთხილეს თან რომ სდევნენ მოჩვენებანი.

ეტყოდა ხოლმე ზვიადს, შენმა მსტოვრებმა თუ მუდამ მართალი თქვეს, შიმშილისაგან ამოსწყდებიანო უთუოდ.

გირშელს ქორსატეველას ალებისას ჯარი არ მიაშველეს მეფემ და სპასალარმა. ყველისციხის პატრონის გმირობის ამბებს იჭვნეულად ისმენდა ზვიადი, გაზვიადებულად ეჩვენებოდა; თანაც, თავადვე სურდა თავადიციხის ალება.

სამაგალითოდ დაასჯევინა მამამზე და ტოხაისძე – როგორც ყოველთვის, „ომში სპასალარი (იყო) მბრძანებელი“.

\* \* \*

*ზვიადი – იგივე ზვიად მარუშიანი, ბაგრატ III-ისა და გიორგი I-ის სპასალარი („მატიანე ქართლისა“), რომელიც 1024-1027წწ. შეპყრობილ იქნა გიორგი პირველის მიერ (იხ. გომარეთის წარწერა – წიგნში ექვთიმე თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსი, ძიებანი და შენიშვნები, IV, თბ., 1913, გვ. 83 (რუს. ენაზე); მ. ლორთქიფანიძე, ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ნ. 3, გვ. 158, 161, 162) (სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, თბ., 1990, გვ. 66).*

*„ზვიად ერისთავი ცნობილი ისტორიული პირია, გიორგი პირველის თანამებრძოლი. მას იხსენიებს „მატიანე ქართლისა“ და სუმბატ დავითის ძე („ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“).*

*ზვიადმა წამოასვენა ტაოში გარდაცვლილი ბაგრატ მესამის (გიორგი პირველის მამის) ცხედარი და ბედიას დაკრძალა: „და წარმოიღო გუამი მისი ზვიადმან ერისთავთ-ერისთავმან, და დამარხა ბედიას“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 283). გიორგი I-მა სწორედ ზვიადი გააგზავნა ბასიანს ბასილი კეისართან მოსალაპარაკებლად. „მატიანე ქართლისაი“ გვამცნობს: „გიორგი მეფემან წარავლინა ზვიად ერისთავი სპითა მისითა და უბრძანა, რაითამცა ზავის მოპყრობითა მცირედ ხანს დაიმჭირვა ადგილსა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 287).*

*სუმბატ დავითის-ძე ამატებს: „და დალაშქრა ზვიადმანცა ამიერ კიდესა ბასიანისასა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 384). ზვიადი ბოლომდე ერთგული და მტკიცე დასაყრდენი ძალაა სამეფო ხელისუფლებისათვის. ასეთია იგი ისტორიულად, ასე დახატა მწერალმაც (რ. მეტრეველი, „დიდოსტატის“ ისტორიული ფონი, წიგნში „და მოვიდეს ვარანგნი..“, თბ., 1988, გვ. 172).*

### ყველისციხის პატრონი (გირშელი)

კოლონკელიძის ასულის საქმროდ გირშელი შეიგულეს.

(მელქისედეკი შორენას ბედიის მონასტერში აღკვეცას მოითხოვდა, რადგან გრძნობდა, ქალისადმი გულგრილი არ იყო მეფე).

სიყრმის შემდეგ არავის ენახა ყველისციხის პატრონი მცხეთაში. შვიდ წელიწადს გირშელი, სამი აზნაურითურთ, ტყვედ ჰყოლოდათ სარკინოზებს. ბოლოს გამოჰქცევოდა გულიამებს, როდესაც ხალიფასთან გადაჰყავდათ ტყვეები.

გიორგის დედის დისწული (დეიდაშვილი), გირშელი, თვით ზვიად სპასალარზეც კი მთელი წყრით იყო მაღალი.

დათვური მოუდრეკლობა მჟღავნებოდა მის მიხვრა-მოხვრაში. ღანვისთავები ნახმლეგებით ჰქონდა დაჩეხილი; ეს ამახინჯებდა მშვენიერ ვაჟკაცს.

როხროხა ხმა ჰქონდა, იშვიათად იცინოდა ფრიად თავმოდრეკილი.

მარიამს სმენოდა, ქალთა სქესს გაურბის გირშელი, ღვინოსა და თრიაქს ეძალეზაო. დაასკვნა დედოფალმა, მაჰმადიანურ ქვეყანაში გადაეჩვეოდაო დიაცებთან მასლაათს.

ყოველი ხე სიყრმეს აგონებდა მეფესთან ერთად სასახლის ბაღში მოსეირნე გირშელს. ამჩნევდა: „მსხლებს ფითრი მოსდებია, ატმებს შტოები შეჰხმობია, კაკლებს ფულურო შესდგომია... ბედნიერი ბაღლობა იჭვრიტებოდა ყოველი ხის ფულუროდან, ყოველი ბუჩქის ძირიდან. ეს უკვე აღარ იყო სიყრმის ღვინის წალკოტი, არამედ ნაღვლისმომგვრელი ბაღნარი სევდისა“.

ლომისფერი ნებიერას მზერისას ლამობდა გირშელი, ამოეცნო სასძლოს ბუნება. იკუნკელიძედ გადანათლულმა, გიორგისთან ერთად ქალაქიდან გასულმა ხალისით მოიგონა სიყმანვილის სიანცენი. ნუხილით უთხრა მეფეს: „ძლიერს უფრო მეტად უჭირსო ამქვეყნად. მიტომაც მუდამ დაღრენილი დადიან ლომები, ვეფხვები და ავაზები, ხოლო თრითინები, თავგები და ციყვები მუდამ მხიარულად დაცუნცულენ. არაბეთში მომისმენია ლომების ბუხუნი. გამოდგებიან უდაბნოში, შემზარავად გრგვინავენ. ამაზრზენია მათი უცნაური გლოვა“.

სიყრმის მეგობრებთან მოქეიფე, უგონოდ დათვრა.

სამაშიც ეჯობებოდა გირშელი დეიდაშვილს. ქარაგმულად უთხრა მეფემ: „ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ ხარირემს, რომელიც საფურცლის ტყეში დასდევს ამ ნუთში თავის ფურს და, სხვა ხარი თუ შეეზიარა, რქებით გამოჰფატრავს მეტოქეს“.

გირშელი ქარაგმულად თქმულს ვერ მიუხვდა.

ეკატანას ვარდს შეადარა ყველისციხის პატრონმა შორენა, გიორგის გამოუტყდა, ძველ-თუძველეს სპილოსძვლისფერ ვარდს მაგონებს, სულ პირველად რომ ჰყვავისო ვარდობის თვეში: „როგორც ენკენისთვის მინურულში თეთრ ყურძენს ამოდ შეაყვითლებს ხოლმე მზვარე, ისე ამშვენებს მუსლიმთა ქვეყანაში ჩადრის ჩრდილი დიაცის სახეს. მუდამ მახელებდა ეს უცნაური სიყვითლე. სწორედ იმ ფერის დიაცები მიყვარს, ჩადრის ჩრდილში მენახული“.

შენი სასძლოს ფერიაო, უკან არ დაიხია გიორგიმ.

მეფესთან საუბრისას ლამიყლაპიას შეადარა შორენამ გირშელი, არ დაუმალავს, არ მიყვარსო „მამაკაცი ახმახი“. არსაკიძეს პირდაპირ უთხრა, საფრთხობელას მაგონებსო ყველისციხის პატრონი, დათვების დასაფრთხობად ყანაში დადგმულს.

ფხოველთა ამბოხის მოსალოდნელობის დასადასტურებლად ფხოვს ნასულმა გიორგიმ სწორედ გირშელი იახლა. მაშინ აჩუქა გლახუნა ავმანისძემ გოდერძი ქალუნდაურს საბედისწერო ხმალიც...

გიორგი ყოველნაირად აჭიანურებდა გირშელის ქორწილს, ეხუმრებოდა დედის დისწულს, ჩემთან ქიშპობა გადაგიტანსო.

მცხეთიდან ჟამიანობამ გააქცია გირშელი, მაჰმადიანურ ქვეყნებში წლობით ნაცხოვრებს ზაფრავდა ჟამის საფრთხე. გიორგის ეცინებოდა, თანაც უხაროდა, ვაჟკაცობაში რომ კვლავ აჯობა დედის დისწულს (პირველად მაშინ, აღრენილ ავაზას რომ ვერ მიეახლა ყველისციხის პატრონი).

ზვიად სპასალარიც ამრეზით ამბობდა, მუდამ გაზვიადებული მეჩვენებოდაო გირშელის გმირობის ამბები.

შორენას შეპყრობის ამბავი რომ შეიტყო, დაუყოვნებლივ დაბრუნდა მცხეთას ყველისციხის პატრონი, სამეფოს სპასთან ერთად შემოეწყო ქორსატეველას, იქადა, გათავისუფლებისთანავე შევირთავო ერისთავის ასულს.

შეუტია ციხეს. ამაოდ ივედრებოდა ჯარის მიშველებას – გიორგი და ზვიადი არ ჩქარობდნენ...

სპასალარს თავად სურდა ქორსატეველას იავარქმნა, მეფე რაყიფის დანაქადნევს აემღვრია...

გოდერძი ქალუნდაურმა თორიანად გაკვეთა ყველისციხის პატრონი გიორგისაგან ნაჩუქარი, რკინისმკვეთელი ხმალით...

„ძლივს მოჰკრიფეს გირშელის ცხედარი, ასო-ასოდ აკუნული ფხოველთა მიერ. იტირეს წესი-სამებრ და სამთავროში დაჰფლეს, კანკელის წინ, სადაც მეფეებს, კათალიკოსებს და ერისთავებს ასაფლავებდნენ“.

სიკვდილის ჟამს უშიშარაისძესლა გამოუტყდა გიორგი, „სიმთვრალეში მოვაკვლევინეო ფხოველებს დედიჩემის დისწული გირშელ, თრიაქით მთვრალმა..“.